

178 /
1971/3



საგჯობთა სამართალი

საქართველოს კვ ტანგრაფიკი კომიზავის გამომცემლობა

1971 2

უნდა გავაქლიეროთ ბრძოლა დაბრუნებისა და მფლანგველების წინააღმდეგ, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ შეუძლებელი იქნოს დაბრუნება, საბოლოოდ მოვუღოთ გზა მთავრობას, ყოველნაირად განვახიზნოთ საზოგადოებრივი წესრიგი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ყოველივე ამასთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა მით უფრო ეფექტური იქნება, რაც უკეთ აღმოვფხვრით მის მიზეზებს, რაც უფრო ქვედითი იქნება მთელი ჩვენი კოლექტიური მუშაობა. ჩვენ გვესაზიროება არა ფაქტების უბრალო რეგისტრაცია, არამედ შედეგითი ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, რომელიც ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ერთიანი ფონით, სასამართლოსთან, პროკურატურასთან, მილიციის მუშაკებთან ერთად, და ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ბრძოლა სოციალისტური მართლწესრიგის დამაარსებლების — ეს არა მარტო ამინისტრაციული ორგანოების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივის საქმეა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მუხამანაძის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე

სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში კვლავ დიდია დანაშაულობათა რიცხვი. ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და ამინისტრაციული ორგანო მთელ თავის ყურადღებას არ მიაპყრობს სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ქვედითი ღონისძიებების შემუშავებასა და სისტემატურ განხორციელებას. ცალკეულ საინისტროთა და უწყებათა აპარატი არასაკმარისად არის მოგილიწეული დაბრუნებისა და თანამდებობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციიდან

საბჭოთა სამართალი

№ 2



მარტი—აპრილი

1971 წელი

გამოცემის XVIII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინინსტრუქციო, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

მოწინავე — ლენინური პარტიის XXIV ყრილობა 3

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის

საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები 7

ი. ფუტყარაძე — ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება 17

პარიზის კომუნის 100 წლისთავისათვის

პარიზის კომუნა — მშრომელთა პირველი სახელმწიფო 25

გრ. ერემოვი — კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოების როლი და მნიშვნელობა 32

ნ. წერეთელი — იურიდიული სამსახური ახალი ამოცანების წინაშე 40

თ. ლილუაშვილი — დაუქორწინებელ პირთა ბავშვის წარმოშობის დადგენა სასა-
მართლო წესით 44

ვ. ჟვანია — მამობის დადგენის დროს ექსპერტიზის გამოყენების საკითხისათვის 49

ა. ბარაბაძე — რეალურად უზრუნველყოთ ბრალდებული დაცვის უფლებით წინას-
წარი გამოძიების სტადიაში 51

ა. ბაქრაძე — საპროკურორო ზედამხედველობის საზღვრები მოკვლევასა და წინასწარ
გამოძიებაში 54

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ი. ანდრევი — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი 59

ოფიციალური მასალა 68

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

დ. ნანობაშვილი — ნათელი გზა 85

ლ. ჭანტურია — მისი ღირსება 87

არბიტრაჟის პრაქტიკა 90

ინფორმაცია 92

მოკლე ცნობები 94

ნეკროლოგი 96

119611





СОДЕРЖАНИЕ

Передовая — XXIV съезд Ленинской партии 3

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ И КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Первые законодательные акты Советской власти 7
Я. Путкардзе — Возрождение государственности Грузии 17

К 100-ЛЕТИЮ ПАРИЖСКОЙ КОММУНЫ

Парижская коммуна — первое государство трудящихся 26
Гр. Еремов — Еще больше повысить роль и значение Советов 32
Н. Церетели — Юридическая служба перед новыми задачами 40
Т. Лилуашвили — Установление в судебном порядке происхождения ребенка от лиц, не состоящих в браке 44
В. Жвания — К вопросу применения экспертизы при установлении отцовства 49
А. Барабадзе — Реально обеспечить право обвиняемого на защиту в стадии предварительного следствия 51
А. Бакрадзе — Пределы прокурорского надзора в стадии дознания и предварительного следствия 54

В СТРАНАХ НАРОДНОЙ ДЕМОКРАТИИ

И. Андреев — Новый уголовный кодекс ПНР 59
Официальный материал 68

К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

Д. Нанобашвили — Светлый путь 85
Л. Чантуриа — Ее достоинство 87
Практика арбитража 90
Информация 92
Краткие заметки 94
Некролог 96

სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 1166
ტირაჟი 22.750
უფ 07355

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 82. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 24/II-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-71 წ. ქალაქის
№ 70X1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4,
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ლენინური პარტიის XXIV ყრილობა



მიმდინარე წლის 9 აპრილს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ. მას შემდეგ სულ ცოტა ხანი გავიდა, მაგრამ უკვე ახლავე ნათლად ჩანს ყრილობის შედეგების, მისი ისტორიული გადაწყვეტილებების უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კომუნისტებისა და ხალხისათვის, მსოფლიო კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. ყოველდღიურად იზრდება მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო ფენების ინტერესი ყრილობის დოკუმენტებისადმი. მათ გულმოდგინედ სწავლობენ კომუნიზმის მტრებიც. და ეს გასაგებიც არის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოადგენს თანამედროვეობის მძლავრ პოლიტიკურ და იდეურ ძალას, მისი ყრილობის შედეგები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვითარებაზე, ისტორიულ პროგრესზე. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომლითაც ყრილობაზე წარსდგა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია. მასში მთელი სისრულით შეჯამებულია პარტიისა და საბჭოთა ხალხის ტიტანური შემართებითი შრომა განვიღო ხუთწლეულში, დასახულია ახალი ზღუდეები, ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები და მეთოდები. მოხსენება სამართლიანად არის მიჩნეული შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ნიმუშად, რომელშიც შესანიშნავად არის ნაჩვენები არა მარტო ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა და პრობლემები, არამედ ღრმა ანალიზიც აქვს გაკეთებული თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, საყოველთაო მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მნიშვნელობას კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

სკკპ XXIV ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმისა 1971—75 წლებისათვის. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

მეცხრე ხუთწლეულის განხორციელება ახალ, შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა ხალხს. ახალი „ხუთწლეულის მთავარი ამოცანა, — ნათქვამია ყრილობის დირექტივებში, — ის არის, რომ უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.“¹ მეცხრე ხუთწლეულის ამოცანების წარმატებით გადაჭრა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შეუძლებელია მართვის სრულყოფისა და ორგანიზატორული საქმიანობის დონის შემდგომი ამაღლების გარეშე. ისევე როგორც ყოველთვის, ამჟამადაც აუცილებელია ხელმძღვანელობის სრულყოფა, ნაკლოვანებათა მხილება და დაძლევა, მასების დარაზმვა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის გასახორციელებლად. დირექტივებში აღნიშნულია, რომ „ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევათა დანერგვის დაჩქარების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა

¹ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 11 აპრილი.

ცემა დემოკრატიული ინსტიტუტების უფლებები, იწყება დემოკრატიის კრიზისი. ეს მონაჩმასხი მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ დაასაბუთონ კაპიტალიზმის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრებიდან დემოკრატიული ინსტიტუტების განდევნა, ისედაც შეკვეცილი, უბადრუკი ბურჟუაზიული დემოკრატიის საბოლოო გახრწნა. ამის საპირისპიროდ „საბჭოთა ადამიანებს აქვთ თავიანთი დემოკრატია — სოციალისტური დემოკრატია, მისი განვითარების თავიანთი პრინციპები, თავიანთი ტრადიციები... ჩვენთვის სოციალისტური დემოკრატიის აზრი და შინაარსია სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობა ქვეყნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი ინიციატივა ჩვენში კომუნისმის მშენებლობის საქმეს ემსახურება, ასეთი დემოკრატია ჩვენთვის საარსებო მოთხოვნილებაა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების აუცილებელი პირობა“.⁵

პარტია მომავალშიც იზრუნებს სოციალისტური დემოკრატიის განუხრებლად განვითარებისათვის. როგორც ლ. ი. ბრეჟნევიმ XXIV ყრილობაზე აღნიშნა, „პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს სწორედ ამ კურსს“.⁶

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში წარმოებდა ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა, საბჭოთა კანონების განახლება და სრულყოფა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა საანგარიშო მოხსენებაში, პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საქმეს. „განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისეთი საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგებას, როგორიც არის ხალხის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, ოჯახის განმტკიცება, შრომითი დამოკიდებულების შემდგომი სრულყოფა, ბუნების დაცვის უზრუნველყოფა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება. ყველა ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა ფართო მსჯელობის შემდეგ, რომელშიც მილიონობით მოქალაქე მონაწილეობდა, მიიღეს შესაბამისი კანონები“.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მაღალი შეფასება მიეცა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე დანაშაულის პროფილაქტიკის საკითხებს. როგორც ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, „გაუმჯობესდა მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს საქმიანობა“.⁷

მაგრამ დამნაშავეობასთან ბრძოლა კვლავ სერიოზულ ამოცანად რჩება. განსაკუთრებული როლი დამნაშავეობის შემცირებისა და ლიკვიდაციის საქმეში უნდა შეასრულოს პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა. სწორი დასჯითი პრაქტიკის განხორციელებასთან ერთად უფრო მეტად უნდა ვზრუნავდეთ დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ, არ დაეუშვათ იგი.

საანგარიშო პერიოდში, როგორც აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევიმ, ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა კვლავ ახორციელებდნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების კურსს. ეს კურსი მომავალშიც მტკიცედ და

5 ლ. ი. ბრეჟნევი. სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. გაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 1 აპრილი.

6 იქვე.

7 იქვე.

განუხრელად გატარდება. მნიშვნელოვანია, რომ კანონიერების განმტკიცებაში ჩაბმულ იქნას ფართო საზოგადოებრიობა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა თავის მოხსენებაში, „კანონიერების განმტკიცება მარტო სახელმწიფო აპარატის ამოცანა როდია. პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უმკაცრესად დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. უფლების, კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ, ვერ შევუბრუნებთ. ვერ შევუბრუნებთ ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჰუმანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა“.⁸

ადმინისტრაციული ორგანოები მოწოდებული არიან მტკიცედ იდგნენ სოციალისტური კანონიერების დაცვის სადარაჯოზე, მკაცრად ადევნონ თვალყური შრომის კანონმდებლობის, სახელმწიფო დისციპლინის დაცვას სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. აუცილებელია ზუსტად დავიცვათ სოციალისტური კანონიერება სამეურნეო ურთიერთობაში. უნდა ამაღლდეს საპროკურორო ზედამხედველობა სამეურნეო საქმიანობისადმი, რათა თვითეულმა „სამეურნეო ხელმძღვანელმა იგრძნოს მეტი პასუხისმგებლობა დაწესებული გეგმებისა და დავალებების დროზე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, სახსრებისა და მატერიალური რესურსების ყაირათიანი და გონივრული ხარჯვისათვის, მოწყობილობისა და ნედლეულის სწორად გამოყენებისათვის, ყველა კოოპერირებული მიწოდების დადგენილ ვადებში შესრულებისათვის, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისათვის“.⁹

ყრილობის გადაწყვეტილებები, მისი დებულებები, რომლებიც შეეხება იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის საკითხებს, დიდხანს იქნება საბჭოთა იურისტების შესწავლის საგანი.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან ღრმად გაეცნონ სკვპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და განუხრელად იხელმძღვანელონ ამ გადაწყვეტილებებით თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში.

დიდი ამოცანები დგას ქართველი იურისტი მეცნიერების წინაშეც ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით მათ უნდა შექმნან ნაშრომები, რომლებშიც გაშუქდება ყრილობის გადაწყვეტილებების თეორიული დებულებები და მათი გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობის პრაქტიკაში.

⁸ ლ. ი. ბრეჟნევი. სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 1 აპრილი.

⁹ სკვპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 11 აპრილი.

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის



საბჭოთა სელისუპლემის პირველი საკანონმდებლო აქტები

დ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 24

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ა მ ნ ი ს ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წითელი არმიის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს :

1. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი, რომელნიც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე, იხიან სოციალური დაცვის ღონისძიებას საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათა განაჩენით, ან ადმინისტრაციულ ორგანოთა დადგენილებით ისეთი დანაშაულისათვის, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სოციალური დაცვის ღონისძიებათ დაწესებულია ფულადი ჯარიმა, იძულებითი მუშაობა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, განთავისუფლებულ იქნენ სოციალური დაცვის ღონისძიებების იმ ნაწილისაგან, რომელიც ჯერ არ მოუხდიათ.

2. მოსპობილ იქნეს წარმოებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ, ისეთი დანაშაულის საქმე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში და ჩადენილია ამა წლის მარტის 21-მდე, უკეთუ იგი წინასწარი გამოძიების სტადიაშია, ხოლო ისეთი საქმე, რის შესახებაც განაჩენი უკვე გამოტანილია, მაგრამ ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში არ შესულა, ან სისრულეში მოყვანილი არ არის, მოსპობილ იქნეს იმ სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით, სადაც აღნიშნული საქმე სწარმოებს, ან იმ დაწესებულების დადგენილებით, რომლის მიერ გადაწყვეტილია გადახდევინება.

3. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთ, რომელნიც დადგენილების გამოქვეყნების დღემდე იხიან თავისუფლების აღკვეთას, ყველა სხვა, გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნულ დანაშაულისათვის, იმ დანაშაულის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია 58-73, 76, 116, 117¹, 186 მუხ. და 187 მუხ. „ბ“ პუნქტი (როდესაც ქურდობა ჩადენილია განმეორებით

—რეციდივი), 187 მუხ. „გ“ პ. 187¹ და 191 მუხ. —შეეფარდოს ვადამდე—პირობითი განთავისუფლება, უკეთუ მათ მოუხდიათ უკვე ერთი მესამედი თავისუფლების აღკვეთის ვადისა. იმ წესის და იმ პირობისამებრ, რაც კანონით დაწესებულია ვადამდე პირობითი განთავისუფლებისათვის, და უკეთუ ისინი არ არიან სოციალურად საშიშარნი და მათი მოქმედება არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი მართლწესრიგისათვის.

4. წინა მუხლში გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ამავე მუხლში აღნიშნული გამოჩაქვლისისა), რაც ჩადენილია ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურის მიერ ამა წლის მარტის 21-მდე, ხოლო საქმე ჯერ არ არის განხილული, სასამართლო და სათანადო ადმინისტრაციულ დაწესებულებას უფლება ეძლევა საქმის განხილვის შემდეგ განსაზღვრული ვადით დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიება შეამციროს ერთი მესამედით.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : უკეთუ სამხედრო მსახურს ა. წ. მარტის 21-მდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაეწყვიტება სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, სასამართლოს ან სათანადო ადმინისტრაციულ დაწესებულებას უფლება ეძლევა აღძრას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეცვალილი იქნეს ათი წლის თავისუფლების აღკვეთით.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნული შედგავით რ გავრცელება: ა) ყოველგვარ ფულად და ქონებრივ გადახდევინებაზე, რაც არ წარმოადგენს ფულადი სახით დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას, ბ) ფულად დაჯარიმებაზე, რომელიც უკვე სისრულეშია მოყვანილი



და გ) იხეთ გადახდევინებაზე, რაც გადაწყვეტილია სისხლის სამართლის სასამართლოში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის გამო.

6. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი სრულიად განთავისუფლებულნი იქნენ დისციპლინალური სასჯელისაგან და აგრეთვე იძულებითი მუშაობისა და თავისუფლების აღკვეთისაგან, რაც მათ გადაეწყვიტათ ადმინისტრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოღრიძე.**

1926 წ. მარტის 20.

თბილისი — სახალდე.

(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 21 მარტი. № 68).

ი ნ ს ზ რ უ ქ შ ი ა

საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში საადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის

ზოგადი დებულებანი

1. ყველა საადგილ-მამულო დავა, აგრეთვე ყველა დავა, რაც კი მიწათსარგებლობის უფლებას შეეხება, როგორც მაგ. ჯგუფურ ან სამართლებლო მიწათსარგებლობას, საზოგადოებიდან მიწის გამოყოფას, სათემო მიწის გადანაწილებას და სხვ., გადაწყდება რაიონისა და მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში.

შენიშვნა: საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების შემოღებისთანავე ამ კოლეგიებზე გადადის მაზრის საადგილ-მამულო კოლეგიების ყველა ის ფუნქცია, რაც კი გათვალისწინებულია მიწის კოდექსით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული სამოქალაქო პროცესის წესის საფუძვლებული საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოებისათვის იმ გამოწვევისათვის, რაც მიწის კოდექსის 161-166 მუხლებით არის დაწესებული.

3. საადგილ-მამულო სასამართლო ორგანო, როდესაც იგი პირველი ინსტანციის სახით მოქმედებს, საქმეს საჯარო სხდომაზე განიხილავს

ტრაციული წესისამებრ ა. წ. მარტის 21-მდე ჩადენილ ქმედობისათვის.

7. უშუალო მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაევალოს ქართულ მსროლელთა დივიზიების პროკურორს, რესპუბლიკის პროკურორის საერთო მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით; ამ უკანასკნელს დაევალოს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

მხარეთა დაბარებით, ამასთანავე მხარის გამოუცხადებლობა, თუ კი მან თავის დროზე მიიღო უწყება საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს.

4. მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში, როდესაც ისინი მოქმედებენ მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით, საქმე მხარეთა საჩივრის გამო გაიჩრევა მხარეთა დაუბარებლად, მაგრამ ამასთანავე განსახილველად დანიშნული საქმეების სია მხარეთა საცნობლად უნდა გამოიცილოს მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების შენობაში ორი კვირით ადრე მაინც სასამართლოს სხდომაზე, ხოლო საადგილ-მამულო საბჭოს შენობაში ერთი კვირით ადრე სასამართლოს სხდომაზე.

ამას გარდა, მაზრის სასამართლო კოლეგია საქმეების სიას გაუზგავნის სათანადო თემის აღმასკომს, იმ ვარაუდით, რომ იგი თემის აღმასკომის შენობაში გამოიცილოს ორი კვირით ადრე მაინც სასამართლოს სხდომაზე.

5. რაიონის და მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებთან განწყობებულია მდივანი, რომელიც განაგებს კანცელარიას სახალხო მოსამართლის საერთო ხელმძღვანელობით. კო-

ლეგის კანცლარია მოთავსებულია სახალხო სასამართლოს კანცლარიასთან.

6. უკეთუ უმაღლესი საადგილ-მამულო ორგანო ცნობს, რომ საჩივარი საფუძვლიანია, გაუქმებს გადაწყვეტილებას სრულიად ან ნაწილობრივ და საქმეს დააბრუნებს ხელ-ახალ გასარჩევად. ამასთანავე აღნიშნავს კანონის რომელი მუხლია დარღვეული პირველი ინსტანციის საადგილ-მამულო სასამართლოს ორგანოს მიერ განხილვის დროს. უმაღლეს ინსტანციას შეუძლია თვითვე შესცვალოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, საქმის ხელახალი გარჩევისათვის გადაუცემლად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ესა თუ ის კანონი სწორად არ არის შეფარდებული და უკეთუ ამით გადაწყვეტილება არსებითად არ შეიცვლება.

7. კანონიერ ძალაში შესული საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება ისეთ საჩივარზე, რაც მიწათმოწყობის წესით არის აღძრული და მთლად წარმოებული საქმე გეგზავნება აღსასრულებლად სათანადო მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას; ხოლო გადაწყვეტილება ყველა სხვა საადგილ-მამულო დავის გამო, რაც აღძრულია მიწათმოწყობის წესის გარეშე, სისრულეში მოიყვანება საერთო წესით მხარეთა თხოვნისამებრ.

8. ისეთი გადაწყვეტილების აღსრულებით გამოწვეულ ხარჯს, რაც მიწათმოწყობის წესის გარეშე აღძრულ საადგილ-მამულო დავის გამო იქნება გამოტანილი (დღიური, გზის ხარჯი, მუშების დაქირავება და სხვ.) გადაიხდის ესა თუ ის მხარე, თანახმად საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის დადგენილებისა საერთო წესისამებრ.

სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია

9. სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია იმოქმედებს სათანადო სახ. სასამართლოს უბნის ფარგლებში და გაარჩევს ყველა იმ საქმეს, რაც აღნიშნული უბნის ფარგლებში მდებარე მიწებსა და ამ მიწების სარგებლობას შეეხება.

10. სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, ხოლო წევრებად არიან პირველი თემის აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარე, რომლის ფარგლებშიაც სადაო მიწა მდებარეობს და მეორე — ამავე აღმასკომის მიერ წევრად დანიშნული პირი.

11. კოლეგიის კანცლარიაში საქმის წარმოება ისეთივეა, რაც სახალხო სასამართლოში.

12. სახალხო მოსამართლე სარაიონო საად-

გილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომას დანიშნავს საქირობისდა მიხედვით.

13. მიწისმზომელ — მიწათმოწყობი წარუდგენს სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას ყველა იმ სადაო პროექტს, რაც კომიწათმოქმედებას შეეხება.

14. უკეთუ სარაიონო საადგილ-მამულო კოლეგია იხილავს მიწისმზომლის მიერ წარუდგენილ ისეთ სადაო პროექტს, რაც მიწათმოწყობას შეეხება ანდა მიწათმოწყობის ნიადაგზე აღძრულ სადაო საქმეს, ამ შემთხვევაში მიწისმზომლის მონაწილეობა საქმის განხილვაში სავალდებულოა.

სხვა დანარჩენი საქმის გარჩევის დროს სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას შეუძლია მოიწვიოს მიწისმზომელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას ერთ-ერთი მოდავე მხარე მოითხოვს და ისიც იმ პირობით, უკეთუ აღნიშნული მხარე თავის დროზე წარუდგენს, სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის დადგენილების თანახმად, მიწისმზომლის მოწვევისათვის საჭირო ფულს (საგზაო და დღიურს).

15. უკმაყოფილო მხარეს შეუძლია სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოცხადებისა.

საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში, რომელმაც ეს საქმე გადაწყვიტა.

16. სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია შეტანილ საჩივარს და მთლად წარმოებულ საქმეს გაუგზავნის სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას არაუგვიანეს სამი დღისა ამ საჩივრის მიღებიდან.

სამაზრო საადგილ-მამულო და სასამართლო კოლეგია

სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას შეადგენენ: მაზრის აღმასკომის საადგილ-მამულო ქვე-განყოფილების გამგე, ადგილობრივი მაზრის აღმასკომის წარმომადგენელი და ოლქის სასამართლოს რწმუნებული, სახალხო მოსამართლე, ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით. ოლქის სასამართლოს რწმუნებული



სახ. მოსამართლე, ერთსა და იმავე დროს, თავმჯდომარეობას ეწევა სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაშიც, რომელიც მოქმედებს სათანადო სახალხო სასამართლო უბნის ფარგლებში, ამიტომ, უკეთეს სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია მეორე ინსტანციის სახით იხილავს საჩივარს სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის გამოტანის დროსაც ამ კოლეგიაში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე; ამ შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში შეასრულებს ამავე მაზრის ერთ-ერთი სახალხო მოსამართლე.

18. სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომებს დანიშნავს ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე.

19. სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია თავის სხდომებს მოაწყობს ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლის სხდომის დარბაზში.

20. სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომებს დაესწრება მიწისმზომელ-მიწათმოწყობი, რომელიც კოლეგიის მოთხოვნით მისცემს განსახილველ საქმეზე საჭირო ცნობებს.

21. პირველი ინსტანციის სახით მოქმედ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში ან ინსტრუქციის მე-13 მუხ. აღნიშნულ ვადაზე და წესით.

22. სამაზრო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია შეტანილ საჩივარს და მთლად წარმოებულ საქმეს გაუგზავნის მიწათმოქმედების სა-

ხალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოს არაუგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭო

23. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოს შეადგენენ: მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების გამგე, პირველი ამთავანის თავმჯდომარეობით. საადგილ-მამულო საბჭოსთან განწყობულია მდივანი და საქმის მწარმოებელი.

24. საადგილ-მამულო საბჭოს სხდომებს დანიშნავს მისი თავმჯდომარე საჭიროებისამებრ.


25. საადგილ-მამულო საბჭოში მომხსენებლად ყველა იმ საკითხზე, რაც კი მიწათმოწყობის სათანადო პროექტებს შეეხება, არის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, მიწათმოწყობის განყოფილების გამგე, ხოლო სხვა დანარჩენ საქმეზე, — იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

26. საჩივარი პირველ ინსტანციის სახით მოქმედ საადგილ-მამულო საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეიტანება ერთი დღის ვადაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ან ინსტრუქციის მე-13 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

27. საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოები სასამართლოს ბაჟსა და საკანცელარიო გამოსაღებს ახდევინებენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, ამიერ-კავკასიის შინა-ვაკრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ „სასამართლო ბაჟისა და საკანცელარიო გამოსაღების გადახდევინების წესისათვის“ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**
 საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიაშვილი.**
 სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

1926 წ. მარტის 6.
 (გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 24 მარტი № 65).



დ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 22

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის

210 და 212 მუხლების შევსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77—№-ის დადგენილების— მე-2 მუხ. თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლს დაემატოს პუნქტი „თ“ შემდეგი შინაარსისა: მუხ. 210 პ. „თ“ მომხმარებელ საზოგადოებებთან და მათ კავშირებთან ინდივიდუალური სასაქონლო კრედიტის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე უკე თუ გადასახდევინებელია ვადა გადაცილებული გადასახდელი.

2. სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 212 მუხლს დამატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 212 შენიშვნა მე-2. ამა კოდექსის 210 მუხ. „თ“ პუნქტისამებრ გადახდევინების შესახებ შეტანილ განცხადებასთან ერთად სამომხმარებლო საზოგადოების ან კავშირის გამგეობამ უნდა წარადგინოს:

ა) ხელშეკრულების დედანი ან სათანადო დოკუმენტი დავალიანების შესახებ გამგეობის მიერ შემოწმებული ასლითურთ.

ბ) ამონაწერი მოვალის საპირადა ანგარიშისა და

გ) ასლი გამგეობის დადგენილებისა პრეტენზიის სასამართლო ბრძანების წესით გადასახდევინებლად გადაცემის შესახებ იმ თანხის აღნიშვნით, რაც მოვალეს უნდა გადახდეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელინაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

1926 წ. მარტის 10.

თბილისი — სასახლე.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 25 მარტი № 66).

დ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 14

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

გირავნობის მოწოდების გაცემისა და სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული წესები გირავნობის გაცემისა და სარგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **შ. მახარაძე.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელინაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**



წესები:

გირავნობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის შესახებ.

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლის 1 შენიშვნაში გათვალისწინებული გირავნობის მოწმობა უზრუნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, აგრეთვე შრომის არტელისა და კოოპერატივის ხელშეკრულების აღსრულებას, ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ მიღებულ ასეთ მოწმობას აქვს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30 მუხლის თანახმად ნოტარიული წესით ქმნილი გირავნობის აქტის ძალა.

2. გირავნობის მოწმობა ვაიცემა დასავირავებელი ქონების (შენობისა ან აღნაგობის უფლების) პატრონის თხოვნისამებრ იმ ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან, რომლის რაიონშიც მდებარეობს ეს ქონება; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს საღებრო წესები და სანოტარო მოქმედების სასახელის ნიხრი, ასეთი მოწმობის წარდგენა შეიძლება 1 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებასა და საწარმოში მხოლოდ 6 თვის განმავლობაში დღიდან მისი გაცემისა. ამ ვადის განმავლობაში არ გამოყენებული გირავნობის მოწმობა ჰკარგავს ძალას.

3. გირავნობის მოწმობის გაცემის დროს სანოტარო განყოფილებას გამორკვეული უნდა ჰქონდეს დასავირავებელი ქონება რომ მთხოვნელს ეკუთვნის და იგი მოახდენს ცნობას სათანადო სანოტარო დავთრებში ყადაღისა და უფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ. ამის გარდა სანოტარო განყოფილებამ უნდა მოითხოვოს ცნობა: ა) ადგილობრივი კომუნალური განყოფილებისაგან ქონების შეფასების შესახებ და თავისუფალია იგი თუ არა მუნიციპალიზაციონაციონალიზაციისაგან და რა გადასახადი ითვლება ქონებაზე, და ბ) ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებისა და იმ სახალხო მოსამართლისაგან, რომლის უბანშიაც მდებარეობს ეს ქონება; აღბრული ხომ არ არის რაიმე დავა ამ ქონების გამო. ყველა ეს ცნობა უნდა აღნიშნოს გირავნობის მოწმობაში.

შენიშვნა: უკეთუ სანოტარო არქივში არ აღმოჩნდება არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ დასავირავებელი ქონება დამვირავებელს ეკუთვნის, ამ უკანასკნელმა უნდა წარადგინოს სათანადო კომუნალური განყოფილების მოწმობა, რომ ქონება მას ეკუთვნის.

4. უკეთუ გირავნობის მოწმობა წარედგინა 1 მუხლში აღნიშნულ რომელიმე დაწესებულებას ან საწარმოს არა იმ დღეს, როდესაც ეს მოწმობა იყო გაცემული სანოტარო განყოფი-

ლების მიერ, არამედ მეორე დღეს და უფრო გვიანაც, დაწესებულებას ან საწარმოს შეუძლიან მოსთხოვოს დამვირავებელს ამ გირავნობის მოწმობისთან ერთად სანოტარო განყოფილების განსაკუთრებული მოწმობა იმის დასადასტურებლად, რომ დღიდან გირავნობის მოწმობის გაცემისა და დამატებითი ცნობისა ან განსაკუთრებული მოწმობის გაცემის დღემდე, ქონებას ახალი რამ ყადაღა არ დასდებია.

5. გირავნობის მოწმობის გაცემისთანავე სანოტარო განყოფილება დაადებს ამ მოწმობაში აღნიშნულ ქონებას ყადაღას, რომლის მოხსნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში:


1) უკეთუ მოწმობა არ იქნება გამოყენებული და დაბრუნებულია,

2) უკეთუ იმ დაწესებულებამ ან საწარმომ, რომელსაც ეს მოწმობა წარედგინა ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად (1 მუხ.), დააბრუნა და ზედ თავისი წარწერით აღნიშნა, რომ მოწმობა გამოყენებულია; 3) უკეთუ აღნიშნული დაწესებულება ან საწარმო აცნობებს სანოტარო განყოფილებას ყადაღის მოხსნას; 4) ან უკეთუ სასამართლო დაადგენს ყადაღის მოხსნას.

6. ამა წესდების 1 მუხლში აღნიშნული დაწესებულება ან საწარმო, რომელიც მიიღებს გირავნობის მოწმობას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ვალდებულია აცნობოს ეს სათანადო სანოტარო განყოფილებას, თანაც სისწორით აღნიშნოს უზრუნველსაყოფი ხელშეკრულება, დამვირავებლის ვინაობა და ქონების დავირავებით უზრუნველყოფილი თანხა და მოსთხოვოს მას (სანოტარო განყოფილებას) ამ ქონებაზე ყადაღის დადება.

7. გირავნობის მოწმობა აღება, როგორც იმ დაწესებულებისა და საწარმოს აღნიშნით, სადაც იგია წარსადგენი, ისე უიმისოდაც. პირველ შემთხვევაში ასეთი გირავნობის მოწმობა არ შეიძლება წარედგინოს სხვა დაწესებულებას ან საწარმოს, ხოლო მეორე შემთხვევაში გირავნობის მოწმობა შეიძლება წარედგინოს 1 მუხლში გათვალისწინებულ ამა თუ იმ დაწესებულებას ან საწარმოს. ხოლო, უკეთუ მოწმობა წარედგინება ერთ რომელსამე დაწესებულებას, მეორე დაწესებულებისათვის იგი აღარ გამოიყენება.

8. ქონების მესაკუთრის მიერ პირველი გირავნობის მოწმობის აღებისა და გამოყენების შემდეგ სანოტარო განყოფილებას შეუძლიან მისცეს მას მეორე მოწმობაც, ხოლო ამ მოწმობის გამოყენების შემდეგ — მესამე და სხვ. ამასთანავე თვითეულ მოწმობაში აღნიშნულ



უნდა იქნეს მერამდენა იგი მოწმობათა გაცემის რიგის მიხედვით.

9. უკეთეს მესაკუთრემ დაჰკარგა პირველად ან შემდეგ მიცემული გირავნობის მოწმობა, მას დაკარგული მოწმობის დუბლიკატი აღარ მიეცემა. ხოლო სანოტარო განყოფილებას შეუძლიან ქონების მესაკუთრის თხოვნით მოხსნას მის ქონებას დაკარგული მოწმობის მიცემის გამო დადებული ყადაღა შემდეგი პირობების შესრულებით:

ა) როდესაც დაკარგულია ისეთი გირავნობის მოწმობა, სადაც აღნიშნულია ის დაწესებულება, რომლისათვისაც იგი უნდა წარედგინათ (მუხ. 7), ამგვარი მოწმობის გამო ქონებაზე დადებული ყადაღა მოიხსნება, უკეთეს ქონების მესაკუთრე წარადგენს იმ დაწესებულების მოწმობას, რომ ეს ქონება მასთან არ არის დაკავებული და არც აღნიშნულ გირავნობის მოწმობაა მასთან;

ბ) ხოლო როდესაც დაკარგულია ასეთი გირავნობის მოწმობა, სადაც აღნიშნული არ

არის დაწესებულება ან საწარმო, რომლისათვის იგი უნდა წარედგინათ, ქონების მესაკუთრე აღძრავს სანოტარო განყოფილების წინაშე თხოვნას ამ ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ და თანაც გამოაცხადებს ადგილობრივი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, როგორც ამ მოწმობის დაკარგვას, ისე იმასაც, რომ აღძრულია სანოტარო განყოფილებაში სათანადო თხოვნა აღნიშნული მოწმობის გაცემის გამო დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ. ერთი თვის შემდეგ დღიდან განცხადებისა, ხოლო არა უადრეს 7 თვისა დღიდან დაკარგულ მოწმობის გაცემისა, სანოტარო განყოფილება მოახდენს ცნობას სანოტარო არქივის დაფორეზში თავისუფალია თუ არა ეს ქონება სხვა ყადაღისაგან, ან ხომ არაეის შემოუტანია ყადაღის მოხსნის საწინააღმდეგო განცხადება, და თუ დარწმუნდება, რომ ქონების მესაკუთრის შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, განთავისუფლებს ქონებას დაკარგული მოწმობის გამო დადებული ყადაღისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიაშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდუა.**

(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 1 აპრილი № 72).

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქარ-

თველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: **ალ. სალარაძე.**



დ ე ბ უ რ ე ბ ა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

ა. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დაარსების მიზანი

ბორტომოქმედი პიროვნების მეცნიერულად შესწავლისა და ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზნისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად, მოაწყობს განყოფილებას

15—20 საწოლით, იმ სულით ავადმყოფთათვის, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ.

2. სულით ავადმყოფ პატიმართა მეცნიერულად გამოკვლევისა და აგრეთვე სასწავლო მიზნით, ინსტიტუტის დირექტორს შეუძლიან სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილებაში მოიწვიოს სხვა სპეციალობის ექიმები და მეცნიერი ანტროპოლოგები.

ბ. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების შტატი და ამ შტატის შენახვა

3. განყოფილების შტატს შეადგენს: ერთი ექიმი, 4 მოწყალეების და, 9 სანიტარი და ერთი დამლაგებელი.

4. უმაღლესი და საშუალო პერსონალის შტატს ინახავს საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი თავისი საბიუჯეტო სახსრით.

5. დაბალ პერსონალს (სანიტარს და დამლაგებელს) ინახავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველო თავის საბიუჯეტო სახსრით.

6. განყოფილების მოსამსახურეებისათვის სპეც-ტანსაცმელის მომარაგება მოხდება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხაზით.

გ. განყოფილების მოსამსახურეთა დაწესებულება

7. ექიმების და მოწყალეების დების დანიშვნა მოხდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

8. დაბალი პერსონალის (სანიტარებისა და დამლაგებლის) დანიშვნა და გადაყენება მოხდება ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ადმინისტრაციის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს თანხმობით.

შენიშვნა: დაბალი პერსონალის დანიშვნა და დათხოვნა მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს და ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის წერილობითი ბრძანებით.

9. სანიტარი თავის მუშაობაში პასუხისმგებელია განყოფილების ექიმისა და ინსტიტუტის დირექტორის წინაშე და მუშაობას ეწევა იმ ინსტრუქციის თანახმად, რაც დადგენილია ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სანიტარებისათვის.

10. სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილების შინაგანი განრიგების წესების დარღვევისათვის განყოფილების მოსამსახურე პასუხს აგებს დისციპლინალური წესით, საქართველოს სსრ საპატიმრო ადგილების მომუშავეთა სამსახურის სადისციპლინო წესდების თანახმად.

დ. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების მომარაგება

11. სულით ავადმყოფ პატიმართა განყოფილების მომარაგება ყოველგვარი კმაყოფით (სურსათი-სანოვავით, ტანსაცმლით), აგრეთვე საწოლისა და საცვალი თეთრეულით, მოხდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახსრებით.

12. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების მომარაგება მოხდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახსრებით.

12. სულით ავადმყოფ პატიმართა განყოფილების სადგომის მოწყობა საჭირო ინვენტარით, გარდა საწოლებისა, და აგრეთვე ამ სადგომის რემონტი მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს პენიტენციალური ფონდის საშუალებით.

მ. გამოძიებაში მყოფი მსჯავრდადებული პატიმრების გამოსაცდელად მიღებისა, გადაყვანისა და გამოორიციხვის წესი

13. სასამართლო-ფსიქიატრული ექსპერტიზის განყოფილებაში სამკურნალოდ და გამოსაცდელად შეიძლება მოთავსებულ იქნეს სულით-ავადმყოფი პატიმარი, როგორც გამოძიებაში, მყოფი, ისე მსჯავრდადებული.

14. აღნიშნული პატიმრის მიღება მოხდება მუდმივი კომისიის მიერ—საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლისა, ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის ექიმისა და საპატიმრო ადგილის ექიმის შემადგენლობით,— როგორც სასამართლოს ორგანოებისა, ისე საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს წინადადებით.

15. ავადმყოფ პატიმართან ერთად, გამოძიებაში იქნება იგი თუ მსჯავრდადებული, — სასამართლო გაუგზავნის ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებას იმ სასამართლო-საგამომიიებლო მასალასაც, რაც ამ პატიმრის შესახებ მიიპოვება.

16. სულით ავადმყოფი პატიმრის განკურნების შემდეგ, აგრეთვე, იმის შემდეგ, როცა გამოცდა დამთავრდება, პატიმარი დაბრუნებული უნდა იქნეს საერთო საპატიმრო ადგილას, რასაც ინსტიტუტის ადმინისტრაცია აცნობებს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს-სათანადო განკარგულების მოსახდენად.

მ. განყოფილების დათვალიერება თანამდებობის პირთა მიერ, ავადმყოფ-პატიმრების ნახვა და ამანათების გადაცემა

21. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების დათვალიერების უფლება აქვთ საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს, აგრეთვე საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 286, 287 და 288 მუხ. აღნიშნულ პირებს; ამ დათვალიერების დროს დარღვეული არ უნდა იქნეს საერთო ფსიქიატრიული რეჟიმის წესები.

22. სულით-ავადმყოფ პატიმრის ნახვა მოხდება განსაზღვრულ დღეებსა და საათებში, რაც საერთო ინსტიტუტის ყველა ავადმყოფისათვის.

23. უკეთეს განსაკუთრებული გარემოების გამო პატიმრის ნახვა დაუყოვნებლივ, ეს შეიძლება მოხდეს სხვა დროსაც, ხოლო თვითნებურ შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის განსაკუთრებული ნებართვით.

17. საერთო საპატიმრო ადგილას პატიმრის გაგზავნასთან ერთად მთლად სასამართლო საგამომიებლო მასალა დაბრუნებულ უნდა იქნეს კუთვნილებისამებრ ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის დასკვნითურთ.

18. უკეთეს განიკურნება ისეთი მსჯავრდადებული პატიმარი, რომლის შესახებაც სასამართლოს მიერ შეჩერებულია განაჩენი მის განკურნებამდე, ამას განყოფილება აცნობებს სათანადო სასამართლო ორგანოს განკარგულებისათვის.

19. ის სულით-ავადმყოფი პატიმარი, რომლის საქმეც მოსპობილი იქნება, გადაიყვანება ინსტიტუტში, სადაც იგი როგორც სულით-ავადმყოფი ირიცხება საერთო საფუძველზე, ან დირექტორის განკარგულებით, გამოირიციხება ინსტიტუტიდან ნათესავების მზურნველობაზე გადასაცემად.

20. ინსტიტუტის ადმინისტრაცია ვალდებულია წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს დადგენილი ფორმით თვითნებური თვის 1-სა და 15-ს ცნობა სულით-ავადმყოფ პატიმართა რიცხვის შესახებ.

24. გამოძიებაში მყოფი სულით ავადმყოფი პატიმრის ნახვა მოხდება იმ საგამომიებლო ორგანოს დასტურით, რომელზედაც ეს პატიმარი ირიცხება, მსჯავრდადებული სულით ავადმყოფი პატიმრის ნახვა მოხდება განყოფილების გამგე-ექიმის ნებართვით.

25. ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამოძიებაში მყოფი პატიმრის ნახვა შეიძლება ინსტიტუტის დირექტორის ნებართვითაც, ხოლო შემდეგ ეს უნდა ეცნობოს სათანადო სასამართლო-საგამომიებლო ორგანოს.

26. სულით-ავადმყოფი პატიმრის ნახვა შეუძლია მხოლოდ მის უახლოეს ნათესავს ან უახლოეს პირს, რომელიც საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოში ცნობილია.

27. სულით-ავადმყოფი პატიმრის (გამომი-



ებაშია იგი თუ მსჯავრდადებულ) სანახავად მი-
სულმა პირმა, იმათ ვარდა, ვისაც ინსტიტუტის
ადმინისტრაცია იცნობს, უნდა წარადგინოს მისი
ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

28. საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ნახ-
ვისათვის დაევალება განყოფილების გამგეს ან
ინსტიტუტის მორიგე ექიმს.

29. თეთრეულისა და სხვ. მისაღებად ნებადა-

რთული საგნების გადაცემა მოხდება კვირაში
სამჯერ, ხოლო საქმელი პროდუქტების გადა-
ცემა ყოველდღე.

30. გადასაცემა საგნების დათვალიერებას გა-
ნყოფილების ექიმი დააკისრებს მოწყალების
დას, რომელიც სათანადო სიფრთხილით მიი-
ღებს გადასაცემად ნებადართულ საგნებს, იგი
პასუხს აგებს დაუდევრობისათვის.

ზ. განყოფილების შინაგანი განრიგება

31. განყოფილების შინაგან განრიგებას დაად-
გენს განყოფილების გამგე-ექიმი, — ინსტიტუ-
ტის დირექტივების თანახმად.

32. პატიმრების პალატებზე განაწილებას და
მათი ერთი პალატიდან მეორეში გადაყვანას
მოახდენს განყოფილების გამგე-ექიმი.

33. სულით-ავადმყოფი პატიმრების სასეირ-
ნოდ გამოყვანა განყოფილების გამგე-ექიმის გან-
კარგულებით სპეციალურად დანიშნულ ეზოში,
და მათზე ზედამხედველობის გაწევა დაევალება
სანიტრებს, რომელნიც პასუხს აგებენ მათი
გაქცევისათვის.

34. გამოსაცდელად მოთავსებული სულით
ავადმყოფი პატიმარი, როგორც გამოძიებაში
მყოფი, ისე მსჯავრდადებული, მკურნალობისა და
გამოკვლევის სფეროში ემორჩილება ფსიქო-ნე-
ვროლოგიური ინსტიტუტში დამყარებულ საერ-
თო რეჟიმს.

35. გაქცევის თავიდან ასაცილებლად თვალ-
ყურის დევნება სულით ავადმყოფ პატიმრები-
სათვის როგორც სადგომში, ისე გარეთ, დაევა-
ლება განყოფილების სანიტარებს.

36. ინსტიტუტის დირექტორს უფლება აქვს
განყოფილების პატიმრებისათვის მოაწყოს სა-
ხელოსნოები, ლექციები, წარმოდგენები და სხვ.
საქმე, ხოლო დაცვის საკითხებში უნდა შეეთან-
ხმოს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართვე-
ლოს.

37. ლექციებზე და სამეცნიერო კრებებზე
შეიძლება მოხდეს სულით-ავადმყოფი პატიმრე-
ბის დემონსტრაცია, როგორც თვით ინსტიტუ-
ტში, ისე მის გარეშე; ხოლო უკანასკნელ შემ-
თხვევაში გაქცევის თავიდან ასაცილებლად მი-
ღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ღონის-
ძიებანი და აგრეთვე საპატიმრო ადგილების
მრავალი სამმართველოს თანხმობა.

38. საერთო ზედამხედველობის გაწევა ფსი-
ქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სასამართლო-
ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებისათ-
ვის ეკუთვნის საქარველოს სსრ ჯანმრთელობის
სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფი-
ლებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე: ს. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოს საქმეთა
მმართველი: ალ. სულარიძე

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 29 აპრილი № 73).

ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება

ი. ფუტყარაძე,
ურბიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოასწავებდა მობრუნებას, ახალი ეპოქის დასაწყისს კაცობრიობის ისტორიაში. მან ქართველი ხალხის ბედზეც ფრიად კეთილნაყოფიერი გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ყველა სფეროში და, მათსადაც, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძველთუძველეს, ჩვენს წელთაღრიცხვამდელი ეპოქიდან მომდინარე პრაქტიკაშიც სწორედ ბოლო ორმოცდაათწლიანმა მონაკვეთმა დაიჭირა განსაკუთრებული ადგილი. ქართველი ერის საერთო-ისტორიული განვითარების ამ შედარებით მცირე პერიოდში განხორციელებულ ჭეშმარიტად გარდამტეხ მოვლენებს შორის უმნიშვნელოვანესი მონაპოვართაგანია ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა, მისი შემდგომი სრულყოფა და თანამედროვე სახით ჩამოყალიბება.


საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საბჭოთა საწყისებზე მოწყობის წინაპირობა არის პროლეტარული რევოლუცია, რომელმაც საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს გაიმარჯვა. ამგვარად, „ანტანტის ბადეში“ გახვეული საქართველო“ (ი. სტალინი), ამიერკავკასიაში დარჩენილი ეს ერთადერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოც მიემატა რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ საბჭოთა რესპუბლიკებს და დაადგა სოციალიზმის გზას. სოციალიზმის მშენებლობის მთავარი იარაღი კი, როგორც ცნობილია, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოა, რომელიც ჩვენში საბჭოების რესპუბლიკის სახით დამკვიდრდა.

119611

საბჭოთა სახელმწიფოებრიობა საქართველოში ყალიბდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესატყვის ფორმებში. მისი მშენებლობის გენერალურ გეზს ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით სახავდა ვ. ი. ლენინი; უშუალო ხელმძღვანელობას კი რესპუბლიკის კომუნისტური პარტია ახორციელებდა.

საქართველოს კომპარტია, სხვა ნაციონალური ორგანიზაციების მსგავსად, რუსეთის ერთიანი ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის ნაწილს წარმოადგენდა. რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური ორგანოები სარგებლობდნენ საოლქო კომიტეტების უფლებებით. მიუხედავად ამისა, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო და სხვა რესპუბლიკები, ეროვნული და პარტიული მშენებლობის ურთიერთმიმართების იმ ძირითადი პრინციპის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრა რკპ (ბ) VIII ყრილობამ, დამოუკიდებელ, ცალკე არსებულ სოციალისტურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

ქართველი კომუნისტები შემოქმედებითად წარმართავდნენ ეროვნულ საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესს, წარმატებით იყენებ-



დნენ მოძმე რესპუბლიკების, ძირითადად კი რუსეთის ფედერაციის სათანადო პრაქტიკას. ადგილობრივმა თავისებურმა ვითარებამ თავისი კვალი დაამჩნია ქართული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას და განაპირობა მისი ზოგიერთი სპეციფიკური ნიშან-თვისების ფორმირება.

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ხასიათდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო მანქანის თანდათანობითი მსხვრევებისა და ამის კვალობაზე ახალი აპარატის შექმნის ერთიანი, ძალზე რთულ პირობებში მიმდინარე რევოლუციური პროცესით¹.

საქმეს კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ იმ დროს საქართველოში არ არსებობდა არც საბჭოები და არც მათი ახალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. სწორედ ამის გამო სახელმწიფო ძალაუფლება კარგა ხანს მთლიანად ეკუთვნოდა რევოლუციურ კომიტეტებს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელს რესპუბლიკაში შეიქმნა რევკომების ერთიანი მწყობრი სისტემა. ისინი დამკვიდრდნენ და მოქმედებდნენ, როგორც საბჭოების ტიპის ორგანოები. მათი საქმიანობით იძენდა რეალურ შინაარსს სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება — „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. ასე ჩამოყალიბდა მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც საბჭოების რესპუბლიკის სახესხვაობას წარმოადგენდა.

უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო უფლებამოსილებით აღჭურვილი იყო საქართველოს რევოლუციური კომიტეტი. ოპერატიულ საქმიანობას აწარმოებდა რესპუბლიკის რევკომის პრეზიდიუმი და ამ უკანასკნელის დამხმარე ორგანო მცირე პრეზიდიუმის სახელწოდებით. საქართველოს რევკომი მთავრობის მაგივრობასაც სწევდა და ქმნიდა დარგობრივი მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს სახალხო კომისარიატებისა და უმაღლესი უწყებების სახით, განსაზღვრავდა მათს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და კომპეტენციას.

პირველი ხანების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკიდან აღსანიშნავია ისეთი ღონისძიებანი, როგორცაა, მაგალითად, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობის რაციონალური ფორმების შერჩევა და დამკვიდრება, ძველი აპარატის მსხვრევა რუსეთთან შედარებით უფრო ნელა და შეზღუდულ ფარგლებში (რაც ძირითადად გაპირობებული იყო არჩევითი ორგანოების უქონლობით), რესპუბლიკური სახელმწიფო აპარატის გასაქართულებლად ჩატარებული მუშაობა (პირველ რიგში, ქართული ენის მართებულად ხმარების საკითხის მოწესრიგება), სამთავრობო ბლოკის შეკვრა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებთან და სხვ.

რევოლუციური კომიტეტების არსებობის ბოლო პერიოდისათვის სავსებით ნათლად გამოიკვეთა ქართული საბჭოთა სახელმწიფო და ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად მკვიდრი საფუძველი დაედო მის შემდგომ აღმავლობასა და სრულყოფას. საქართველოს სოციალისტური სახელმწიფოებრიობა განვითარების ამ ეტაპზე საკანონმდებლო წესით განამტკიცა რესპუბლიკის პირველმა ძირითადმა კანონმა, რომელიც მიიღო საქარ-

¹ ამ საკითხზე დაწვრილებითაა ლაპარაკი ქართველი ისტორიკოსებისა და იურისტების პროფესორების გ. ერემოვის, ი. კაპარავას, ვ. მერკვილიძის და სხვ. ნაშრომებში.

თველოს საბჭოების ყრილობამ 1922 წლის 2 მარტს² კონსტიტუციამ დაამკვიდრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ახალი ორგანოები— მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები.

ახალგაზრდა ქართული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობის მოგვარებას საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

საქართველოს სსრ, როგორც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფო, არსებობის პირველი დღეებიდანვე ლენინურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თანამშრომლობას დანარჩენ სოციალისტურ რესპუბლიკებთან. სწორედ ცალკე არსებული საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობის პროცესში ჩაეყარა საფუძველი სოციალისტური ქვეყნების შემდგომი საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად პრინციპებს.

ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობას.

რუსეთ-საქართველოს საუკუნეობრივი ურთიერთკავშირის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით. ქართული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნამდე სოციალისტური რუსეთის ურთიერთობა საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ეფუძნებოდა სხვადასხვა სოციალური წესწყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება.

საქართველოსა და რუსეთის კავშირ-ურთიერთობას სრულიად ახალი შინაარსი მიეცა 1921 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამიერიდან მათი თანამშრომლობა ერთნაირი სოციალური წესწყობილებით განისაზღვრა.

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას შორის იმავედროულად დაიწყო ორივე ქვეყნის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი მეტად მჭიდრო სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რომელმაც ნებაყოფლობისა და თანასწორობის საწყისებზე დაფუძნებული თავისებური ფედერაციული დამოკიდებულების ფორმა და ხასიათი მიიღო. აღნიშნული ურთიერთკავშირი კონკრეტულად გამოვლინდა იმით, რომ გაერთიანდა სამხედრო ორგანიზაცია და ზოგიერთი სამეურნეო ორგანო. მათ ხელმძღვანელობასა და კონტროლს პრაქტიკულად ახორციელებდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელთა საქმიანობაში საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ხსენებული სამხედრო და სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება, აგრეთვე შეთანხმება ფინანსურ საკითხებზე. პირველმა, საქართველოსა და რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, ამჯერადაც ოფიციალურად დაადასტურა, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიისადმი ქართული მიწა-წყლის წინანდელი

² გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960, გვ. 213—215.

ფაქტობრივი კუთვნილების გამო საქართველოს არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა. ამით მან დიდად შეუწყო ხელი სოციალისტური საქართველოს სუვერენულობის საერთაშორისო აღიარებას.

საბჭოთა რუსეთი მოძმე საქართველოს ინტერესებს აქტიურად იცავდა საერთაშორისო ასპარეზზეც. მან თურქეთთან მოლაპარაკებაზე დასასწრებად 1921 წლის მარტის სამეგობრო ხელშეკრულების დადების დროს მოიწვია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული ქვეყნის წარმომადგენელი. ამასთანავე, საქართველომაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე დიპლომატიური კავშირის ჩამოყალიბებაში. აქ საკმარისია გავიხსენოთ, რომ ვენუის საერთაშორისო კონფერენციაზე თავისი ინტერესების დაცვა სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველომ მიანდო რუსეთის დელეგაციას. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ლოზანის კონფერენციაზე დასასწრებად შეიქმნა რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული დელეგაცია³.

სხვა რესპუბლიკებთან ერთად განხორციელებული დიპლომატიური დონისძიებანი არ ნიშნავდა საქართველოს საგარეო ურთიერთობის ორგანოებისა და მათი საქმიანობის ლიკვიდაციას. საქართველოს სსრ კიდევ კარგა ხანს აწარმოებდა დამოუკიდებელ საერთაშორისო ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან.

ქართული საბჭოთა სახელმწიფოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სომხეთისა და აზერბაიჯანთან კეთილმეზობლური თანამშრომლობის სწორი ფორმების გამოხატვა და ჯეროვნად განხორციელება. სამივე რესპუბლიკის წინაშე ერთნაირად იდგა და ამიერკავკასიის მასშტაბით სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებდა ეროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგების, მეურნეობრივი ცხოვრების ამოღებისა და იმპერიალისტებისაგან თავდაცვის ურთულესი პრობლემები. თუ პირველ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცალკეული საკითხების მოგვარებას, მომდევნო ეტაპზე დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ჩამოყალიბება. ეს ამოცანა გადაწყდა 1922 წელს, ჯერ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის, შემდეგ კი ამიერკავკასიის ფედერაციის⁴ შექმნით.

სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირურთიერთობის სრულიად ახალი პერიოდის დასაწყისს მოასწავებდა საბჭოთა კავშირის შექმნა. საქართველო, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, საერთო-საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით შევიდა. ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირი მოწოდებული იყვნენ დაეცვათ საქართველოს სუვერენიტეტი. აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრა და განამტკიცა რესპუბლიკის მორე კონსტიტუციამ, რომელიც წარმოადგენდა ქართული საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითად იურიდიულ ბაზას ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს ლიკვიდაციამდე.

მეორე ძირითადმა კანონმა, ისევე როგორც პირველმა კონსტიტუციამ,

³ «Всемирная история», т. VIII, 1961, стр. 511, 545.

⁴ იხ. В. В. Паркосадзе, Закавказская Советская Федерация (историко-правовое исследование), М., 1967.

უზენაესი ხელისუფლება მიაკუთვნა საქართველოს საბჭოების ყრილობას. იგი თავისი შემადგენლობით ნამდვილად წარმომადგენლობითი ორგანო იყო და ახორციელებდა რესპუბლიკის ყველა სუვერენულ უფლებას. მის განსაკუთრებულ გამგებლობას ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნამდე ექვემდებარებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთო სახელმწიფოებრივი საკითხებიც, როგორცაა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა და საზავო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

ყრილობებს შუა პერიოდში რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და კონტროლის გამწევ ორგანოს წარმოადგენდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემის ბოლო რგოლი იყო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. იგი მცირე შემადგენლობითაც მოქმედებდა.

ქვეყნის სათავეში იდგა და საერთო მმართველობას ახორციელებდა სახალხო კომისართა საბჭო. რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის თანახმად იგი შედგებოდა 12 სახალხო კომისარიატისაგან (საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა და ა. შ.). საქართველოს მთავრობის სტრუქტურა და უფლებამოსილება, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეიცვალა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ცენტრალური სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბებასთან ერთად შეიქმნა აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები. მათი სისტემა შეესაბამებოდა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და, ცხადია, მისივე სრულყოფის კვალობაზე იცვლებოდა და თანდათანობით ვითრადებოდა.

ქართველი კომუნისტები მშრომელთა ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით სათანადო ყურადღებას აქცევდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ისეთი საიმედო საყრდენების შექმნასა და განმტკიცებას, როგორცაა რევოლუციური წესრიგის დაცვის ადმინისტრაციული ორგანოები, შეიარაღებული ძალები და სასამართლოები.

მართლმსაჯულების გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოში გაჩაღებულმა ნაყოფიერმა სამართალშემოქმედებითმა საქმიანობამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, საქორწინო-საოჯახო და სხვა რესპუბლიკური კოდექსების შემუშავება და სამოქმედოდ შემოღება. მათი შექმნის პროცესში ფართოდ იყო გამოყენებული რუსეთის ფედერაციის სამართალშემოქმედებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ იმდროინდელ კანონმდებლობას ახასიათებდა მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ადგილობრივი პირობებით და საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომით იყო შეპირობებული. რესპუბლიკის კანონმდებლობის ზოგიერთმა ნიშანდობლივმა თავისებურებამ სამართლიანად მიიღო მაღალი შეფასება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართულმა სახელმწიფოებრიობამ პროლეტარული რევოლუციის შემდეგ უმოკლეს ვადაში მიადწია მანამდე არნახულ წარმატებებს. საქართველო 15 წლის განმავლობაში მეფის რუსეთის ყოფილი კოლონიური, ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან მოწინავე ინდუსტრიულ-აგარარულ ქვეყნად, „სანიმუშო საბ-

ჭოთა რესპუბლიკად⁵ გადაიქცა. ეს წარმოადგენდა ქართველი ხალხის გმირული შემოქმედებითი შრომისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების უნაგარო, მეგობრული დახმარების შედეგს.

ამ პერიოდში განხორციელდა ქართული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა — საქართველოს უშუალოდ შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სახით. საქართველოს სსრ ეს ახალი სამართლებრივი სტატუსი, ისევე როგორც სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობების გამარჯვება, განამტკიცა რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციამ, რომელიც შეესაბამება ამჟამად მოქმედ საერთო-საკავშირო ძირითად კანონს და ამავე დროს ასახავს ადგილობრივ თავისებურებებს.

სოციალიზმის გამარჯვებამ განსაზღვრა საქართველოს სსრ პოლიტიკური საფუძვლის მნიშვნელოვანი ცვლილება. რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს ამიერიდან შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით. აქედან დაიწყო, ხოლო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებითა და კომუნისმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლით დამთავრდა მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ.

განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენს მშრომელი ხალხის სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოს. ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვის საზიით მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველო ნებაყოფლობით გაერთიანდა სხვა სუვერენულ რესპუბლიკებთან და ამრიგად გახდა ფედერაციული სახელმწიფოს — სსრ კავშირის სრულუფლებიანი წევრი.

თავის მხრივ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც თავისებური რთული, ავტონომიის საწყისებზე აგებული სახელმწიფოა. მის შემადგენლობაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს გარდა შედის აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან ერთი წლის განმავლობაში მოგვარდა.

1921 წლის 21 მაისის დეკლარაციით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ცნო აფხაზეთის სსრ შექმნა, ხოლო იმავე წლის 16 დეკემბერს ორ რესპუბლიკას შორის დაიდო საკავშირო ხელშეკრულება. შემდეგ კი, 1930—1931 წლებში, აფხაზეთი სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით იწოდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის როგორც საქართველოს სსრ ნაწილის ჩამოყალიბების დეკრეტი გამოიცა 1921 წლის 16 ივლისს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, მისი შექმნა იურიდიულად გაფორმდა 1922 წლის 20 აპრილს.

⁵ „კომუნისტი“, 1936, № 46 — იხ. სავ. კვ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმება საქართველოს სსრ მშრომელებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლის თავზე.

ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების თავისებურებათაგან აღსანიშნავია აფხაზეთისა და აჭარის ზოგიერთი სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომლებიც განასხვავებენ მათ რუსეთის ფედერაციის სათანადო სუბიექტებისაგან. კერძოდ, აფხაზეთი 20-იანი წლების ბოლომდე იყო სახელმეკრულებო-ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო აჭარის ასრ არ წარმოადგენს უცხო ერის კოლექტივისაგან სახელმწიფოებრივი გამოცალკევების ფორმას და, მაშასადამე, არაა ჩამოყალიბებული ეროვნული ნიშნის მიხედვით.

აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების საქმეში გადაწყვეტი როლი ითამაშა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ, სახელდობრ კი საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის არსებულმა ურთიერთობებმა. საქმე ისაა, რომ რუსეთ-თურქეთის მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის სამეგობრო ხელშეკრულებით, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის იმავე წლის 13 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით ყარსში დადებულ ხელშეკრულებაში საგანგებოდაა გათვალისწინებული აჭარის მოსახლეობისათვის ფართო ადგილობრივი ავტონომიის უზრუნველყოფა⁶.

მოკავშირე რესპუბლიკის, ფედერაციის წევრი-სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსი, ბუნებრივია, განაპირობებს საქართველოს უფლებამოსილების გარკვეულ შეზღუდვას. ის უფლებები, რომლებსაც საქართველოს სსრ უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირისათვის, განსაზღვრულია საერთო-საკავშირო ძირითადი კანონის მე-14 მუხლით. ამ მუხლის ფარგალგარეთ საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის თავისი ორგანოების სახით დამოუკიდებლად ახორციელებს საკავშირო და რესპუბლიკური კონსტიტუციების თანახმად მისთვის შენარჩუნებულ სუვერენულ უფლებებს.

რესპუბლიკას ფართო უფლებამოსილება ეკუთვნის ისეთ დარგებში, როგორცაა სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა, კანონმდებლობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, საგარეო კავშირ-ურთიერთობანი.

სოციალისტური საქართველოს მთელი სუვერენული ხელისუფლება მიეკუთვნება ქართველი ხალხის სრულძალაუფლებიანობის გამომხატველ ორგანოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახით. მის კომპეტენციაში შედის საქართველოს სსრ ყველა უფლება, რამდენადაც მათ არ ახორციელებენ უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოები, კერძოდ კი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო და სამინისტროები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო არის რესპუბლიკის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო. მის მიერ მიღებული კანონები ქართველი ხალხის სუვერენული ნების გამომხატულებას წარმოადგენს. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო უფლებამოსილება მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოლო წლებში. გაცხოველდა აგრეთვე სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც წარმოებს ხალხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით. ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისა და შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს სსრ კანონები მთლიანად ემყარებიან სოციალისტური სამართლის ზოგად საფუძვლებს, შეესაბამებიან სათანადო საერთო-საკავშირო

⁶ იხ. «Документы внешней политики СССР», т. III, М., 1959, гл. 598; т. IV, М., 1960, гл. 423.

რაციულ ორგანოებში საგრძნობლად გაფართოვდა ამ ბოლო დროს. სახელდობრ, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარე 1957 წლიდან შედის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში. ასევე, ახლა გაცილებით მეტი დეპუტატითაა წარმოდგენილი ქართველი ხალხის სპეციფიკური ნაციონალური ინტერესები ეროვნებათა საბჭოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 19 მარტის ბრძანებულების შესაბამისად თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა აღნიშნულ ორგანოში აგზავნის არა 25, არამედ 32 დეპუტატს. ასე რომ საქართველოზე მთლიანად (ავტონომიური ერთეულების ჩათვლით) 59 წარმომადგენელი მოდის.

ამრიგად, საბჭოთა საქართველო წარმოადგენს სრულუფლებიან, სუვერენულ მოკავშირე რესპუბლიკას. მისი მართლაცდა შესანიშნავი, საყოველთაოდ ცნობილი მიღწევები სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში თვალნათლივ ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მახლობელი და გასაგებია ქართველი ხალხისათვის. რესპუბლიკა კიდევ უფრო აყვავდება და განმტკიცდება სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიად ოჯახში. ასევე განვითარდება აღმავლობის გზით მიმავალი ქართული სოციალისტური სახელმწიფოებრიობა. ამის საწინდარია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელება.

პარიზის კომუნა — მშრომელთა პიკედი სახელმწიფო

საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავენ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი მოვლენის — პარიზის კომუნის 100 წლისთავს.

პარიზის კომუნა წარმოადგენდა პირველ პრაქტიკულ დადასტურებას, რომ სწორი იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და მუშათა კლასის დიქტატურის შესახებ. ამავე დროს მისი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის შემდგომი განვითარება და გამდიდრება ახალი დებულებებით და დასკვნებით კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის დასამყარებლად მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის. მართალია კომუნამ 72 დღე იარსება, მაგრამ კომუნარების გმირობამ წარუშლელი კვალი დააჩნია საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების შემდგომ განვითარებას ევროპასა და სხვა კონტინენტების ქვეყნებშიც. ვ. ი. ლენინის სიტყვებით, კომუნამ ასწავლა პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის ამოცანების კონკრეტულად დასმა.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სირთულე და დაძაბულობა პარიზის კომუნის წინა პერიოდში იმდროინდელი საფრანგეთის მმართველი წრეების სრული გაკოტრების შედეგი იყო. ლუი ბონაპარტის ე. წ. მეორე იმპერია გაიხლართა გამოუვალ წინააღმდეგობებში. ქვეყანაში მძვინვარებდა ეკონომიური კრიზისი, უამრავი სახსრები იხარჯებოდა უშედეგო კოლონიურ ექსპედიციებში, აგრეთვე საიმპერატორო კარის შესანახად, უზარმაზარი მასშტაბები მიიღო მეფის ადმინისტრაციის მოხელეთა მექრთამეობამ და თვითნებობამ, იზრდებოდა მშრომელთა და მოსახლეობის ზოგიერთი სხვა ფენების საყოველთაო უკმაყოფილება არსებული რეჟიმით. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში ნაპოლეონ III წამოიწყო გერმანიასთან ომი, რომელშიც საფრანგეთის ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, ხოლო თვით იმპერატორი თავისი სამხედრო ძალების დიდ ნაწილთან ერთად დატყვევებული იქნა. აღნიშნული სამხედრო ავანტიურის ასეთი სამარცხვინო დაბოლოების შემდეგ საფრანგეთში გამოცხადდა რესპუბლიკური მმართველობა და 1870 წლის სექტემბერში საიმპერატორო ხელისუფლება შეიცვალა რესპუბლიკური მმართველობით. მაგრამ ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შემდგარ ახალ ე. წ. „ეროვნული თავდაცვის მთავრობას“, რომელსაც კ. მარქსმა ეროვნული დალატის მთავრობა უწოდა, თავის უპირველეს მტრად პარიზის შეიარაღებული მშრომელები მიაჩნდა, რომლებიც მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვათ ქვეყანა პარიზის დასაღებად წამოსულ პრუსიელთა ჯარებისაგან. გერმანიის წინაშე კაპიტულაციისა და მასთან სამარცხვინო პირობებზე დაზავების შემდეგ ტიერის მთავრობამ განიზრახა ეროვნული გვარდიის რიგებში გაერთიანებულ პარიზის მშრომელთა განიარაღება, მაგრამ ეს ცდა ვერ განხორციელდა და ამის შემდეგ დღემდე

ლაქის მთელი მოსახლეობა აღსდგა თავისი უფლებების დასაცავად, ხოლო შეშინებული მთავრობა ვერსალს გაიხიზნა.

ეს მოხდა 1871 წლის 18 მარტს. დამყარდა მშრომელთა, უპირველეს ყოვლისა პროლეტარიატის ძალაუფლება. ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა აჯანყებას, მთელი უფლებამოსილება გადასცა მშრომელთა მიერ არჩეულ კომუნსას. მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც კომუნამ განახორციელა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებს შეადგენდა, მაგრამ ბევრი რამ მის მიერ გაკეთებული სოციალისტური ხასიათის ღონისძიებებად უნდა ჩაითვალოს, რის გამო კომუნსას ჩამოშორდნენ ზოგიერთი მასთან ადრე მიტმასნილი ელემენტები წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული რესპუბლიკელების სახით. ტიერის მთავრობამ მთელი რეაქციული ძალების მხარდაჭერით და პრუსიელების ხელშეწყობით, ამავე დროს კომუნის სუსტი მხარეებისა და შეცდომების გამოყენებით საბოლოოდ დაამარცხა კომუნარები, სიტყვით აუწერელი სისასტიკით გაუსწორდა მათ და სისხლში ჩაახშო მშრომელთა პირველი სახელმწიფო ხელისუფლება.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, როგორც კომუნის თანამედროვეებმა, ხოლო შემდეგ ვ. ი. ლენინმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს პარიზის კომუნის მიმართ და მისი გამოცდილების ღრმა ანალიზი მოახდინეს. პროლეტარიატის დიდი ბელადების ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ პარიზის კომუნაში ისინი ხედავდნენ მანამდე არსებულ ყველა სახელმწიფოსაგან განსხვავებულ, ახალი ტიპის სახელმწიფოს. რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსით ხასიათდებოდა და ამ დიქტატურის ჩანასახობრივ პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენდა.

მართალია, მარქსის გენიამ წინასწარ ვანჭვრიტა, რომ იმდროინდელ საფრანგეთში ჯერ არ იყო პირობები პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, და ამიტომ კომუნამდე რამდენიმე თვით ადრე იგი აფრთხილებდა პარიზელ მშრომელებს, რომ ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის ცდა მარცხით დამთავრდებოდა. მაგრამ, როდესაც აჯანყება მაინც მოხდა, მარქსი აღტაცებით მიესალმა გმირ კომუნარებს, რომლებიც, მისი სიტყვით, „ზეცას უტევდნენ“. პარიზის კომუნის გაკვეთილების საფუძველზე მარქსმა და ენგელსმა გადაამოწმეს თავიანთი თეორიული დებულებები სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური დემოკრატიის, მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის როლის შესახებ და ზოგიერთი ახალი დასკვნებით გაამდიდრეს რევოლუციური თეორია.

ეს დებულებები და დასკვნები განსაკუთრებით სრულად არის ჩამოყალიბებული კ. მარქსის ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, რომელიც I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მოწოდების სახით არის შედგენილი. ვ. ი. ლენინმა მეტად მაღალი შეფასება მისცა კ. მარქსის ამ შრომას და საერთოდ მის პოზიციას კომუნის საკითხში. თავის მხრივ ვ. ი. ლენინიც ახალ ისტორიულ პირობებში ხშირად მიმართავდა პარიზის კომუნის გამოცდილებას, რომლის გათვალისწინება მისი აზრით აუცილებელი იყო რუსეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და ახალი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო ვ. ი. ლენინმა პარიზის კომუნის მარქსისტულ ანალიზს თავის ცნობილ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში დაიწერა და ამ

რევოლუციაში რუსეთის პროლეტარიატის ამოცანებისადმი იყო მიძღვნილი; ხოლო მანამდე კი ისეთ ნაშრომებში, როგორც არის „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, მოხსენება „კომუნის გაკვეთილების“ შესახებ, რომელიც გაკეთებულ იქნა 1908 წელს ჟენევაში ინტერნაციონალურ მიტინგზე, „წერილები შორიდან“, „პარიზის თეზისები“, „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“ და სხვ.

მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა პარიზის კომუნის მაგალითზე მკაფიოდ უჩვენეს სოციალისტური რევოლუციის განსხვავება სხვა, კერძოდ ბურჟუაზიული, რევოლუციებისაგან სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1852 წელს თავის ნაშრომში „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ მარქსმა ჩამოაყალიბა სოციალისტური რევოლუციისა და სახელმწიფოს თეორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევის აუცილებლობის შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია რევოლუციის პროცესში პირდაპირ ხელში აიღოს სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი, რომლითაც მას თრგუნავდა ბურჟუაზია, და ამუშავოს ეს აპარატი სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების ვადასაქრელად. პარიზის კომუნამ მარქსის მეცნიერული წინასწარხედვის საფუძველზე წამოყენებული ამ თეორიული დებულების პრაქტიკული დადასტურება მოახდინა. მარქსი და ენგელსი წერდნენ: „განსაკუთრებით კომუნამ დაამტკიცა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზა სახელმწიფო მანქანას და ამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის“.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს მანქანის მსხვრევის პროცესში კომუნამ თავის ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად განახორციელა რეგულარული ჯარის მოსპობა და მისი შეცვლა შეიარაღებული ხალხით. შესაბამის დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ უქმდებოდა სარეკრუტო გაწვევა, ყველა მოქალაქე, ვისაც კი ფიზიკურად შეეძლო, უნდა შესულიყო ეროვნულ გვარდიაში, რათა მონაწილეობა მიეღო სამშობლოს დაცვაში და არავითარი სხვა სამხედრო ძალა არ შეიძლებოდა შექმნილიყო პარიზში ან შეყვანილიყო მის ტერიტორიაზე; მოხდა პოლიციის რეორგანიზაცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში თვით მოსახლეობის მონაწილეობის საფუძველზე.

კომუნის შემდეგ ნაბიჯს ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატის მსხვრევის საქმეში წარმოადგენდა ჩინოვნიკების, როგორც პრივილეგირებული კასტის, გაუქმება. სპეციალური დეკრეტით დადგინდა ხელფასის მაქსიმუმი, რომლის ზევით არავის შეიძლებოდა დანიშნვოდა, ხოლო საზოგადოებრივი სამსახურის შემსრულებელ პირთა ხელფასი კვალიფიციური მუშის ხელფასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ თანამდებობათა დაკავება ხდებოდა არჩევნების გზით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მანამდე მეფის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ხალხის მსახურებად გადაიქცნენ.

ცალკე დეკრეტით იქნა გატარებული მსგავსი ღონისძიებანი მოსამართლეებისა და იუსტიციის დარგში მომუშავე სხვა ჩინოვნიკების მიმართ. ყველა მათ ენიშნებოდათ განსაზღვრული ხელფასი, ხოლო ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ეს მუშაკები ვალდებულნი იყვნენ ფულადი საწინდარი შეეტანათ თანამდებობათა დასაკავებლად, — გაუქმებულ იქნა. ამით მშრომელებს გზა გაეხსნათ მართლმსაჯულების ორგანოებში, სადაც მანამდე მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლები პარპაშობდნენ. მოსამართლეებმა, როგორც მარქსი ამბობდა,

დაკარგეს თავიანთი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა. ამერიიდან ისინი არჩეული უნდა ყოფილიყვნენ ხალხის მიერ და მის წინაშევე ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი; შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მათი გამოწვევა და შეცვლა. ამავე დროს გამოცხადებულ იქნა მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპები: ყველასათვის თანასწორი სასამართლო, სასამართლო პროცესის საჯაროობა, ბრალდებულთა უფლებების გარანტიები და სხვ. მართალია, ამ მიმართულებით დასახული ყველა ღონისძიების განხორციელება კომუნას არ დასცალდა, მაგრამ რაც მან გააკეთა და რის გაკეთებასაც აპირებდა, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ამოცანების შესასრულებლად ტრადიციულად არსებული სახელმწიფო აპარატი უნდა შეცვლილიყო სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო ორგანიზაციით.

არმიის, პოლიციის — ძველი მთავრობის მატერიალური ძალაუფლების ამ იარაღების, აგრეთვე ძველი სასამართლოს მოსპობისთანავე კომუნა შეუდგა სულიერი ჩაგვრის იარაღის — სამღვდლოების შემუსვრას, რისთვისაც ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს. შესაბამის დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავარ პრინციპს თავისუფლება წარმოადგენდა, სინდისის თავისუფლება კი პირველია სხვა თავისუფლებათა შორის; მაგრამ კულტის ბიუჯეტის არსებობა ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, ვინაიდან იგი ძალადობას ახდენს მოქალაქეთა რწმენაზე; სამღვდლოება მონარქიის თანამონაწილე იყო თავისუფლების წინააღმდეგ დანაშაულობებში; ამიტომ დეკრეტი ადგენდა, რომ ეკლესია ჩამოშორებოდა სახელმწიფოს, გაუქმებულიყო კულტის ბიუჯეტი, რელიგიური გაერთიანებების ე. წ. განუსხვისებელი ქონება ჩამორთმეული ყოფილიყო და გამოცხადებულიყო ეროვნულ საკუთრებად. შემდეგ დამატებითი აქტით მოხდა ეკლესიის ჩამოშორება სკოლისაგან, რითაც შესაძლებელი ხდებოდა ახალგაზრდა თაობის გათავისუფლება რელიგიის მავნე გავლენისაგან.

რას წარმოადგენდა ის ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც პარიზის კომუნის სახით დამყარდა 1871 წლის რევოლუციის პროცესში?

როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, კომუნა შედგა ქალაქის ხმოსნებისაგან, რომლებიც საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეულ იქნენ პარიზის სხვადასხვა უბანში და მათი გამოცვლა ყოველთვის შეიძლებოდა. კომუნის 80 წევრიდან უმრავლესობას მუშები ან მუშათა კლასის აღიარებული წარმომადგენლები შეადგენდნენ. სწორედ მუშები დაარჩნენ ბოლომდე ერთგულნი კომუნისა, მისი დროებითი თანამგზავრები კი მას თანდათან ჩამოშორდნენ, რაც უფრო მეტად იღებდა სოციალისტურ ხასიათს მის მიერ გატარებული ღონისძიებანი.

უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას განასახიერებდა საბჭო, რომელშიც პარიზის კომუნის ყველა წევრი შედიოდა. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საბჭო ხმის უმრავლესობით იღებდა გადაწყვეტილებებს, რომელთა ნაწილი დეკრეტების სახით იცემოდა. კომუნის სხდომებს ხელმძღვანელობდა მის მიერვე არჩეული პრეზიდიუმი, ხოლო კომუნის გადაწყვეტილებათა აღსრულება უნდა დაკისრებოდა მის წევრთა შემადგენლობიდან შექმნილ კომისიებს, რომლებიც შემდეგ დარგებში არსებობდნენ: სამხედრო, სურსათის, ფინანსების, იუსტიციის, საზოგადოებრივი უშიშროების, შრომის, მრეწველობისა და გაცვლის, ვანათლების, საგარეო ურთიერთობის. იყო კიდევ ე. წ. აღმასრულებელი კომისია, რომელსაც ევალებოდა კომუნისა და მისი დანარჩენი კომისიების გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს პარიზის კომუნის მიერ ძველი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გაუქმებას, რასაც თავის დროზე დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად თვლიდა კ. მარქსიც.

კომუნა უნდა ყოფილიყო, მიუთითებდა კ. მარქსი არა პარლამენტური დაწესებულება, არამედ მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონმდებელიცა და კანონების აღმასრულებელიც. ვ. ი. ლენინი მთლიანად იზიარებდა იმ დასკვნებს, რომლებიც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელმა გააკეთა პარიზის კომუნის გამოცდილების, მიერ მიერ სახელმწიფო ორგანიზაციის პრინციპების და გატარებულ ღონისძიებათა შესწავლის საფუძველზე. „ამრიგად, — წერდა ლენინი, — დამსხვრეული სახელმწიფო მანქანა კომუნამ შეცვალა თითქოს „მხოლოდ“ სრული დემოკრატით: მუდმივი არმიის მოსპობა, ყველა თანამდებობის პირთა სრული არჩევითობა და გამოცვლის შესაძლებლობა. მაგრამ სინამდვილეში ეს „მხოლოდ“ ნიშნავს ერთ დაწესებულებათა გიგანტურ შეცვლას პრინციპულად სხვაგვარი დაწესებულებებით. აქ ვხედავთ სწორედ „რაოდენობის თვისებრიობად გადაქცევის“ ერთ-ერთ შემთხვევას: დემოკრატია ისეთი უდიდესი სისრულითა და თანმიმდევრობით გატარებული, როგორც ეს საერთოდ წარმოსადგენია, ნაცვლად ბურჟუაზიული დემოკრატისა იქცევა პროლეტარულ დემოკრატიად...“¹

სამწუხაროდ, კომუნის გაკვეთილები, მარქსის მიერ კომუნის გამოცდილების ანალიზი, მიუთითებს იქვე ვ. ი. ლენინი, დაივიწყეს ოპორტუნისტებმა და მარქსიზმის სხვა მოღალატეებმა, მაშინ როდესაც სახელმწიფოს თანამდებობის პირთა სრული არჩევითობა, მათი ყოველყამს გამოცვლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მათი პრივილეგიების გაუქმება და გასამრჯელოს დაყვანა ჩვეულებრივი მუშის ხელფასის დონემდე, — ეს ისეთი ღონისძიებებია, რომლებიც ეხება საზოგადოების სახელმწიფოებრივ, წმინდა პოლიტიკურ გარდაქმნას. „სწორედ აქ ყველაზე თვალსაჩინოდ აშკარავდება გარდატეხა ბურჟუაზიული დემოკრატიადან პროლეტარული დემოკრატისაკენ, მჩაგვრელი დემოკრატიადან ჩაგრული კლასების დემოკრატისაკენ, სახელმწიფოდან, როგორც გარკვეული კლასის დათრგუნვის „განსაკუთრებული ძალიდან, ხალხის უმრავლესობის, მუშებისა და გლეხების საყოველთაო ძალით მჩაგვრელთა დათრგუნვისაკენ“². რუსეთის რევოლუციაში კომუნის გამოცდილების გამოყენების საჭიროების დასაბუთებისას ვ. ი. ლენინი ამასთანავე მიუთითებდა, რომ ამ ღონისძიებებს თავისი ნამდვილი აზრი და რეალური მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ მიეცემათ, თუ ისინი განხორციელდებიან ექსპლოატატორთა დამხობისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევის საფუძველზე.

კომუნის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე მარქსი არა მარტო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს იყო სახელმწიფოს ახალი ტიპი—პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, არამედ იმაზეც მიუთითა, რომ კომუნა არის სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს შესაბამისი, საზოგადოების ორგანიზაციის ახალი პროლეტარული ფორმა. ვ. ი. ლენინი წერდა: „...როდესაც პროლეტარიატის მასობრივმა რევოლუციურმა მოძრაობამ იფეთქა, მარქსი მიუხედავად მისი ხან-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 516.

² იქვე, გვ. 517.

მოკლეობისა და მეტად აშკარა სისუსტისა, შეუდგა იმის შესწავლას, თუ რა ფორმები აღმოაჩინა ამ მოძრაობამ.. კომუნა რევოლუციის მიერ „ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი“ პროლეტარული ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს შრომის ეკონომიური განთავისუფლება... კომუნა პროლეტარული რევოლუციის პირველი ცდაა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მანქანის დამსხვრევისა და „ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი“ პოლიტიკური ფორმაა, რომლითაც შესაძლებელია და უნდა შეიცვალოს დამსხვრეული მანქანა“.³

როგორც უკვე აღინიშნა, პარიზის კომუნამ დიდხანს ვერ იარსება. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს საერთოდ და, კერძოდ, საფრანგეთში არ იყო მომწიფებული პირობები პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისა და სოციალისტური მშენებლობის განხორციელებისათვის; გარდა ამისა, პარიზის მუშების ამ რევოლუციურ გამოსვლას არ ხელმძღვანელობდა მტკიცე მარქსისტული პარტია. კომუნამ მთელი რიგი სერიოზული შეცდომები დაუშვა, რამაც დააჩქარა კონტრრევოლუციის გამარჯვება და კომუნის დაცემა. მაგრამ პარიზის გმირი კომუნარების ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის მთელ შემდგომ მსვლელობაზე. გზა გაუკაფა მომავალ პროლეტარულ რევოლუციებს, მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოებს.

კომუნის საქმე უკვდავია.

ქილევ უფრო აუბეალოთ საბჭოების როლი და ნიშვნელობა

პროფ. გრ. ერაშოვი

საბჭოები ყველაზე წარმომადგენლობითი მასობრივი ორგანოებია. საბჭოების ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ხალხურობა, რაც მათ ახასიათებს შექმნის პირველი დღიდანვე, როდესაც ისინი წარმომადგენდნენ საფაფიცივო ან აჯანყების ორგანოებს.

ისინი დიდ როლს ასრულებენ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებაში, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა.

საბჭოები ინტერნაციონალური ხასიათის ორგანოებია. ისინი თანმიმდევრულად იცავენ ყველა ერისა და რასის თანასწორობის იდეას.

საბჭოების შემადგენლობაში ორ მილიონზე მეტი დეპუტატია გაერთიანებული. მათ შორის არიან: მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ქალები, ახალგაზრდები, პენსიონერები, დისახლისები, სამხედრო პირნი და ა. შ. საბჭოების საქმიანობაში შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისები.

საბჭოებისათვის დამახასიათებელია საჯაროობა მუშაობაში. როგორც საბჭოს სესია, ისე აღმასკომის სხდომა ღიად მიმდინარეობს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაესწრონ მათ სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოები ერთიანი, ერთადერთი სრულუფლებიანი ორგანოები არიან შესაბამის ტერიტორიაზე.

პარტია მოითხოვს ... აუბეალოთ ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობის მართვაში, განვანორციელოთ სამეურნეო მართვის რიგი ფუნქციების შემდგომი გადაცემა საერთო-საკავშირო ორგანოებისაგან რესპუბლიკური ორგანოებისათვის, რესპუბლიკური ორგანოებისაგან საოლქო ორგანოებისათვის, საოლქო ორგანოებისაგან რაიონული ორგანოებისათვის“¹.

1962 წლის ნოემბრიდან ჩვენს ქვეყანაში საბჭოების ერთიანობის და სრულუფლებიანობის ლენინური პრინციპი დაირღვა. დაიწყო როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ორგანოების შექმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით. ეს იყო გაუმართლებელი ექსპერიმენტი, რაც შედეგი იყო სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმისა. ამ ნაბიჯმა ვერ ჰპოვა გამართლება პრაქტიკაში, ერთმანეთს დააშორა მუშათა კლასი და გლეხობა, შეკვეცა საბჭოების ფუნქციები, საბჭოები დააშორა მასებს.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამ ნიშნით დაყოფის შემდეგ ისინი აქტიურად ვეღარ ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, დაკარგეს დამოუკიდებელი მოქმედების, ინიციატივის უნარი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმმა სრულიად მართებულად საჭიროდ მიიჩნია დაგბრუნებოდა ტერიტორიულ საწარმოო ნიშნით

¹ სკკპ პროგრამა, 1961 წ. გვ. 97.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების აგების პრინციპს. პლენუმმა თავის დადგენილებაში ჩაწერა: „დაევალოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა ორგანიზაციული საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მხარეებსა და ოლქებში ერთიანი პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნასთან, აგრეთვე ერთიანი საბჭოთა ორგანოების აღდგენასთან“.

პარტიამ დასახა და განახორციელა მრავალი ღონისძიება საბჭოების სრულყოფილებისათვის, მისი ყოვლისმომცველობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის 16 ნოემბრის დადგენილებას „პოლტავის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ“. ამ დადგენილებაში განზოგადებულია არა მარტო ამ ოლქის საბჭოების, არამედ საერთოდ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ნაკლოვანებანი. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები სრულად არ იყენებენ იმ უფლებებს, რაც მათ კონსტიტუციისა და ადგილობრივი საბჭოების დებულებებით აქვთ მინიჭებული, ვერ უწყვიენ საჭირო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმო-დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს².

სკკპ XXIII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში განაცხადა, რომ „ადგილობრივი საბჭოები მოწოდებულნი არიან აუმჯობესებდნენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საბჭოთა ადამიანების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს, კიდევ უფრო ენერგიულად მუშაობდნენ ქალაქების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, საბინაო და საგზაო მშენებლობის საქმეში“³.

XXIII ყრილობის რეზოლუციაში მითითებულია, რომ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმებს. „პარტიამ გამოასწორა დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისადმი სუბიექტივისტურ მიდგომასთან, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის გაუმართლებელ გარდაქმნასთან დაკავშირებული შეცდომები“⁴.

ყრილობის რეზოლუციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის გაძლიერებას, რათა ისინი სრული მოცულობით იყენებდნენ თავიანთ უფლებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებასა და შესრულების შემოწმებაში, მეტ ინიციატივას იჩენდნენ საგეგმო, საფინანსო, მიწის საკითხების გადაჭრაში, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების ხელმძღვანელობაში.

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

² იხ. *Справочник партийного работника*, 1966, гв. 392—393.

³ სკკპ XXIII ყრილობის მასალები, 1966, გვ. 93.

⁴ იქვე, გვ. 238.



1968 წლის 8 აპრილს მიიღო ბრძანებულება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“. იმავე დღეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სანიმუშო დებულება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ“.

ამ დოკუმენტებით სადაბო და სასოფლო საბჭოების ფუნქციები გაფართოვდა დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშების, საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, ჯანმრთელობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, კანონიერების დაცვის, თავდაცვითი მუშაობის და სხვა დარგებში⁵. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებმა მიიღეს შესაბამისი კანონები.

კანონი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ მიღებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1968 წლის 25 დეკემბერს.

1970—1971 წლებში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირები. საქართველოში ასეთი თათბირი ჩატარდა მიმდინარე წლის იანვარში. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღო 115 კაცმა, აქედან ოცდაექვსმა პლენარულ სხდომებზე, ხოლო 89 კაცმა — სექციებში. თათბირის მუშაობა შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მყავანაძემ⁶.

მიმდინარე წლის მარტში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენლებაში ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელ წლებში რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა შესამჩნევად გაააქტიურეს თავიანთი საქმიანობა, გაუმჯობესეს მუშაობა მასებში, გააძლიერეს ყურადღება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებისადმი; ამილდა საბჭოების სესიების მნიშვნელობა, უფრო რეგულარული გახდა აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მაგრამ რაიონული და საქალაქო საბჭოები ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ თავიანთ უფლებებსა და შესაძლებლობებს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

მსხვილი ქალაქების სწრაფი განვითარების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საქმიანობას, მაგრამ ბევრ ქალაქში რაიონული საბჭოების უფლებები გაუმართლებლად შეკვეცილია, ზუსტად არ არის განსაზღვრული რაიონული და საქალაქო საბჭოების კომპეტენციები.

⁵ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968, № 16, მუხ. 131, 132.

⁶ იხ. ჟურნ. «Советы депутатов трудящихся», 1971, № 3, გვ. 84.

დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საკითხს. საბჭოთა ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფას, სოციალისტური კანონიერების დაცვას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და საერთოდ საბჭოების როლისა და ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების აუცილებლობას, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების მტკიცედ დაცვას, დეპუტატების აქტივობის გაზრდასა და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა; რათა მიღებული ყოფილიყო საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და ქალაქების რაიონული საბჭოების უფლებებსა და მოვალეობებს⁷.

პარტიული ღირეტივების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 19 მარტს მიიღო ორი ბრძანებულება: „მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“ და „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“.

ამ ბრძანებულებებით დასახული ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს ამ რგოლის საბჭოების როლი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში.

რაიონული საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ზემო დასახელებული ბრძანებულების პირველივე მუხლში ჩაწერილია, რომ ისინი კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში წყვეტენ რაიონული მნიშვნელობის ყველა საკითხს, ამასთან ხელმძღვანელობენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და შესაბამისი რაიონის მშრომელთა ინტერესებით.

გამოთქმას „რაიონული მნიშვნელობის ყველა საკითხს“ ახსნაც აღარ ესაჭიროება. ეს საბჭოების სრულუფლებიანობის გამომხატულებაა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროებში. საბჭოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში ისინი კონტროლს უწევენ რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული გაერთიანებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციების მუშაობას და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას. ბრძანებულებით გათვალისწინებულია, რომ რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

ბრძანებულების მერვე მუხლში განსაზღვრულია რაიონული საბჭოს უფლებამოსილება. იგი თავის მხრივ 41 ქვეუნიჭისაგან შედგება. რაისაბჭოს უფლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: რაიონის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და რაიონის ბიუჯეტის დამტკი-

⁷ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დასახელებული დადგენილება, იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 14 მარტი.

ცება, ხელმძღვანელობა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშებისა და გადახდევინების სამუშაოებისადმი.

რაისაბჭო ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, განიხილავს კოლმეურნობათა წლიურ ანგარიშებს; უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გემებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებას, ნათესებისა და ნარგავების დაცვას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს;

კონტროლს უწევს ტყეების გაშენების, დაცვისა და სწორად გამოყენების, ტყის მელორაციისა და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებას;

ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, დახმარებას უწევს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე, ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოების წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში;

იმისათვის, რომ გაძლიერდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების დაინტერესება საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებით, ამიერიდან რაიონების ბიუჯეტებს გადაეცემა შესაბამისი რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ნაწილი. ეს იმ მოგების ანარიცხების გარდა, რაც მათ დღემდე ერიცხებოდათ რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქების საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

რაიონული საბჭო ახორციელებს კონტროლს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობისადმი, კრძალავს და აჩერებს ისეთ მშენებლობებს, რომლებიც ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების აქტებს, მონაწილეობას იღებს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სხვა (არაქვემდებარე) დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღებაში.

რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, როგორც ხელისუფლების ორგანოს, თავის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში აქვს თავისი უფლებამოსილება და ეკისრება ვალდებულებანი. ყველა ეს საკითხი შეიძლება განხილულ და გადაწყვეტილ იქნას სესიებზე ან აღმასკომის სხდომაზე. მაგრამ ბრძანებულება ცალკე გამოჰყოფს საკითხებს, რომლებიც განეკუთვნება მხოლოდ საბჭოს, ე. ი რომლებიც აუცილებლად საბჭოს სესიაზე უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი. ასეთებია: საბჭოს აღმასკომის არჩევა, აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა, საბჭოს მდუმივი კომისიების, აგრეთვე აღმასკომის ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა; რაიონული სახალხო სსამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება; რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება, დეპუტატთა რწმუნებულების ცნობა. დეპუტატთა რწმუნებულებებზე ხელის აღება დეპუტატთა პირადი განცხადებების შესაბა-

მისად; ანგარიშების მოსმენა აღმასკომისა და მუდმივი კომისიებისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეორე ბრძანებულება — „მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“, შეეხება: 1. რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, 2. რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს და 3. მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოების უფლებებსა და მოვალეობებს, მათს კომპეტენციასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ამ საბჭოების ურთიერთდამოკიდებულება (ქალაქის რაიონისა ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსთან, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოსი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსთან) დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით წყდება.

საქალაქო საბჭო რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს თავისი აღმასკომის შესაბამისი განყოფილებებისა. სამმართველოების ან უშუალოდ აღმასკომის მეშვეობით.

ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს, თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ დარგობრივ ორგანოებს.

ბრძანებულებით განსაზღვრულია ყველა ამ სახეობათა საბჭოებისა და მათი აღმასკომების უფლებამოსილება, აგრეთვე ის უფლებანი, რომელთა გადაწყვეტა მიეკუთვნება მხოლოდ საბჭოს სესიებს.

საბჭოების და მათი აღმასკომების აქტები ერთი და იმავე ფორმით (გადაწყვეტილება, განკარგულება) ქვეყნდება. ამ მხრივ განსხვავება იმაშია, რომ ისეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომლითაც ქვეყნის წესის დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, აქვს ყველა რგოლის ადგილობრივ საბჭოს გარდა ქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსი. რაიონებად დაყოფილ ქალაქში ასეთი აქტის გამოქვეყნება მიზანშეწონილია ქალაქის მთელი ტერიტორიის მასშტაბით.

ბრძანებულებაში განსაზღვრულია აგრეთვე აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების მოწყობის წესი და, სხვათა შორის, აღნიშნულია ისიც, რომ ისინი შეიძლება მოეწყონ არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტზე, არამედ სამეურნეო ანგარიშზეც.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 19 მარტის ზემოთ განხილული ორივე ბრძანებულებით რაიონული, ქალაქისა და ქალაქის რაიონების დეპუტატებისათვის გათვალისწინებულია გათავისუფლება თავისი საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან და საშუალო ხელფასის შენარჩუნება მუდმივ სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ სადეპუტატო მოვალეობას. განსხვავება აქ იმაშია, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატისათვის მხედველობაში მიღებულია დასწრება თავისი საბჭოს სესიაზე, აღმასკომისა და იმ მუდმივი კომისიის

სხდომაზე, რომლის შემადგენლობაშიც იგი არჩეულია (მუხ. 13), ქალაქისა და ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატისათვის კი — მხოლოდ საბჭოს სესიაზე და აღმასკომის სხდომაზე დასწრება.

როგორც ვხედავთ, მუდმივი კომისიის სხდომაზე დასწრებისათვის ასეთი შეღავათი ქალაქისა და ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატისათვის გათვალისწინებული არ არის (მუხ. 16).

იგივე ბრძანებულებანი ამ რგოლის საბჭოების ყველა დეპუტატისათვის აწესებენ, რომ რაიონის, ქალაქის რაიონის საბჭოს დეპუტატს, „როცა ასრულებს დეპუტატის მოვალეობას“, უფლება აქვს ისარგებლოს ადგილობრივი ტრანსპორტით.

რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს რაიონის ფარგლებში უფასოდ იმგზავროს საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტით, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს (მაგალითად, თბილისში) დეპუტატს უფლება აქვს უფასოდ იმგზავროს ქალაქის ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი).

ორივე ბრძანებულება ითვალისწინებს აგრეთვე დეპუტატის უფლებას, რომ არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ იგი საწარმოდან. დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გარიცხონ კოლმეურნეობიდან, მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დააპატიმრონ ისე, თუ ამაზე არ იქნა შესაბამისი საბჭოს ან, საბჭოს სესიებს შორის პერიოდში აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა. ამ ბრძანებულებათა შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების უმადლესი საბჭოების პრეზიდენტები შეიმუშავებენ სათანადო აქტებს რაიონული საბჭოების, ქალაქის და ქალაქის რაიონების საბჭოებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ გაამახვილა ყურადღება საბჭოების, როგორც სახალხო ხელისუფლების ორგანოთა როლის ამადლებისა და მათი უფლებების გაფართოებაზე. „მომწიფდა იმის საჭიროება, — განაცხადა იქვე ლ. ი. ბრეჟნევიმა, — რომ შევიშუშოთ სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს დეპუტატების სტატუსს — უმადლესი საბჭოს დეპუტატიდან სადაბო საბჭოს დეპუტატამდე, მათს რწმუნებებსა და უფლებებს, აგრეთვე თანამდებობის პირთა ვალდებულებებს დეპუტატთა მიმართ. მიგვაჩნია, რომ ასეთი კანონის მიღება გაადიდებს დეპუტატთა ავტორიტეტსა და აქტივობას“⁸.

ყრილობაზე აღინიშნა ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში განმტკიცდა საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზა. აქ უნდა გავიხსენოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის მარტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“⁹.

დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ 1971—1975 წლებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები უზრუნველყოფილ უნდა იქნან კეთილმოწყობილი შენობებით, სატრანსპორტო საშუალებებით. ორგტექნიკის სავნებით, მოწყობილობით, ავეჯითა და ინვენტარით; ამავე საბჭოების აღმასკომების გამგებლობაში დამატებით უნდა გადაეცეს ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალურ-

⁸ გაზ. „კომუნისტი“, 1971 წ. 1 აპრილი.

⁹ გაზ. „კომუნისტი“, 1971 წ. 23 მარტი.

რი მეურნეობის, ვაჭრობის საწარმოები და სხვა ის საწარმოები, რომლებიც უპირატესად ემსახურებიან მოცემული რაიონის, ქალაქის მოსახლეობას; ამ საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში უნდა დარჩეს ის შემოსავალი, რომელსაც დამატებით იღებენ ბიუჯეტის შესრულების დროს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის ვადამეტების თანხები, რომლებიც წლის დამლევისათვის იქმნება შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მოპოვების შედეგად.

სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოთა დასახელებული აქტები მიმართულია ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის განმტკიცებისაკენ, საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, მათი როლის ამაღლებისაკენ, საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტებისათვის მეტი მატერიალური ბაზის შექმნისაკენ.

ამ საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ კადრები, რომლებსაც ამ ზაზით უხდებთ მუშაობა. მათ კარგად უნდა შეისწავლონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მარეგულირებელი ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. უეჭველია სახელმწიფო აპარატის მუშაკების იურიდიული ცოდნით აღჭურვა თავის შედეგს გამოიღებს, გააუმჯობესებს კომუნისტების მშენებელი სახელმწიფო აპარატის საერთო მუშაობას.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 13 ივნისს მოეწეობა მოკავშირე და ავტონომიური სს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის ადგილობრივ საბჭოებს ზემოთ განხილული აქტების სახით უდავოდ მნიშვნელოვანი იურიდიული საფუძველი შეექმნათ თავიანთ მომავალ მუშაობაში, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

იუკიდიუდი სანსახუკი ახალი ანოთანაბის წინაუბ

6. წარითელი

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ვარკვევით მინიშნებულია, რომ აუცილებელია სამეურნეო ხელშეკრულების როლის ამაღლება, საწარმოთა შორის ეკონომიურად მიზანშეწონილი უშუალო ურთიერთობის განვითარება, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ანგარიშით დანტერესება, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება, მეურნეობის ყველა სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება. ამის შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო მეურნეობის სამართლებრივი რეგულირებისა და იურიდიული სამსახურის როლი.

იქ, სადაც სწორად არის დაყენებული იურიდიული სამსახური, თვალსაჩინოა მიღწეული შედეგები სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების აღკვეთის, უნაყოფო ხარჯების და სოციალისტური ქონების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის აცილების, მიყენებული ზარალის ანაზღაურების, დებიტორული დავალიანების ლიკვიდირების, გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის და მოგების გეგმების შესრულების, სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებაზე კონტროლის დაწესების, საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე სამართლებრივ უშუალებათა გონივრუ-

ლად გამოყენება ხელს უწყობს საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიური ძლიერების ამაღლებას, სამეურნეო მართლწესრიგის დამყარებას.

სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანათა კომპლექსში იურიდიულ სამსახურს განკუთვნილი აქვს საპატიო ადგილი — იბრძოლოს იმ არანორმალური მოვლენების ამოძიკვისათვის, რომლებიც ხელს უშლის სამეურნეო საქმიანობის ისე წარმართვას, რომ წარმოებაზე გაწეული დანახარჯები არა მარტო დაიფაროს შემოსავლით, არამედ კიდევაც დაგროვდეს მოგებისა და მატერიალური სტიმულირების ფონდები, რაც საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმავლობის აუცილებელი პირობაა.

პარტიისა და მთავრობის ბოლო ხანს მიღებულ დადგენილებაში იურიდიული სამსახურის შესახებ მითითებულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ამ სამსახურის როლი. დადგენილებაში აღნიშნულია ისიც, რომ ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგ საწარმოში, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის საბჭოების აღმასკომებში ნაკლებად ფასდება სამართლებრივი მუშაობა და იგი არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რომ ადგილი აქვს სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევებს. სათანადო ზომებს დამრღვევთა წინააღმდეგ არ იღებენ, არასრულად იყენებენ ქონებრივ სანქციებს. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების და ორგანიზაციების იურიდიულ მუშაობებს არ იზიდავენ, საგეგმო და

სახელმწიფოებრივი დისციპლინის ჩამოშლის, სოციალისტურ ქონების გატაცების, მექრთამეობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, შრომის, ადმინისტრაციული და საბინაო კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემუშავებაში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მსხვილ საწარმოთა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა (რესპუბლიკაში მუშაობს 500-მდე იურისკონსულტი), ჯერ კიდევ ბევრი საწარმო და ორგანიზაცია მოკლებულია კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი სამრეწველო საწარმოები, როგორც არის ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანა და გორის ბამბულის ქსოვილების კომბინატი, სადაც იურიდიულ სამსახურს წარმართავენ საანგარიშო დარგის მუშაკები, რომელთაც იურიდიული ვანათლება არა აქვთ.

კვლავ ვლინდება ზოგიერთი ხელმძღვანელის ნიჰილისტური დამოკიდებულება იურიდიული საქმიანობისადმი, რაც ჩვეულებრივ იურისკონსულტის შტატის გაუქმებით იწყება ხოლმე. თვით ამ სამუშაოზე ზოგ შემთხვევაში მოხვედრილ პირს არამც თუ არა აქვს კვალიფიციური ცოდნა, იურიდიული სამსახურის სპეციფიკის ელემენტარულ საკითხებშიც ვერ ერკვევა და საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის სამართლიან საყვედურს და გულისწყრომას იმსახურებს.

ზოგიერთ საწარმოში და ორგანიზაციაში იურიდიული სამსახურის მუშაკებისათვის არ არის შექმნილი მუშაობის საჭირო პირობები, მათ არ ამარაგებენ სამართლებრივი ნორმების კრებულე-

ბით და სხვა იურიდიული ხასიათის ლიტერატურით. უწყებების, საწარმოების, ხელმძღვანელები არ ზრუნვენ იურისკონსულტების ხელფასის მოწესრიგებისათვის, რომ ისინი დაინტერესდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შედეგებით. ზოგი საწარმოსა და ორგანიზაციის იურისკონსულტი ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ სათანადო დონეზე დააყენოს მშრომელთა იურიდიული კონსულტაციების საქმე, დროულად გასცეს პასუხი მათს საჩივრებსა და განცხადებებზე.

მეტად მცირეა (შეიძლება ითქვას, თითქმის არ არის) ქართულ ენაზე გამოცემული სამეურნეო კანონმდებლობის ცნობარები. იშვიათად იბეჭდება ქართულ ენაზე აგრეთვე ლიტერატურა სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხებზე.

რაც შეეხება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიულ მომსახურებას, ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებთან ჩამოყალიბებულმა იურიდიული სამსახურის მუშაკთა ჯგუფები, რომელნიც შეერთებული ძალით უწყევნ იურიდიულ მომსახურებას სამმართველოებში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამ ჯგუფების მუშაობის პრაქტიკამ მეტად სასურველი შედეგები გამოიღო. საგრძნობლად შემცირდა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში დებიტორული დავალიანება, გაიზარდა პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საკოლმეურნეო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა შეიცვა-

ლოს; აქ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ზოგი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ მოკლებულია იურიდიულ მომსახურებას, სუსტია საბჭოთა კანონების პროპაგანდა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ისიც, რომ ახლახან მიღებული სანიმუშო წესდება ახალ სოციალურ-ეკონომიურ ამოცანებს აყენებს კოლმეურნეობათა წინაშე.

სწორად არის ხაზგასმული, რომ ამ ახალ ამოცანათა გადაჭრისათვის კოლმეურნეობა უფლებამოსილია დამოუკიდებლად მოაწესრიგოს შიდასაკოლმეურნეო საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს დისპოზიციურობა ობიექტურად არის საჭირო, რათა კოლმეურნეობამ მეტი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინოს საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის პროცესში, უფრო მიზანშეწონილად გამოიყენოს ძირითადი და საბრუნავი საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, გააუმჯობესოს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყაროს სხვა სოციალისტურ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, აამაღლოს მიწათმოქმედების კულტურა, ეფექტურად გამოიყენოს კაპიტალდაბანდებანი, წახალისოს კოლმეურნეობები, განამტკიცოს საკოლმეურნეო შრომითი დისციპლინა.

მაგრამ სოფლის მეურნეობაში სამართლებრივ საშუალებათა გამიზნულად გამოყენებას ხელს უშლის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის იურიდიული გაუთვისებლობა, მათ მიერ კარგად არცოდნა თავიანთი სუბიექტური უფლებებისა და მოვალეობებისა. ამ მხრივ არსებული ხარვეზის შევსება მათთან ორგანიზებულ იურიდიულ სამსახურს უნდა დაეკისროს.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით აუცილებლად მიჩნეულია პროფილის მიხედვით სახალხო მეურნეობისათვის იურიდიული კადრების მომზადების საკითხი. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და მმართველობაში, იურიდიული სამსახურის წარმართვა სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. გარდა ამისა, ასეთი სპეციალიზაცია დიდად შეუწყობდა ხელს თვით მუშაობის დონის ამაღლებასაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მთელი რიგი წინადადებანი წამოაყენა ამ სპეციალობაში სწავლების გაუმჯობესებისათვის. აუცილებელია გადიდეს სამეურნეო სამართლის კურსის სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათები. სპეცკურსები (სამეურნეო სამართალი, სატრანსპორტო სამართალი, არბიტრაჟი და სამეურნეო ხელშეკრულება და სხვა), რომლებიც ამჟამად ისწავლება, დამოუკიდებელ სასწავლო საგნებად უნდა გამოიყოს და დაწესდეს სათანადო გამოცდები ან დიფერენცირებული ჩათვლები. ამ პროფილით მოსამზადებელი სტუდენტებისათვის სავალდებულო უნდა განდგეს საწარმოო პრაქტიკის გავლა სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟებში.

ჯერჯერობით სათანადო სიმაღლეზე არა დგას იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ მოწყობილი სემინარები მოკლევადიანია. საჭიროა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში მაინც მოეწყოს იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი გრძელვადიანი სემინარები.

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედმა გამომცემლობებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ქართულ ენაზე სამეურნეო კანონმდებლობაზე ლიტერატურის გამომცემის საკითხს.

იურისკონსულტთა რესპუბლიკურმა საზოგადოებრივმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია იურიდიულ სამსახურის მუშაკთა შეკავშირებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ქალაქებში რუსთავში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში ორგა-

ნიზებულია საბჭოს ფილიალები. მათ მრავალი ღონისძიება განახორციელეს იურიდიული სამსახურის დონის ამაღლებისათვის. საბჭო და მისი ფილიალები მომავალში უნდა იქცნენ იურიდიული სამსახურის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შემუშავებელ ცენტრებად და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით განამტკიცონ ეს სამსახური, აიყვანონ მათი საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნრილებათა დონემდე.

დაუქორწინებელ პირთა ბავშვის ნაკრძოლის დადგენა სასამართლოს წესით

თ. ლილუაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

ახალი კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ითვალისწინებს სასამართლო წესით დაუქორწინებელ პირთა ბავშვის მამობის და მამად ცნობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის საქმეთა სწორად გადაწყვეტისათვის.

რადგან მამობის დადგენა და მამად ცნობის ფაქტის დადგენა კანონის თანახმად ხდება სხვადასხვა პირობებისა და გარემოებების არსებობისას, მიზანშეწონილია განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. მამობის დადგენა. ცნობილია, რომ შვილის წარმოშობა იმ მშობლები-საგან, რომლებიც ქორწინებაში არიან, დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ. ახალი კანონმდებლობით შესაძლოა მამობის დადგენა იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი წარმოშობილია მშობლებისაგან, რომლებიც დაქორწინებული არ არიან. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლისა და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად შვილის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, დადგინდება მათ მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით მმაჩის ორგანოში. ასეთი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგენილ იქნას სასამართლოს წესით.

ამ მუხლების თანახმად მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იდგება: 1. ბავშვის დედისა და მოპასუხის, ე. ი. იმ პირის, რომლის მამობაც უნდა დადგინდეს, ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე; 2. ბავშვის ერთად აღზრდას; 3. ბავშვის ერთად რჩენას; 4. მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, რაც დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.

ასეთია იმ გარემოებათა წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მოპასუხის მამობის დადგენის შესახებ. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ მამობის დადგენისათვის აუცილებელი არ არის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოების ერთდროულად არსებობა. მაგალითად, თუ დადგენილია, რომ მოპასუხე მონაწილეობდა ბავშვის აღზრდაში ან რჩენაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ მიუხედავად იმისა აღიარებს თუ არა მოპასუხე თავის მამობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად თუ დადასტურებულია ის გარემოებები, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ მამობის დადგენისას, მაგრამ მოპასუხე არ ცნობს თავს ბავშვის მამად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა.

ამრიგად იმ გარემოებათა წრე, რომელსაც სასამართლო იღებს მხედველობაში მამობის დადგენისას ზუსტად და ამომწურავადაა განსაზღვრული საფუძვლების მე-16 მუხლით და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლით. ბავშვის წარმოშობას ამ ბავშვის დედისა და მოპასუხის შემთხვევითი კავშირის შედეგად, კანონი არ ანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას.

საქმე იმაშია, რომ მამობის დადგენისათვის აუცილებელია არა მარტო ბიოლოგიური, არამედ უმთავრესად სოციალური მომენტების არსებობა. ამასთან, სოციალური მომენტები (მხარეების ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება, მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა) უნდა დადგინდეს უტყუარად, ხოლო ბავშვის წარმოშობა მოპასუხისაგან შეიძლება ვივარაუდოთ. ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, რომ თუ სასამართლო უტყუარად დაადგენს ბავშვის დედისა და მოპასუხის მიერ საერთო მეურნეობის წარმოებას, მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, მას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დამოუკიდებლად იმისა აღიარებს მოპასუხე თავის მამობას თუ არა. მამობის აღიარებას ან უფრო სწორად, ბავშვის წარმოშობას მოპასუხისაგან რომ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მამობის დადგენისათვის, მაშინ სრული უაზრობა იქნებოდა იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება ისეთი გარემოებებისათვის, როგორცაა მხარეთა ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება, ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა. თვით მოპასუხის მიერ მამობის აღიარებაც კი, დამოუკიდებლად იმისა სასამართლოს წინაშეა ეს აღიარება გამოთქმული თუ სასამართლოს გარეშე, არ შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის წარმოშობის უტყუარად დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან მას შეიძლება საფუძვლად ედოს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მოტივი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ იმ პირობით, თუ არსებობს მოპასუხის აღიარება ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას (ამის ტენდენცია კი შეიმჩნევა სასამართლო პრაქტიკაში), არ შეესაბამება კანონს.

საფუძვლების მე-16 მუხლს და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლს, რომლებიც ქორწინებაში არმყოფი მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენას აწესრიგებენ, უკუქცევითი ძალა არა აქვთ და მხედველობაში ყავთ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ დაიბადნენ. აქედან გამომდინარე კი სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ განცხადება მამობის დადგენის შესახებ იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ 1968 წლის 1 ოქტომბრამდე, ე. ი. საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე.

როგორ სრულდება კანონის ეს მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკაში?

საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები იღებენ და არსებითად იხილავენ სარჩელებს მამობის დადგენის შესახებ ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც დაიბადნენ საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე.

ასე მაგალითად, გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო სარჩელი მამობის დადგენის შესახებ ისეთი ბავშვების მიმართ, რომელთაგან ერთი დაიბადა 1964 წ., ხოლო მეორე 1966 წელს. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი (გადაწყვეტილება № 2/2-363 1969 წ.). ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო სარჩელი მამობის დადგენის შესახებ იმ ბავშვის მიმართ, რომელიც დაიბადა 1965 წელს და რომელთა მშობლები ცოცხალია. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და დაადგინა მამობა (საქმე № 2-814/9, 69 წ.). ქობულეთის სახალხო სასამართლომ მიიღო და განიხილა სარჩელი, მამობის დადგენის შესახებ, იმ ბავშვის მიმართ, რომელიც დაიბადა 1967 წელს და რომლის ორივე მშობელი ცოცხალია (საქმე № 2-74 1970 წ.). ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო სარჩელი 1965 წელს დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი (საქმე № 2/359 1970 წ.).

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს საქართველოს სსრ სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებშიც.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იგივე სასამართლო ერთი და იგივე მოსამართლე ერთ შემთხვევაში სწორად ამბობს უარს ამგვარი სარჩელების მიღებაზე ან კიდევ წყვეტს საქმის წარმოებას, ხოლო სხვა შემთხვევაში იღებს ასეთ სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება.

მაგალითად ქ. გორის სახალხო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება იმ მოტივით, რომ ბავშვი დაბადებულია 1964 წელს და მისი ორივე მშობელი ცოცხალია (იხ. საქმე № 2/388). მაგრამ იმავე მოსამართლემ მიიღო სარჩელი 1967 წელს დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის შესახებ, გამოიტანა გადაწყვეტილება და ცნო მოპასუხე ბავშვის მამად (საქმე № 2/356).

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკაში საფუძვლების მე-16 მუხლს ფაქტიურად ძლევა უკუქცევითი ძალა, რაც ყოვლად დაუშვებელია და პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც კანონს, ისე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1969 წ. 4 დეკემბრის დადგენილების მე-2 პუნქტს.

2. მამად ცნობის ფაქტის დადგენა. კანონმდებლობა აწესრიგებს აგრეთვე საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე დაბადებული ბავშვების მამობის დადგენის საკითხს.

საფუძვლების დამტკიცების შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად მამობა იმ ბავშვებისა, რომლებიც საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე, ე. ი. 1968 წლის 1 ოქტომბრამდე დაიბადნენ, შეიძლება დადგინდეს მამის ორგანოებში ბავშვის ღედისა და იმ პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც ცნობს თავს ამ ბავშვის მამად.

ხოლო თუ პირი, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდა ბავშვი და რომელიც ცნობდა თავს ამ ბავშვის მამად, გარდაცვლილია, მაშინ ამ პირის მამად ცნობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს იქნეს სასამართლოს წესით.

ამრიგად, 1968 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებული ბავშვის მიმართ მამად ცნობის ფაქტის სასამართლოს წესით დადგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც ცნობდა თავს ბავშვის მამად ცოცხალი არ არის. აქედან გამომდინარე სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ და განიხილონ განცხადება მამად ცნობის ფაქტის დადგენის შესახებ, თუ პირი, რომლის მამად ცნობის ფაქტის დადგენაც სურს განმცხადებელს, ცოცხალია. სასამართლომ განმცხადებელს უნდა მიუთითოს, რომ მამობის დადგენა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის დედისა და მისი ფაქტიური მამის ერთობლივი განცხადებით მმაჩის ორგანოში.

მამად ცნობის ფაქტის დადგენა განსხვავდება მამობის დადგენისაგან როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავება ამ კატეგორიის საქმეებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მამად ცნობის ფაქტის დადგენისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ცნობდა თუ არა პირი, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდა ბავშვი, თავის თავს ბავშვის მამად (იხ. საფუძვლების დამტკიცების შესახებ კანონის მე-3 მუხლი), მაშინ როდესაც მამობის დადგენისათვის საფუძვლების მე-16 მუხლისა და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, როგორც ზემოთ დავინახეთ, საჭიროა სულ სხვა გარემოებების დადასტურება.

პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავება ამ კატეგორიის საქმეთა შორის იმაშია, რომ მამად ცნობის ფაქტის დადგენა ხდება განსაკუთრებული წარმოების წესით, მაშინ, როდესაც მამობის დადგენა ხდება სასარჩელო წარმოების წესით.

მამად ცნობის ფაქტის დადგენის საქმეების გაიგივებას მამობის დადგენის საქმეებთან არ შეიძლება არ მოყვეს სასამართლო შეცდომები. ამიტომ ამ საკითხს უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაში ასეთ საქმეებს ხშირად ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ, რაც სერიოზულ სასამართლო შეცდომებს იწვევს.

ასე მაგალითად, ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ს-ას განცხადება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე დაბადებული (1957 წ.) ბავშვის მამად აწ გარდაცვლილი უ-ს ცნობის შესახებ. საქმის განხილვის დროს სასამართლომ გამოიყენა საფუძვლების მე-16 მუხლი, დაადგინა მოწმეთა ჩვენებით, რომ მხარეები ეწეოდნენ ერთად ცხოვრებას და რომ ბავშვი მართლაც მათი შვილია და ამის საფუძველზე ცნო იგი ბავშვის მამად (საქმე № 2-199/). ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ბ-ეს განცხადება, რომ აწ გარდაცვლილი მ-ია ცნონ 1961 და 1963 წლებში დაბადებული ბავშვების მამად. სასამართლომ გამოიყენა საფუძვლების მე-16 მუხლი, დაეყრდნო მხარეთა ერთად ცხოვრების ფაქტს და დააკმაყოფილა სარჩელი. (საქმე № 2-300). ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა განცხადება 1963 წელს დაბადებული ბავშვის წარმოშობის შესახებ, დაეყრდნო მხარეთა ერთად ცხოვრების ფაქტს და საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად გამოიტანა გადაწყვეტილება (საქმე № 2-151).

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში სასამართლოებმა იხელმძღვანელეს საფუძვლების მე-16 მუხლით, მაშინ, როდესაც მათ უნდა გამოეყენებინათ ამ საფუძვლების დამტკიცების შესახებ კანონის მე-3 მუხლი. აქედან პრაქტიკული შეცდომა: სასამართლოებმა დაადგინეს და თავიანთ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდეს მხარეების ერთად ცხოვრების ფაქტი, რაც სავსებით სწორია საფუძვლების მე-16 მუხლის თანახმად, მაშინ როდესაც უნდა დაედგინათ ცნობა და თუ არა განმცხადებლის მიერ მითითებული პირი მის სიცოცხლეში თავის თავს ბავშვის მამად, როგორც ამას პირდაპირ მოითხოვს აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი. ეს მუხლი სწორედ ამ გარემოებას და არა მხარეთა ერთად ცხოვრებას ანიჭებს იურიდიულ მნიშვნელობას.

ახალი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის გამოყენებისას წარმოიშვა მთელი რიგი საკითხები, რომლებმაც გამოიწვიეს გარკვეული სიძნელეები სასამართლო პრაქტიკაში. ასეთი სიძნელენი წარმოიშვა კერძოდ მამობის დადგენისა და მამად ცნობის ფაქტის დადგენის საქმეების განხილვისას.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხეთ მხოლოდ ზოგიერთ ასეთ საკითხს. ამას გარდა წამოიჭრა მთელი რიგი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის განზოგადება.



გამოვის დადგენის დროს ექსპერტიზის გამოყენების საკითხისათვის

3. შპანია,

კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლე

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსმა, რომელიც მოქმედებს 1970 წლის 1 ოქტომბრიდან, გაიზიარა საკავშირო კანონმდებლობის ნორმა დაუქორწინებელ მშობელთა შვილის მამობის დადგენის შესახებ.

კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, თუ მშობლები დაქორწინებული არ არიან, ჩაწერა ბავშვის დედის შესახებ წარმოებს დედის განცხადებით, ხოლო მამის შესახებ ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ხოლო თუ დედა გარდაიცვალა ან შეუძლებელი გახდა მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის ჩაწერა ხდება მამის განცხადებით.

მუხლი არ მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ანალოგიურ შემთხვევაში მამობის დადგენა, როდესაც მამა ამაზე თანახმა არ არის. 51-ე მუხლის მიხედვით იგულისხმება, რომ მამობა ასეთ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, თუ კი ამ საკითხს დააყენებს ბავშვის მზრუნველი ან მეურვე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებით და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების საფუძველზე მტკიცებულებათა წარმოდგენა მხარეების მოვალეობაა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლში მითითებულია, რომ „თვითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს...“ და შემდეგ „თუ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის,

სასამართლო მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებას აძლევს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები ან კრებს მათ თავისი ინიციატივით“.

ამრიგად, მამობის დადგენისას სასამართლომ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ისეთ მტკიცებულებათა შეკრების მიზნით, რომლებიც ადასტურებენ მოპასუხის მამობას ან საცხებით გამოირიცხავენ ასეთს და ადასტურებენ სარჩელის უსაფუძვლობას.

სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეების განხილვის განსხვავებულ პირობებზე და მტკიცებულებათა შეკრებაში სასამართლოს ინიციატივის აუცილებლობაზე მიუთითა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაში „ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის გამო“.

ამ საკითხისადმი კანონის განსაკუთრებული დამოკიდებულება ხაზგასმულია საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაშიც. ეხება რა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის მდგომარეობას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ვ. პანიუგინი აღნიშნავს, რომ როდესაც სასამართლო მოსარჩელის მიერ წამოყენებულ მტკიცებულებებს მიიჩნევს არასაკმარისად, იგი ვალდებულია წინადადება მისცეს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის და პრეზიდიუმის პრაქტიკა ამ კატეგორიის საქ-



მეებზე გვარწმუნებს, რომ სასამართლოების მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არასრულყოფილია. ჩვენი შეხედულებით ამის მთავარი მიზეზია ის, რომ მუშაობაში არ ვიყენებთ თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან გარკვეული პასუხი გაეცეს ბავშვისა და მის მამად დასახელებული პირის სისხლით ნათესაობაზე.

ამ კატეგორიის საქმეებზე მეცნიერული კვლევის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემომოთითებული დადგენილება. „მამობის დადგენის დროს, როდესაც მოპასუხე არ ცნობს თავს ბავშვის მამად, — მითითებულია პლენუმის დადგენილების მე-4 მუხლში, — საჭირო შემთხვევაში, საკითხების გასარკვევად, რომლებიც წამოიჭრება ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებით, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა“.

სისხლის ჩვეულებრივი ანალიზით იმის დადგენა, თუ ვინ არის ბავშვის მამა, შეუძლებელია, რადგან ბავშვისა და მოპასუხის სისხლის ჯგუფი შეიძლება შემთხვევით დაემთხვეს, იმ დროსაც კი, როდესაც ისინი სისხლით ნათესავები არ არიან. მაგრამ მედიცინის მეცნიერების, კერძოდ კი ბიოლოგიის განვითარებამ უკანასკნელ დროს მეცნიერებას მისცა დამატებითი საშუალება სისხლში აღმოაჩინონ ე. წ. რეზუს ფაქტორი, რომელიც იძლევა სისხლის ანალიზით ნათესაური კავშირის უდავოდ დადგენის საშუალებას.

ლიტერატურაში ამის თაობაზე მოყვანილია ბევრი საინტერესო ფაქტი. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე. მშობიარობის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა ქალმა ახლადშობილი ბავშვის

საცვლებში აღმოაჩინა სრულიად სხვა ქალის გვარზე შეესებული საჭდე. დედის შემფოთება განუსაზღვრელი იყო (შეცვლილია ბავშვი თუ საჭდე?!). სისხლის საერთო ანალიზით ვერაფერი დადგინდა. საკითხი გაირკვა სისხლის გენეტიკური შესწავლის შედეგად, ერთი და იგივე რეზუს ფაქტორის აღმოჩენით. ასეთი გამოკვლევით სისხლში შეიძლება აღმოჩენილ იქნას ერთი და იგივე გენი, რომელიც შთამომავლობით გადაეცემა სისხლით ნათესავებს. მოვიყვანთ კიდევ ერთ შემთხვევას. ტყუპები სრულიად განსხვავებული შესახედაობისა იყვნენ. შორეული მოგზაურობის დროს ბავშვის მამამ ერთ-ერთ ქალაქში ყურადღება მიაქცია შეჯიბრებაში მონაწილე ბავშვს, რომელიც საოცრად წააგავდა მისი ტყუპის ცალს. გამოირკვა, რომ ორივე ბავშვი ერთსა და იმავე დღეს და ერთ საავადმყოფოში დაიბადა. სისხლის გენეტიკურმა შემოწმებამ გაარკვია სამშობიარო სახლის თანამშრომელთა საბედისწერო შეცდომის შედეგი.¹

უკანასკნელ დრომდე სისხლის გენეტიკურ გამოკვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამჟამად მეცნიერების ამ მიღწევას ფართოდ იყენებენ არა მარტო მედიცინაში, არამედ სასამართლო მედიცინის პრაქტიკაშიც. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ბიოლოგიური ლაბორატორია აწარმოებს ასეთ გამოკვლევებს და დიდ დახმარებას უწევს როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო ორგანოებს.

ეს წერილი მიზნად ისახავს სასამართლოების ყურადღება გავამახვილოთ მეცნიერული მიღწევების უფრო ფართო გამოყენებაზე ისეთი საქმეების განხილვისას, როგორიც არის მამად ცნობის საკითხის დადგენა.

¹ მაგალითი მოყვანილია ე. ვოროევიჩინის წერილიდან „ოჯახი და სამართალი“, ჟურნ. «Советское государство и право», 1970, № 9, გვ. 62—63.

ჩეხოსლოვაკიის უზენაესი საბჭოს წინასწარი გამოცხადების სპეციალური

ა. ბარბაქადი,

საქართველოს სსრ პროკურორის

უფროსი თანაშემწე

საბჭოთა კანონი ბრალდებულს უფლებას ანიჭებს თავი დაიცვას წარდგენილი ბრალდებისაგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები უზრუნველყოფენ ბრალდებულის ამ უფლების რეალურად განხორციელებას. დამცველი მონაწილეობს წინასწარ გამოძიებაში, როდესაც ამას საჭიროდ თვლის თვით ბრალდებული, და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული უდამცველად ვერ შეძლებს განხორციელოს კანონით მინიჭებული პროცესუალური უფლებები.

ბრალდებულის უფლებას — თავი დაიცვას და წინასწარი გამოძიების სტადიაში დამცველის მონაწილეობის წესს აწესრიგებს საქართველოს სსრ სსსკ 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლები.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოების საფუძველების 22-ე და 36-ე მუხლებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში აუცილებელია:

1. არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე; იმ პირთა ბრალდების საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო არ

შეუძლიათ დამოუკიდებლად განხორციელონ დაცვის უფლება, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც არ იციან ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

2. საქმეებზე, რომლებზეც კანონით გათვალისწინებულია და შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა.

ასეთ საქმეებზე დამცველი წინასწარ გამოძიებაში დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან, პროკურორის დადგენილების თანახმად დამცველი ამ მომენტიდან შეიძლება დაიშვას სხვა საქმეებზეც.

პირველი ჯგუფის საქმეებზე დამცველი წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობს ბრალდების წაყენების მომენტიდან, დანარჩენ საქმეებზე ბრალდებულისათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადებისა და საქმის მასალების გასაცნობად წაყენების მომენტიდან.

ბრალდებული დაცვის უფლებას იძენს მხოლოდ ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიების სტადიაში წარმოადგენს ბრალდებულის დაცვის უფლების არსებით გარანტიას.

საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლის თანახმად დამცველი მოვალეა გამოარკვიოს ბრალდებულის როგორც გამართლებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი, გაუწიოს ბრალდებულს სხვა სახის იურიდიული დახმარება.

პარტიკაში ხშირად ბრალდებულის და დამცველის ეს უფლება — მოვალეობა რეალურად არ ხორციელდება შემდეგი მიზეზებით:

1. ზოგიერთ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ წინასწარი გამოძიების დამთავრების წინ, რასაც ბრალდებულს ართმევს საშუალებას თავის დროზე გაიგოს, თუ რაში ედება მას ბრალი, და განხორციელოს კანონით მინიჭებული უფლება — თავი დაიცვას წაყენებული ბრალდებისაგან.

2. გამომძიებლების უმრავლესობა ბრალდების წაყენების დადგენილებაში აღწერს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ვითარებას.

ასეთი დადგენილების გაცნობით ბრალდებულს არ შეუძლია გაერკვეს, რა და როგორი მტკიცებები უდევს საფუძვლად მის ბრალდებას და, ბუნებრივია, ვერ ახერხებს მისცეს ამომწურავი ახსნა-განმარტება წარდგენილ ბრალდებაზე, ვერ მოჰყავს ბრალდების გამაბათილებელი მოტივები.

3. ზოგიერთი გამომძიებელი საქართველოს სსრ სსსკ 202-ე მუხლის მოთხოვნას ასრულებს საგამომძიებო ვადის ბოლო დღეებში. ბრალდებულს არ რჩება დრო საქმის გაცნობისა და შუამდგომლობათა აღძვრისათვის, ხოლო გამომძიებელს მისი შესრულებისათვის. გამომძიებელი, განიხილავს რა ბრალდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობას, საგამომძიებო ვადის მიწურვის გამო და იმ მიზეზით, რომ არა სურს ვადის გაგრძელება ზოგჯერ მათ უარს ეუბნება კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. ეს შემდგომ იწვევს საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნებას ან ბრალდებულის გამართლებას და საქმის წარმოებით შეწყვეტას სასამართლოს მიერ.

ყოველივე ეს ხელს უშლის ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელებას წინასწარ გამოძიებაში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად აუცილებელია გამომძიებლებს გამოჰქონდეთ მოტივირებული და დასაბუთებული დადგენილებები პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსსკ 140 მუხლში. ბუნებრივია, რომ ბრალდებულს შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წაყენებული ბრალდების საფუძვლიანობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ესმის წარდგენილი ბრალდების არსი. გამომძიებელი ვალდებულია ბრალდებულს გასაგებად განუმარტოს ბრალდება და მისი იურიდიული კვალიფიკაცია.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაწესდეს ბრალდების წაყენებისა და საგამომძიებო მასალის გასაცნობად წარდგენის ვადა ბრალდებულისათვის და დამცველისათვის. ეს წინადადება მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას და ბრალდებულის დაცვის უფლების რეალურად უზრუნველყოფას. კანონში არაფერია ნათქვამი ამ საგამომძიებო მოქმედების შესრულების ვადებზე. საქართველოს სსრ სსსკ 140 და 202 მუხლების მოთხოვნის განხორციელებაზე ვადების დაწესება არ იქნებოდა სწორი. ბრალდების წარდგენის მომენტისა და გამოძიების დამთავრების დროის განსაზღვრა ეკუთვნის მხოლოდ გამომძიებელს და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. საქართველოს სსრ სსსკ 140-ე და 202-ე მუხლებში ნათქვამია, რომ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება ბრალდების წარდგენის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის საკმაო დამამტკიცებელი

საბუთები, რაც საფუძველს იძლევა და-
ნაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყე-
ნებისათვის“.

ბრალდებულისა და მისი დამცველი-
სათვის საქმის მასალების გასაცნობად
წაყენების მომენტი დგება მაშინ, რო-
ცა გამომძიებელი ცნობს, რომ საქმე-
ზე შეკრებილი მტკიცებანი საკმარისია
საბრალდებო დასკვნის შესადგენად.

პროკურორი, რომელიც ახორციე-
ლებს ზედამხედველობას გამოძიებაზე,

ვალდებულია მკაცრად ადევნოს თვალ-
ყური, რომ გამომძიებელმა გამოიტანოს
დადგენილება პირის სისხლის სამართ-
ლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ
მაშინვე, როცა შეკრებილი იქნება საკ-
მაო მასალები მის პასუხისგებაში მისა-
ცემად, და შეასრულოს საქართველოს
სსრ სსსკ 202-ე მუხლის მოთხოვნა **მა-
შინვე**, როცა ის შეკრებილ მასალებს
საკმარისად თვლის საბრალდებო დასკ-
ვნის შესადგენად.

საპროკურორო ზედამხედველობის საზღვრები მოკლევასა და წინასწარ გაგომძიებაში

ა. ბაქრაძე

საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტისა და საგნის საკითხი საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში სადავოა და საკმარისად არ არის დამუშავებული. ასე, მაგალითად, ს. გ. ბერეზოვსკაიას საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტად მიაჩნია პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანოები, ზედამხედველობის საგნად კი ამ ორგანოების ან თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობა კანონთან¹.

გ. ი. ბროვინის აზრით, საპროკურორო ზედამხედველობის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა საქმიანობა².

გ. ი. ჩეკანოვი თვლის, რომ გამომძიების დროს შესრულებული პროცესუალური მოღვაწეობა წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტს, იგივე კანონები კი, რომლებიც სრულდება ამ მოღვაწეობის დროს, არის ზედამხედველობის საგანი³.

გ. მ. იასინსკი, ვ. ვ. ზუდინი და სხვები ზედამხედველობის ობიექტად თვლიან არა მარტო კანონებს, არამედ მათს შესაბამის ნორმატიულ აქტებსაც⁴.

გ. მ. სავიცკის, მ. ი. რაგინსკის, ს. გ. ნოვიკოვის და სხვათა აზრით, მოკლევის და წინასწარი გამომძიების ორგანოების მიმართ საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტს შეადგენს საგამომძიებო მოქმედებათა კანონიერება, ანუ პროცესუალური აქტების კანონიერება⁵. ეს განსაზღვრება უფრო მისაღებია. მაგრამ მისი ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ზედამხედველობის ობიექტი და საგანი განსაზღვრულია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტით. პროკურატურის საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების დროს აღმოცენებული უფლებრივი ურთიერთობა არის

¹ С. Г. Березовская. Охрана прав граждан советской прокуратурой. Изд. «Наука», 1964, стр. 69—72.

² Г. И. Бровин. Прокурорский надзор за соблюдением законности в исправительно-трудовых колониях и его роль в повышении эффективности деятельности колонии, канд. дисс. Свердловск, 1966, стр. 20—21, 45, 47.

³ В. Я. Чеканов. Прокурорский надзор в стадиях возбуждения уголовного дела и предварительного расследования. Сб. Ученые труды Саратовского юридического института. Вып. 2, Саратов, 1966, стр. 157, 160, 161.

⁴ Г. М. Ясинский. Взаимодействие следователя МООП и органа дознания. «Соц. законность» 1964, №7, стр. 20. В. Ф. Зудин. Надзор за расследованием дел о нарушениях правил безопасности горных работ. Сб. Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием. Материалы научной конференции, М. 1964, стр. 156.

⁵ В. М. Савицкий. Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием. Госюриздат, М. 1959, стр. 99—100.

М. Ю. Рагинский. Оперативно-розыскная работа милиции и вопросы прокурорского надзора. Сб. Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием, М. 1964, стр. 78.

С. Г. Новиков. Некоторые вопросы теоретической разработки проблем прокурорского надзора, там же, стр. 58.

საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც წესრიგდება საბჭოთა სოციალისტური სამართლის დამოუკიდებელი დარგით — საპროკურორო ზედამხედველობის ნორმებით. საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტის განსაზღვრაც ამ პრინციპულ საწყისებზე უნდა აიგოს, ე. ი. საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტის განსაზღვრის დროს უნდა გამოვლიოდეთ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც წარმოიშობა პროკურატურის მიერ კანონიერების დაცვის ფუნქციის განხორციელების პროცესში.

ცნობილია, რომ ყველაზე ზოგად ფორმაში ყოველგვარი უფლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს ის, რაზეც მიმართულია უფლებრივი ურთიერთობა.⁶

ჩვენ მიერ განსახილველ სფეროში პროკურორის უფლებები შეესაბამება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მოვალეობას იმოქმედონ კანონით დაწესებული ფორმით, ე. ი. ჯერ კიდევ გარკვეული უფლებრივი ურთიერთობის დამყარებამდე შეუხამონ თავიანთი მოქმედება სამართლებრივი ნორმების მოთხოვნას. პროკურორის ამ უფლების განხორციელება ხდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც ხელს შეუშლის სამართლებრივი ნორმის რეალიზაციას, განსაკუთრებით კი კანონის დამრღვევ კონკრეტულ პირთა მიმართ.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტია „მოღვაწეობის კანონიერება“, „კანონების ზუსტი შესრულება“ და არა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მოღვაწეობა. ეს პირდაპირ მითითებულია სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მესამე თავში.

ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც პროკურორის კომპეტენციიდან გამორიცხავენ „ზედამხედველობას საუწყებო ნორმატიული აქტების შესრულებაზე,“ იმ თვალსაზრისით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობა შეადგენს საუწყებო კონტროლის ობიექტს.⁷

საპროკურორო ზედამხედველობა არსებითად განსხვავდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საუწყებო საკონტროლო საქმიანობისაგან. პროკურორს ამ ორგანოების ოპერატიული შემადგენლობის ინსტრუქტირების, საშუალო უბანზე განაწილების უფლება არა აქვს. საპროკურორო ზედამხედველობა — ეს არის მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია კანონის ერთიანი გაგებისა და სწორი გამოყენებისაკენ. ამიტომ ყველაფერი, რაც ამ მიჯნებს სცილდება, არ შედის პროკურორის კომპეტენციაში. ამასთან, პროკურორის კომპეტენცია არ იფარგლება მხოლოდ საპროცესო საქმიანობის და საპროცესო აქტების კანონიერებისადმი ზედამხედველობით. პროკურორი მოვალეა მიიღოს ზომები კანონების დარღვევათა აღსაკვეთად.

რამდენადმე სხვაგვარი შინაარსი აქვს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს.

⁶ Общая теория государства и права. Изд-во Ленинградского Университета, 1961, стр. 394, Теория государства и права. Изд-во АН ССР, М., 1962, стр. 470—474, Основы Теории государства и права, Госюриздат, М. 1963, стр. 478—482. Общая теория советского права. Изд-во Юридическая литература», М. 1966, стр. 309—316.

⁷ Л. А. Быков. Прокурорский надзор за исполнением законов в деятельности органов дознания и предварительного следствия МООН, канд. дисс. М. 1968 г. стр. 23—26.

საპროკურორო ზედამხედველობის დარგები წარმოადგენენ ერთიანი საპროკურორო ზედამხედველობის ურთიერთდაკავშირებულ ნაწილებს, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი: თვალყური ადევნონ კანონების დაცვას.

საგნის მიხედვით საპროკურორო ზედამხედველობას სხვადასხვა უბანი აქვს. მაგალითად პროკურატურის გამოძიებელთა საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა, სამხედრო პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებელთა საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა. ცალკე გამოიყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესაბამისობას კანონისადმი ზედამხედველობს პროკურორი, წარმოადგენს კოლეგიის გადაწყვეტილებები და დადგენილებები, დებულებები, ბრძანებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების ბრძანებები და განკარგულებები.

კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენს სტატიაში განვიხილავთ, საპროკურორო ზედამხედველობის საგანია შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ორგანოთა პროცესუალური საქმიანობა, რომლებიც მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ფუნქციებს ასრულებენ.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მილიციის ისეთი სპეციფიკური დაწესებულებები, როგორც არიან სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამძებრო განყოფილებები და სოციალისტური საკუთრების გატაცებასა და სპეკულაციასთან ბრძოლის განყოფილებები, აგრეთვე წინასწარი პატიმრობის საკანი და საგამოძიებო იზოლატორი.

საგამოძიებო იზოლატორებში ხორციელდება პროცესუალური ღონისძიება — აღმკვეთი ღონისძიება (წინასწარი პატიმრობა). თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილები (საპრობილები, შრომა-გასწორების კოლონიები) წარმოადგენენ დაწესებულებებს, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდა, მათი გამოსწორება და ხელახალი აღზრდა. თუ წინასწარი პატიმრობის საკნები და საგამოძიებო იზოლატორები ასრულებენ დამხმარე როლს, ახორციელებენ დამნაშავეის იზოლაციას წინასწარი გამოძიების პროცესში, მეორე დაწესებულებანი წყვეტენ ხარისხობრივად სხვა ამოცანებს, ახორციელებენ განაჩენის აღსრულებისა და დასჯის მიზნებს. ეს დაწესებულებები შეადგენენ საპროკურორო ზედამხედველობის სხვა დარგის საგანს. სახელდობრ — თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონების აღსრულებაზე ზედამხედველობის საგანს (სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების V თავი).

ლიტერატურაში ამის თაობაზე გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. ლ. ი. ივანოვის, დ. ი. ტერენტიევისა და ზოგიერთი სხვა ავტორის აზრით, წინასწარი პატიმრობის საკანში კანონების აღსრულებისადმი ზედამხედველობა უნდა მიეკუთვნოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილებას. ყურნალი „სოციალისტური კანონიერების“ რედაქცია სწორად გამოვიდა ამ შეხედულებათა წინააღმდეგ, რადგან მოცემულ შემთხვევაში საპროკურორო ზედამხედველობის არსი მდგომარეობს არა დასჯის მიზნების მიღწევაში, არამედ მხოლოდ მოქალაქეთა დაკავების საფუძვლიანობის შემოწმებაში. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის 23 ივლისის დადგენილების შესრულებისათვის პროკურატურის

ორგანოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად წინასწარი პატიმრობის საკანონო კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის ორგანიზაცია ევალუბათ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილებებს (სამმართველოებს).

საგამოძიებო იზოლატორებში ისევე, როგორც საპყრობილებებში კანონიერების დაცვის ზედამხედველობა არ უნდა გამოირიცხოს პროკურატურის იმ განყოფილებების კომპეტენციიდან, რომლებიც ახორციელებენ კანონების დაცვისადმი ზედამხედველობას შრომას-გასწორების დაწესებულებებში. ამ დაწესებულებათა საქმიანობაში შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ბევრი ელემენტის არსებობა და მათი ორგანიზაციული დაქვემდებარება შინაგან საქმეთა ცენტრალური ორგანოებისადმი საფუძველს იძლევა მათდამი ზედამხედველობა თავმოყრილ იქნას პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში, კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის განყოფილებაში და არა საგამოძიებო განყოფილებაში. ამასთან, საგამოძიებო იზოლატორებს არ შეიძლება ვუწოდოთ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით შრომა-გასწორების დაწესებულება, რადგან აღმზრდელობითი და გამასწორებელი ღონისძიებები არ წარმოადგენენ ამ დაწესებულებათა საქმიანობის მთავარ შინაარსს. მეორე მხრივ, აღმზრდელობითი და ყველა სხვა ღონისძიებანი, რომელიც ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საგამოძიებო იზოლატორებში, ექვემდებარებიან დანაშაულის გახსნის ამოცანებს.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილებების კომპეტენციას უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საგამოძიებო იზოლატორებში პატიმრების მოთავსების კანონიერებასთან. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებზე პატიმრების საჩივრების შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებს (უკანონო დაპატიმრების გამოძიების წარმოების აკრძალული მეთოდების გამოყენების შესახებ და სხვ.) ისინი განუყოფლად უნდა შედიოდნენ საგამოძიებო განყოფილების კომპეტენციაში.

სწორედ ასეთი გზით მიდის საზედამხედველო პრაქტიკის განვითარება, რამაც თავისი ნორმატიული გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სათანადო მითითებებში პროკურატურის ორგანოების საგამოძიებო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მოკვლევასა და გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ. პროკურორები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებასა და მოკვლევაზე, ევალუბათ დროულად გამოავლინონ და აღკვეთონ კანონების დარღვევა მოქალაქეთა დაკავებისას, დანაშაულის გამოძიებისას, პატიმრების წინასწარი პატიმრობის საკნებსა და საგამოძიებო იზოლატორებში ყოფნისას.

საკითხის ასეთმა დაყენებამ, ჩვენი აზრით, უნდა ჰპოვოს თავისი ნორმატიული გამოხატულება სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულებაშიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო აპარატი წარმოადგენს დამოუკიდებელი სტრუქტურის მქონე ქვედანაყოფს, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს



უფროსი. მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების საგანმობიერო სამმართველოების შემადგენლობაში შექმნილია განყოფილებები, ქვეგანყოფილებები და ჯგუფები: ადგილი ზე საგანმობიერო განყოფილებათა შემადგენლობაში შედიან ქვეგანყოფილებები და ჯგუფები. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანმობიერო სამმართველოს მუშაობას ზღვამდგენლობის სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილეები. სამმართველოს უფროსი ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს და მის მოადგილეებს. ქალაქისა და რაიონის განმობიერებელი ექვემდებარებიან ჯგუფის უფროსს განმობიერებელს და ზემდგომი საგანმობიერო დანაყოფის უფროსებს. თანამდებობის ამ პირთა მიერ კანონების ერთიანი გაგება და სწორი გამოყენება შეადგენს საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

შინაგან საქმეთა ორგანოების განმობიერებელი სარგებლობს ყველა უფლებით, რაც მას მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიების ორგანობას საქმიანობის დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ მთელ მუშაობას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში ისინი აწარმოებენ ოპერატიულ-სამძებრო ორგანობებთან მჭიდრო კავშირში. საპროკურორო ზედამხედველობის თეორიასა და პრაქტიკაში სადავო საკითხი კანონიერების დაცვის შემოწმების ნაწილში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი პროკურორის კომპეტენციის შესახებ. ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მისი თავისებურებების გამო საერთოდ არ ექვემდებარება საპროკურორო ზედამხედველობას და ამიტომ პროკურორი დაშვებულ არ უნდა იქნეს შესაბამის მასალებამდე. საკითხის ასეთი დაყენება მართებული არ არის. კანონმდებლობა არ ადგენს არავითარ შეზღუდვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების საქმიანობის კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების დროს. მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო და პროცესუალური საქმიანობის ურთიერთდაპირისპირებას თან სდევს უარყოფითი შედეგები, რადგან სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების პროცესში კანონიერების დაცვა დაკავშირებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში კანონების ასევე ზუსტად დაცვასთან. თუ ოპერატიული ღონისძიებები ჩატარებულია არასწორად, თუ მათ გამოძიება მიჰყავთ მცდარი გზით და იქმნება პირობები კანონიერების დარღვევისათვის, პროკურორი ვალდებულია დაუყოვნებლვ და აქტიურად ჩაერიოს საქმეში და აღკვეთოს იგი.

ჩვენ ვეთანხმებით ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულ წინადადებაებს, რომ აუცილებელია კანონში უფრო მკაფიოდ იქნას ფორმულირებული პროკურორის უფლებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში კანონიერებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი

პროფ. ი. ანდრეჟი

I

1. 1969 წლის 19 აპრილს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმა დაამტკიცა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ამით დამთავრდა ოცწლიანი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა შეეცვალა 1932 წლის კოდექსი, აგრეთვე მისი შემავსებელი მრავალი კანონი ერთიანი საკანონმდებლო აქტით. კოდექსი საფუძვლად დაედო მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობას, რომელიც წარმოებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი სახელმწიფოებრივი პრინციპებისა და პოლიტიკური წყობილების შესაბამისად.

1969 წლის კოდექსში, წარსულ თაობათა მიერ შემუშავებული სისხლის-სამართლებრივი პრინციპებისა და პოლონეთის სამართლის ეროვნულ ტრადიციებთან ერთად, ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის მრავალი ახალი ინსტიტუტი, რომელიც ასახავს სისხლის სამართლის პროგრესული მეცნიერების მიღწევებსა და გამოცდილებას. იგი ითვალისწინებს სოციალისტურ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში მოქმედ სამართლებრივ ინსტიტუტებს, ხოლო ნაწილობრივ არის პოლონეთის თეორიული სამართლებრივი აზროვნების ორიგინალური ნაყოფი.

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს გააშუქოს ახალი კოდექსის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები. კოდექსის მოკლე დახასიათების შემდეგ მიმოხილული იქნება მისი ზოგადი ნაწილის განსაკუთრებით საყურადღებო ინსტიტუტები, განსაკუთრებული ნაწილის სისტემა. ბოლოს ნაჩვენები იქნება ახალი კოდექსის ძირითადი ტენდენციები.

2. კოდექსი შედგება 331 მუხლისაგან, რომლებიც მოთავსებულია 43 თავში; ზოგადი ნაწილი შეიცავს 121 მუხლს (18 თავს), განსაკუთრებული ნაწილი 167 მუხლს (18 თავს), ხოლო კარი სამხედრო სისხლის სამართლის შესახებ — 43 მუხლს (7 თავს).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მუხლები მეტად ვრცელი არ არის (თვითნებულ მუხლში ერთი ან ორი, უფრო იშვიათად სამი და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ერთი წინადადებისაგან შემდგარი პარაგრაფია), ახალი კოდექსი საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით უნდა დავახასიათოთ როგორც სინთეზური, სიტყვა-ძუნწი. სტილის თვალსაზრისით კოდექსი ასახავს პოლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ტრადიციებს, რომლებიც განვითარდნენ, დაწყებული 1932 წლის სისხლის სამართლის კოდექსიდან და მოგვიანებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

კოდექსის სინთეზური ხასიათის საზომად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ იგი მოიცავს ისეთ მასალებს, რომლებიც წინათ რეგულირდებოდა 1932 წლის სისხლის სამართლის კოდექსით (295 მუხლი), პოლონეთის არმიის სისხ-

ლის სამართლის კოდექსით (172 მუხლი) და სისხლის სამართლის მრავალრიცხოვანი დამატებითი კანონებით.

II

1. ახალმა კოდექსმა შეინარჩუნა ზოგიერთი პრინციპი, რომელიც მოქმედებდა პოლონეთის სისხლის სამართალში. ეს პრინციპებია: *nullum crimen, nulla poena sine lege* (მუხ. 1), გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მხოლოდ კანონში მითითებული შემთხვევებით (მუხ. 6), საერთო წესი მცდელობისათვის პასუხისმგებლობისა (მუხ. 12, პარ. 1), მომზადებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით მითითებულ შემთხვევებში (მუხ. 14, პარ. 2), წამქეზებისა და დამხმარის პასუხისმგებლობა მიუხედავად იმისა, აგებს თუ არა პასუხს ამსრულებელი (მუხ. 19, პარ. 1), და მრავალი სხვა. შენარჩუნებულია, მცირე ცვლილებებით, იმ ნორმათა ფორმულირება, რომლებიც შეეხებიან ბრალს (მუხ. 7 და 8), აუცილებელ მოგერიებას (მუხ. 22), უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას (მუხ. 23), შეცდომას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებში (მუხ. 24, პარ. 1), შეურაცხაობას (მუხ. 25), სასჯელის აღსრულების პირობით გადადებას (მუხ. 73 და შემდ.), პირობით ვადად გადავისუფლებას (მუხ. 90 და შემდ.), უშიშროების ღონისძიებებს და სხვ.

2. ამასთან ერთად ბევრი საკანონმდებლო დადგენილება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ფორმულებისაგან, რომლებიც არსებობდა ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

ასე, მაგალითად, ახალ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაული განსაზღვრულია როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მუხ. 1), რის გამოც შექმნილია კანონისმიერი საფუძველი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში.

3. შენარჩუნებულია დანაშაულის ტრადიციული დაყოფა მძიმე (*zbcodnia*) და ნაკლებად მძიმე (*wistpek*) დანაშაულად, ამასთანავე მძიმე დანაშაული განსაზღვრულია ვიწროდ: ამ კატეგორიაში შედის მხოლოდ ისეთი ქმედობანი, რომლებისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი წინანდებურად 17 წელია, თუმცა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ამ ნორმას საკმაოდ მოქნილი ხასიათი აქვს. სახელდობრ, ერთი მხრივ, ზოგიერთ განსაზღვრულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს 16 წელს მიღწეულ დამნაშავეს, თანაც მას შეიძლება დაედოს მხოლოდ შემსუბუქებული სასჯელი (იხ. მუხ. 57, პარ. 1), სიკვდილით დასჯა კი — არასდროს (იხ. მუხ. 31); მეორე მხრივ, ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, რომ 17 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, განსაზღვრულ შემთხვევაში სისხლის სამართლის სასჯელის მაგივრად შეიძლება შეეფარდოს აღმზრდელობითი და გამასწორებელი ღონისძიება (მუხ. 9, პარ. 3).

5. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, ძველის მსგავსად, არ იცნობს იდეალური ერთობლიობის ინსტიტუტს. სამაგიეროდ იგი ითვალისწინებს კანონთა კონკურენციის (პოლონური ტერმინოლოგიის მიხედვით — კანონთა დამთხვევის) ინსტიტუტს დანაშაულთა კუმულაციური კვალიფიკაციის საფუძველზე და მიზნად ისახავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი სრულად ასახავდეს ქმედობის კრიმინალურ შინაარსს (მუხ. 10).

6. სისხლის სამართლის კოდექსს მომზადების ინსტიტუტი (რომელშიც დანაშაულებრივ შეთანხმებასაც გულისხმობს) ზოგადი ნაწილის ინსტიტუტის რანგში აპყავს, რაც, ჯერ ერთი, შესაძლებლობას იძლევა რეგულირებულ იქნას ქმედითი სინანულის ინსტიტუტი მომზადების დროს და, მეორე, ხელს უწყობს მცდელობის ცნების დახუსტებას.

7. აუცილებელი მოგერიების ზოგად ფორმულასთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფილია კერძო შემთხვევა — მოქმედება, მიმართული წესრიგის ან საზოგადოებრივი სიმშვიდის აღსადგენად (მუხ. 22, პარ. 2). აღნიშნული ნორმა ხაზს უსვამს ამ ინსტიტუტის დადებით სამართლებრივ შეფასებას და ამით ხელს უწყობს ასეთი შეფასების გავრცელებას საზოგადოებაში.

8. თუმცა კოდექსი აღიარებს პრინციპს *ignorantia iuris nocet*, მაგრამ ამასთან ერთად აწესებს, რომ ქმედობის მართლწინააღმდეგობის არაბრალეული (თუნდაც არააანზრახი) არცოდნა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

9. ალკოჰოლი თან ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებით გამოწვეულ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი სიმთვრალის შედეგად იმყოფებოდა შეურაცხაობის ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, თუ ეს სიმთვრალე გამოწვეულია თვით სამართალდამრღვევის ბრალით (მუხ. 25, პარ. 8). ამით კოდექსი გამოხატავს საზოგადოებრივი დაცვის პრინციპს, თანაც მთლიანად ხელს არ იღებს ბრალის პრინციპზე. ხსენებული დადგენილება ნაკარნახეია ალკოჰოლიზმთან ბრძოლის აუცილებლობით, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტური არ არის.

10. სრულ სიახლეს წარმოადგენს საქმის წარმოების პირობით შეწყვეტის ინსტიტუტი. ასეთი შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე, როდესაც საქმის ფაქტური მხარე ეჭვს არ იწვევს, ხოლო კეთილსამედო პროგნოზი სამართალდამრღვევის მიმართ შესაძლებელს ქმნის ხელი ავიღოთ სასამართლო განხილვასა და სასჯელის (თუნდაც უმსუბუქესი სასჯელის) დანიშვნაზე (მუხ. 27—29). ამ ინსტიტუტს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

11. კოდექსში მნიშვნელოვნად გამდიდრებულია სასჯელთა კატალოგი. ძირითადი სასჯელების, ე. ი. თავისუფლების აღკვეთისა (რომელიც ერთიანი სასამართლო პროცესის თვალსაზრისით, მაგრამ დიფერენცირებულია მისი შესრულების თვალსაზრისით) და ფულადი ჯარიმის გარდა, კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის ახალ სახეს — თავისუფლების შეზღუდვას. თავისუფლების შეზღუდვა თავისი არსით უახლოვდება გამასწორებელ სამუშაოს, რომელსაც იყენებენ მრავალი სოციალისტური ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემები, იმ განსხვავებით, რომ პოლონეთის კოდექსისათვის ძირითადია არა იმდენად სამუშაოს შესრულება, რამდენადაც თავისუფლების შეზღუდვა: მსჯავრდებულს ეზღუდება ადგილსამყოფელის, სამუშაო ადგილის შერჩევის უფლება ან ერთმევა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თანამდებობის დაჭერის უფლება (მუხ. 33, პარ. 2) და სხვ.

სასამართლოს მიერ დანიშნული სამუშაო შეიძლება წარმოადგენდეს უსასყიდლო სამუშაოს, რომელიც მიმდინარეობს ზედამხედველობის ქვეშ საზოგადოებრივი მიზნებისათვის (ეს ეხება კერძოდ ერთპიროვნულ გლეხებს), ან მუშაობას განზოგადოებულ საწარმოში (ე. ი. სასყიდლიანი სამუშაო დროის ფარგლებში), რაც დაკავშირებულია ხელფასის ნაწილის დაქვითვასთან.

12. თავისუფლების აღკვეთის მინიმუმად კანონი ითვალისწინებს 3 თვეს, ხოლო მაქსიმუმად 15 წელს. სასჯელის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა 25 წლამდე. ეს სასჯელი გარდამავალი საფეხურია თავისუფლების აღკვეთის ჩვეულებრივ სახესა და სიკვდილით დასჯას შორის, რომელიც გათვალისწინებულია როგორც განსაკუთრებული სახის ღონისძიება (მუხ. 30, პარ. 2).

13. დამატებით სასჯელთა შორის ყურადღებას იპყრობენ ისეთი სასჯელნი, რომელთაც მკვეთრად გამოხატული პრევენციული ხასიათი აქვთ. ესენია: მშობლის ან მეურვის უფლების აღკვეთა, განსაზღვრული თანამდებობის დაჭერის, განსაზღვრული პროფესიის შესრულების ან განსაზღვრული საქმიანობის აკრძალვა, მიმოსვლის მექანიკურ საშუალებათა ტარების აკრძალვა, აგრეთვე დანაშაულის იარაღისა ან დანაშაულის შედეგად შექმნილი საგნების კონფისკაცია. განსაზღვრულ შემთხვევებში ამ სასჯელთა დანიშვნა შესაძლებელია ძირითადი სასჯელის დაუნიშნავადაც (მუხ. 33).

14. კოდექსში მეტად დაწვრილებით არის ნორმირებული რეციდივის საკითხები. საერთო რეციდივი სასჯელის გადიდების ერთ-ერთი პირობაა (მუხ. 52). სპეციალური რეციდივი, განსაკუთრებით მრავალჯერადი რეციდივი, იწვევს სასჯელის ზომის გადიდებასთან ერთად (მუხ. 60, პარ. 1 და 2) სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის მიმართ განსაკუთრებულ გამასწორებელ ღონისძიებათა გამოყენებას. ეს ღონისძიებებია: „დაცვითი მეთვალყურეობა“, მსჯავრდებულის „სოციალური შეგუების ცენტრში“ გადაგზავნა და ა. შ. დაცვით მეთვალყურეობასთან დაკავშირებულია ზოგიერთი პროფილაქტიკური ხასიათის შეზღუდვა (მუხ. 63, პარ. 2 და 3), რომელიც შეეხება, მაგალითად, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილს, მის ყოფნას განსაზღვრულ წრეში, მის მუშაობას, ალკოჰოლის მიღებას და ა. შ. (მუხ. 63, პარ. 2 და 3). სოციალური შეგუების ცენტრი წარმოადგენს დაწესებულებას ნახევრად თავისუფალი რეჟიმით: მსჯავრდებული ასრულებს საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს დაწესებულებაში და მის გარეთ, ეჩვევა თავისუფლად ცხოვრებას და თანდათანობით სულ უფრო მეტ უფლებებს იძენს.

15. კოდექსმა შეინარჩუნა და განავითარა ინსტიტუტები, რომლებიც წინათაც არსებობდნენ — პირობითი მსჯავრი (მუხ. 73 და შემდ.) და პირობით ვადამდე გათავისუფლება (მუხ. 90 და შემდ.). პირობითი მსჯავრი (რომელსაც კოდექსში სასჯელის აღსრულების პირობითი გადადება ეწოდება) შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ პირს, ვისაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, ხოლო თუ ჩადენილია გაუფრთხილებლობითი დანაშაული — ვადით სამ წლამდე.

პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს დამნაშავეს შეიძლება მიესაჯოს ფულადი ჯარიმა, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა საფუძველი ამ სასჯელის დანიშვნისათვის (ასეთი საფუძველია ჩვეულებრივად ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზანი — მუხ. 36, პარ. 3), პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორც წესი, შესაძლებელია სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ (მუხ. 91, პარ. 1). ორივე ინსტიტუტის გამოყენება განპირობებულია, პირველ რიგში, კეთილსამედო პროგნოზით დამნაშავეს მიმართ (73 მუხ., პარ. 2, 90 მუხ., პარ. 1). კოდექსი მნიშვნელოვნად აფართოებს გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებებს, რომელსაც ასეთ შემთხვევებში იყენებენ მსჯავრდებულის მიმართ (მუხ. 75, 76, 77 და 99).

16. კოდექსის სიახლეს წარმოადგენს განგრძობადი დანაშაულის ცნება (მუხ. 58). ვინაიდან კოდექსში ამ ცნების სხარტი საკანონმდებლო ფორმულის ჩამოყალიბება ძნელი აღმოჩნდა, კანონმდებელმა მის განსაზღვრებაზე ხელი აიღო, მაგრამ ის გარემოება, რომ კოდექსში ნახმარია ტერმინი — „განგრძობადი დანაშაული“, საკანონმდებლო თვალსაზრისით მაინც ერთგვარად წინგადადგმული ნაბიჯია. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი აქვს არა დანაშაულთა ფაქტიურ ერთობლიობას, არამედ განგრძობად დანაშაულს, მას არ შეუძლია გადააცილოს სანქციის მაქსიმუმს. ამ დადგენილების შედეგად სიმწვავე დაკარგა პროცესუალურმა დავამ ამ თემაზე (ე. ი. დავამ განგრძობადი დანაშაულისა და ერთობლიობის შესახებ).

17. კოდექსში მოცემულია დანაშაულის ხულიგნური ხასიათის განსაზღვრება (მუხ. 120, პარ. 14). ამ გარემოებამ ბოლო მოუღო დისკუსიას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ლიტერატურაში და წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკაში დიდი უთანხმოების წყაროს. დანაშაულის ხულიგნური ხასიათი ამჟამებს სასჯელს, ჩვეულებრივად, თავისუფლების აღკვეთას (მუხ. 59).

III

ქვემოთ განვიხილავთ კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს და სამხედრო ნაწილს, ე. ი. ნაწილს სამხედრო დანაშაულთა შესახებ.

1. განსაკუთრებული ნაწილი იწყება თავით — „დანაშაული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგ“ (თავი XIX). ამ თავში შედის ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორც არის სამშობლოს დალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, დიპლომატიური დალატი და ეკონომიური ხასიათის ზოგიერთი სხვა დანაშაული. ამ უკანასკნელთაგან ყურადღებას იპყრობს სამეურნეო მავნებლობის განსაკუთრებული სახე, რომელიც გამოიხატება დიდი ღირებულების ქონების გატაცებით, რამაც გამოიწვია სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სერიოზული დარღვევა ან რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და განზოგადებულია მეურნეობის ორგანიზაციული ერთიანობის გამოყენებით.

2. შემდგომი თავი (XX) შეეხება საყოველთაო უსაფრთხოებისა და სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულს. კოდექსი ცალკალკე ჩამოთვლის საზოგადოებრივად საშიში შედეგების გამომწვევ გარემოებებს და ტრანსპორტისათვის უშუალო საფრთხის შემქმნელ გარემოებებს (კატასტროფა, შენობის ჩამონგრევა, აფეთქება, საშიში მასალების აფეთქება და ხანძარი). ყურადღებას იპყრობს შემადგენლობა, რომელშიც გათვალისწინებულია საყოველთაო საფრთხე, გამოწვეული წყლის, ატმოსფეროს ან ნიადაგის გაბინძურებით. ამავე თავში მოხსენიებულია საგზაო მოძრაობისას უბედური შემთხვევის გამოწვევა.

3. დანაშაული ადამიანის ძირითად პირად სიკეთეთა წინააღმდეგ უშუალოდ მოსდევს ზემოხსენებულ თავს ძირითად საერთო სიკეთეთა ხელყოფის შესახებ. ამით ხაზგასმულია ადამიანისა და მისი ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელობა. კოდექსში ეს დანაშაულობანი განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ (თავი XXI), თავისუფლების წინააღმდეგ (XXII), ზნეობის წინააღმდეგ (XXIII), პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ (XXIV), ოჯახის, მეურვეობისა და ახალგაზ-

რღობის წინააღმდეგ (XXV), აგრეთვე დანაშაული, მიმართული ზოგიერთი სა-
 მოქალაქო უფლებებისა და შრომის უფლების წინააღმდეგ (XXVI—XXVIII).

4. ქონებრივი დანაშაულის თავი (XXIV) მოიცავს საზოგადოებრივი საკუთ-
 რების სპეციფიკურ ხელყოფას (სოციალისტური ქონების გატაცება და ამ და-
 ნაშაულის კვალიფიციური ფორმები); „სხვისი“, ე. ი. პირადი ან ინდივიდუა-
 ლური საკუთრების ხელყოფას (ქურდობა, მითვისება, თაღლითობა, მევახშეობა),
 აგრეთვე ისეთ დანაშაულთა ტიპებს, რომლებიც საერთო საკუთრების ყველა
 სახისათვის (გაძარცვა, ქურდობა შემტვრევით, ყაჩაღობა, ქონების დაზიანება,
 ტყის უკანონო გაჩეხვა, ავტომანქანის გატაცება მოკლე დროით გამოყენების
 მიზნით, ნაქურდალის შესყიდვა).

5. სამეურნეო დანაშაული ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით მოიცავს „სა-
 მეურნეო დანაშაულს“ ვიწრო მნიშვნელობით (თავი XXX — უყაირათობა, ბრა-
 ლეული დანაკლისი, სპეკულაცია მისი სხვადასხვა ფორმით), აგრეთვე ყალბი
 ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და ოფიციალური ნიშნების (ბეჭდის, შტამპის
 და სხვ. მისთ.) გაკეთებას, ზომიწონის ხელსაწყოთა დაზიანება (XXXI).

6. იმ თავების რიცხვს, რომლებიც ეხება დანაშაულს სახელმწიფო ორგანო-
 ების, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (სახელმწი-
 ფო საწარმოების ან სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომუშავე საწარ-
 მოების, კოოპერატივების, მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და
 სხვ.) ავტორიტეტისა და სწორი ფუნქციონირების წინააღმდეგ, მიეკუთვნება:
 თავი XXXII — დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა
 საქმიანობის წინააღმდეგ (ძალადობა თანამდებობის პირის მიმართ, თანაც ცალ-
 კე გამოყოფილია ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოს წარმომად-
 გენლის მიმართ, ქრთამის მიღება და მიცემა), თავი XXXIII — დანაშაული მარ-
 თლმსაჯულების წინააღმდეგ (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა, გათქმა, უდა-
 ნაშაულობის მტკიცებულების დამალვა, ზოგიერთი დანაშაულის განუცხადებ-
 ლობა), თავი XXXIV — დანაშაული, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოებ-
 რივი და სამსახურებრივი საიდუმლოების დარღვევაში, თავი XXXV — დანაშა-
 ული დოკუმენტების წინააღმდეგ.

7. განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენენ XXXVI თავში გათვალისწინე-
 ბული დანაშაულობანი, რომლებიც მიმართული არიან საზოგადოებრივი წეს-
 რიგის წინააღმდეგ. ამ თავის შინაარსი ერთგვარად მრავალფეროვანია, რადგან
 მასში მოხვდა ის დანაშაულობებიც, რომლებიც სხვა თავებში ვერ მოთავსდა.

8. კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემატიკის ამ მოკლე მიმოხილ-
 ვიდან ჩანს, რომ დანაშაულად აღიარებულ ქმედობათა საერთო მოცულობა
 პრინციპში შეესაბამება გაუქმებული კანონმდებლობის საერთო მოცულობას.
 მაგრამ ზოგ შემთხვევაში ახალი კოდექსის დისპოზიცია 1932 წლის კოდექსისა და
 მისი შემავსებელი სისხლის სამართლის კანონების დისპოზიციაზე უფრო ვიწ-
 როა, ხოლო ზოგიერთი ქმედობის დასჯადობა სრულიად გაუქმებულია. მაგალი-
 თად, ახალი კოდექსით აღარ ისჯება წუნისმკეთებლობა და მამათმავლობა (მა-
 მათმავლობა თუმცა წინა კოდექსითაც არ ისჯებოდა, მაგრამ დასჯადად იყო ცნო-
 ბილი ჰომოსექსუალური პროსტიტუცია). ძალაში დარჩა კოდექსის პროექტის
 შემუშავების პერიოდში მიღებული კანონები, რომლებმაც წვრილმანი ქურდო-
 ბა და ქონების სხვაგვარი წვრილმანი ხელყოფა დარღვევათა ჯგუფს მიაკუთვნა
 და საქმეები ასეთ დანაშაულთა შესახებ განსახილველად გადასცა სისხლისსამარ-
 თლებრივ ადმინისტრაციულ კოლეგიებს.

9. კარი „სამხედრო დანაშაულის შესახებ“ შედგება ერთი თავისაგან, რომელშიც შეტანილია ზოგადი ნაწილის დამატებანი და მოდიფიკაციები, და ორი მოკლე თავისაგან: „დანაშაული სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების წინააღმდეგ“, „დანაშაული სამხედრო დისციპლინის წესების წინააღმდეგ“, „დანაშაული ხელქვეითთან დამოკიდებულების წესების წინააღმდეგ“, „დანაშაული იარაღისა და სამხედრო საჭურვლის მოვლის წესების წინააღმდეგ“, „დანაშაული სამხედრო ქონების წინააღმდეგ“.

კოდექსში შეტანილი არ არის ნორმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა, შემადგენლობის ნიშნის სახით, დანაშაულის ჩადენა ომის დროს.

10. განსაკუთრებული ნაწილი და სამხედრო ნაწილის საერთო ჯამში იყენებენ 19 ტიპის სანქციას. ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი სანქციები: „თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან ხუთ წლამდე“, „თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე“, „თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან ათ წლამდე“, „თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე“ (ე. ი. სამი თვიდან).

IV

1. ახალი კოდექსი ცდილობს მნიშვნელოვნად გააფართოოს დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებები. ეს ღონისძიებები დიფერენცირებულია დანაშაულის სახისა და დამნაშავის პიროვნების, მისი პირადი გარემოებების და მის მიერ მართლწესრიგის მიმართ გამოვლინებული დამოკიდებულების მიხედვით.

ასე, მაგალითად, კოდექსი უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მძიმე დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სასჯელის შედარებით უფრო მაღალ მინიმუმს ადგენს. ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულს სახელმწიფოს წინააღმდეგ და ზოგიერთ დანაშაულს პიროვნების წინააღმდეგ. მაგალითად, განზრახი მკვლელობისათვის სანქციის მინიმუმია თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე რვა წლით. ჯგუფური გაუპატიურება მძიმე დანაშაულად ითვლება. მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული ზოგიერთი მძიმე სამეურნეო დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევებში კოდექსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სისხლის სამართლის კანონის ზოგადრევენციულ ფუნქციას.

2. მეორე მხრივ კოდექსი იძლევა სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას, ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს შეუძლია არ დაუნიშნოს დამნაშავეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ან იგი შეიძლება სავსებით განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ საზოგადოებრივი საწიროების ხარისხი უმნიშვნელოა, სისხლისსამართლებრივი წარმოება შეწყდება, თუნდაც ქმედობა ფორმალური თვალსაზრისით დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავდეს. მრავალ შემთხვევაში (მათ შორის ცალკეულ დადგენილებებში გათვალისწინებული „ნაკლები მნიშვნელობის“ ქურდობის შემთხვევებში) წარმოება შეიძლება პირობითი მოისპოს, ხოლო სამართალდამრღვევს დაენიშნოს გამოსაცდელი ვადა. წარმოების პირობითი მოსპობა დასაშვებია ქმედობათა სულ ცოტა ორ მესამედზე. თუ სასამართლო არ გამოიყენებს წარმოების პირობითი მოსპობის ინსტიტუტს და საქმეზე განაჩენს გამოიტანს, სასამართლოს შეუძლია სათანადო შემთხვევებში მიუხაჯოს დამნაშავეს სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული არ არის. ქმედობათა 90%-ში სასამართლოს შეუძლია, დამნაშავის გაიციხვა გამოხატოს მისთვის თავისუფლების აღკვეთის დანიშნით, მაგრამ პირობით გადაუდოს მას სასჯელის აღსრულება (რა თქმა უნდა, თუ საამისო წინამძღვრები არსებობს)

3. კოდექსში ნათლად ჩანს ტენდენცია თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ფარგლების შეზღუდვისაკენ. ეს განსაკუთრებით შეეხება თავისუფლების მოკლევადიან აღკვეთას. ასეთი სასჯელი შეძლებისდაგვარად უნდა შეიცვალოს თავისუფლების შეზღუდვით ან ჯარიმით, ე. ი. სასჯელებით, რომლებიც მითითებულია 40-ზე მეტ სანქციაში. აღსანიშნავია, რომ ზოგადი ნაწილის დადგენილების (მუხ. 54) ძალით, ეს ორი სასჯელი შეიძლება იმ შემთხვევაშიც დაინიშნოს, როდესაც განსაკუთრებული ნაწილის მუხლის სანქციაში ისინი მოხსენიებული არ არიან, თუ კი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ თვეზე მეტი ვადით, ხოლო სასამართლო, რომელიც იმ დასკვნამდე მივა, რომ კონკრეტულად დანიშნული სასჯელი ექვს თვეს არ უნდა აღემატებოდეს, მიზანშეუწონლად ჩათვლის მის დანიშვნას. საერთო ჯამში სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვისა და ფულადი ჯარიმის დანიშვნა შესაძლებელია 114 შემთხვევაში, რაც ყველა დანაშაულის 42%-ს შეადგენს.

4. სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ღონისძიებათა და საშუალებათა ფართო დიაპაზონის დადგენისას, კოდექსი დიდ ადგილს უთმობს საზოგადოებრივ ფაქტორს — საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოების მშრომელთა კოლექტივების საქმიანობას, რადგან ეს ორგანიზაციები და კოლექტივები, რომლებიც უშუალო ყოველდღიურ კონტაქტში იმყოფებიან სამართალდამრღვევთან, უკეთ უზრუნველყოფენ იმას, რომ სამართალდამრღვევი დაუბრუნდეს პატიოსან ცხოვრებას. საზოგადოებრივი ფაქტორის ზემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტების გამოყენებისას, როგორც არის საქმის შეწყვეტა მისი საზოგადოებრივი საშიშროების უმნიშვნელო ხარისხის გამო, საქმის წარმოების პირობითი შეწყვეტა, სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების თავდებობა და მათი მეთვალყურეობა.

თავისუფლების აღკვეთაზე უარის თქმის ფართო შესაძლებლობას თან ახლავს აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება, მაგალითად, მსჯავრდებულისათვის სხვადასხვა ვალდებულებების დაკისრება, თავდებობა და მეთვალყურეობა. ამ ღონისძიებათა გამოყენების სფერო უფრო ვიწროა საქმის წარმოების პირობით მოსპობის ან თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში და გაცილებით უფრო ფართოა პირობით მსჯავრისა და პირობით ვადამდე განთავისუფლების დროს (აქ შედის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების, სამუშაოს დაწყების, სწავლის ვალდებულების დაკისრება და ა. შ.).

5. სისხლის სამართლის ღონისძიებათა დიფერენციაციის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე სამართალდამრღვევის პიროვნება, კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართალდამრღვევთა ორ კატეგორიას: რეციდივისტებს და ახალგაზრდა დამნაშავეებს. საყურადღებოა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში კოდექსი შესაძლებლობას იძლევა, რეციდივისტ-სამართალდამრღვევის ყველა პირადი გარემოების ერთობლიობის მხედველობაში მიღებით, არ გამოიყენოს ის მკაცრი ღონისძიებანი, რაც რეციდივისტებისათვის არის გათვალისწინებული (მუხ. 61). ახალგაზრდა სამართალდამრღვევების მიმართ დადგენილია მრავალი ნორმა, რომელთა მიზანდასახულებაა სასჯელის აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერება (მუხ. 51). როგორც მისი დანიშვნის, ისე ასრულების მიმართ. მაგრამ დამნაშავეთა ამ საგანგებოდ გამოყოფილ კატეგორიათა მიღმაც კოდექსში ნათელი ასახვა ჰპოვა პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის იდეამ.

საქმის წარმოების პირობითი შეწყვეტის წანამძღვარს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც ნასამართლობა არა აქვს, და კეთილსამედო პროგნოზი ამ პირის მომავალი ყოფაქცევის თაობაზე. კეთილსამედო ინდივიდუალური პროგნოზი ძირითადი წანამძღვარია აგრეთვე პირობითი მსჯავრისა და პირობით ვადამდე განთავისუფლებისა.

სამართალდამრღვევის სურვილი, ანაზღაუროს მიყენებული ვნება ან ხელი შეუშალოს მავნე შედეგის განხორციელებას, აგრეთვე ხელი შეუწყოს დანაშაულის გამოვლინებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უფრო მსუბუქად დაკვალიფიცირდეს თვით უმძიმესი დანაშაული ან მის ჩამდენს განსაკუთრებით შეუმცირდეს სასჯელის ზომა.

6. რა შეფასება შეიძლება მივცეთ ახალ სისხლის სამართლის კოდექსს პოლონეთის სისხლის სამართლის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით?

ისეთი რთული საკანონმდებლო აქტი, როგორიც არის თავისი ბუნებით ყოველი კოდექსი, მხოლოდ მოქმედების დროს შეიძლება შეფასდეს. რა ინტენსიურიც უნდა იყოს მისწრაფება ზუსტი სამართლებრივი კონსტრუქციების შექმნისაკენ, კოდექსის პრაქტიკულად გამოყენების პროცესში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი უზუსტობანი და წინააღმდეგობანი, რომლებიც მისი შექმნისას შეუმჩნეველი იყო. ისიც არ არის გამორიცხული, რომ კოდექსის ზოგიერთი დებულება და აზრი სხვაგვარად იქნას გაგებული, ვიდრე ამას შემდგენნი გულისხმობდნენ.

და მაინც, ვფიქრობთ, ახლაც საკმაო საფუძველია შევაფასოთ ახალი კოდექსი როგორც მართლმსაჯულების აღსრულების კანონიერი და სამართლიანი იარაღი, რომელშიც ჰუმანურობისა და მიზანშეწონილობის იდეა ბევრად უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, გამორიცხავს სამაგიეროს მიზლვას ჩადენილი დანაშაულისათვის.

სისხლის სამართალი როგორც დანაშაულთან ეფექტური და კანონიერებაზე დამყარებული ბრძოლის ღონისძიებათა და საშუალებათა ერთობლიობა — აი. რა წარმოადგენს, ჩვენი აზრით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მთავარ იდეას.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ა ზ ო ს კ რ ა ზ ი დ ი უ მ ი ს ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების როლი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში, გაძლიერდეს მათი ინიციატივა და პასუხისმგებლობა საეკონომიკურ, საფინანსო და მიწის საკითხთა გადაწყვეტილებისათვის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და მშენებლობის განვითარებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, აგრეთვე ამ საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო რაიონში კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში წყვეტს რაიონული მნიშვნელობის ყველა საკითხს, ამასთან ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და რაიონის მშრომელთა ინტერესებით.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას რაიონის ტერიტორიაზე, საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

რაიონულ დაქვემდებარებაშია საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად ემსახურებიან რაიონის მოსახლეობას. ზემოაღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რაიონულ დაქვემდებარებაში გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმას-

რულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს თავისი განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით ან უშუალოდ, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს, თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ათანხმებს და კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დარგში, კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დარგში. საბჭოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული გაერთიანებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციების მუშაობას და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას.

ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე რაიონული საბჭო ისმენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, მათ გამო იღებს გადაწყვეტილებებს, საჭირო შემთხვევებში თავისი წინადადებანი შეაქვს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 4. იმ მიზნით, რომ სასოფლო-სამე-

ურნეო და სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე ორგანიზაციები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის მეურნეობის განვითარებაში, რომ გაძლიერდეს მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების დანტერესება საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებით, რაიონების ბიუჯეტებს გადაეცემა შესაბამისი რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ნაწილი (რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქების საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების გარდა).

ამ მუხლში აღნიშნული ანარიცხების სახეობებსა და ოდენობას, რაიონების ბიუჯეტებში მათი შემოსულობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 5. მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მათ მიიღეს მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა შეასრულონ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, საწარმომ, დაწესებულებამ და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა.

რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს იმ შემთხვევაში, თუ მათს გადაწყვეტილებებს არ შეასრულებენ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, შეაქვთ შესაბამის ზემდგომ ორგანოებში წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დაადონ დისციპლინური სახდელი, თანამდებობიდან მათ განთავისუფლებამდე კი. წარდგინებათა განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს რაიონულ საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

მუხლი 6. მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საქარობა, დებუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოებისა — საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მშრომელთა ფართოდ ჩაბმა საბჭოს მუშაობაში.

რაიონული საბჭო მუშაობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით.

მუხლი 7. მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დებუტატების სასოფლო, საღაბო და საქალაქო

(რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების საქმიანობას.

მუხლი 8. მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

1) ამტკიცებს რაიონის მეურნეობისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს; აწყობს და კონტროლს უწყვეს მათს შესრულებას; განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საწარმო-ფინანსურ გეგმებს; ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პერსპექტიულ და წლიურ საეგეგმო დავალებებს, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

2) განიხილავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები საწარმოებისა და პუნქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების, ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

3) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საეგეგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი რაიონის მეურნეობისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების გეგმაში;

4) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის გამოყენების ბალანსების, მიწის ბალანსის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსისა და სხვა იმ ბალანსების შედგენას, რომლებიც საჭიროა რაიონის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის



ვის; კონტროლს უწევს მინერალურ-ნედლეულის, ტყის, წყლისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

5) ამტიციებს რაიონის ბიუჯეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას; საჭირო შემთხვევებში ხელახლა ანაწილებს ბიუჯეტის შესრულების პროცესში რაიონის ბიუჯეტის სახსრებს ნაწილიდან ნაწილში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნებებს ხელფასის დამტიციებელი ფონდის ფარგლებში; ამტიციებს ანგარიშს რაიონის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

6) რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამტების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბების ან გასავლის ნაწილში მომჭირნობის შედეგად, ახმარს რაიონის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, აღმინისტრაციული შენობების მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენას რაიონული, სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის; აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობათა კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას (დაუშვებელია რაიონის ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება, იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);

7) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განგარიშებისა და გადახდებიანებისათვის; კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ცალკეული გადახდებისათვის ადგენს დამატებით შედავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად; დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ათავისუფლებს იმ მოქალაქეთა მეურნეობებს, რომლებიც ხუტორებიდან და ნაკლებად დასახლებული პუნქტებიდან სახლდებიან დიდ სოფლებში;

8) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-8 და მე-9

მუხლების შესაბამისად სტიქიური უბედურების გამო დაზარალებულ კოლმეურნეობებს უგრძობლებს საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადას მიმდინარე წლის ფარგლებში, აგრეთვე შუამდგომლობს შესაბამისი ზემდგომი ორგანოების წინაშე კიდევ უფრო გაუგრძელონ ვადა ასეთ კოლმეურნეობებს ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ ისინი გადასახადისაგან შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე;

9) კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ მოქალაქეებს აძლევს შედავათებს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევაში;

10) განიხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა კვარტალურ საქასო გეგმებს და იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; განიხილავს კოლმეურნეობათა განცხადებს და ამტიციებს კაპიტალური მშენებლობისათვის, ტექნიკის შეძენისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებისათვის მათი გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებს, კონტროლს უწევს იმას, თუ რამდენად სწორად იყენებენ კრედიტებს;

11) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უმტიციებს სახელმწიფო უსყიდვის გეგმის დავალებებს. განიხილავს კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს; უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებას, ნათესებისა და ნარგავების დაცვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებას, ახორციელებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვის ღონისძიებებს; კონტროლს უწევს იმას, სწორად იყენებენ და სწორად ინახავენ თუ არა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს; ხელმძღვანელობს რაიონში ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელებას;

12) რეგისტრაციაში ატარებს კოლმეურნეობათა წესდებებს, აგრეთვე წესდებათა ცვლი-

ლებებსა და დამატებებს; კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას, კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორ შეხამებას; განიხილავს და წყვეტს კოლმეურნეთა საჩივრების კოლმეურნეობიდან ვარიცხვის შესახებ;

13) რეგისტრაციაში ატარებს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებებს (წესდებებს), აგრეთვე დებულებათა (წესდებათა) ცვლილებებსა და დამატებებს; ახორციელებს კონტროლს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი;

14) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რაიონში მთელი მიწების გამოყენებისადმი; აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; აძლევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწით მოსარგებლებებს მიწით სარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტებს; კონტროლს უწევს მიწით მოსარგებლების მიერ მიწების ნაყოფიერების გადიდების, მათი მორწყვისა და ამოშრობის, ნიადაგთა ეროზოსთან ბრძოლის მინდორსაცავი ტყის ნარგავების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას, წარმართავს მიწათმოწყობის სამუშაოთა განხორციელებას; აძლევს საერთოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავების ნებართვას;

15) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით ვანაგებს წყლის ობიექტებს რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს; კონტროლს უწევს ტყეების გაშენების, დაცვისა და სწორად გამოყენების, ტყის მელიორაციისა, და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებას;

16) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მიღებული მოგების განაწილებას დადგენილი წესით; ანაწილებს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას, რომელიც წარმოებულია ადგილობრივი ნედლეულისაგან, საწარმოთა საკუთარი დამზადების ნარჩენებისა და ნედლეულისაგან;

17) ახორციელებს ღონისძიებებს სახალხო მობზარების საქონლისა და ადგილობრივ სამეც მასალათა წარმოების განვითარებისათვის ად-

გილობრივი ნედლეულის ბაზაზე, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა წარმოების იმ ნარჩენების გამოყენებით, რომლებიც არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვადამუშავებისათვის; წყვეტს ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასარგებლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოვლინებული რესურსების გამოყენების საკითხებს;

18) დახმარებას უწევს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში, მატერიალური შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მუშათა და მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში; აძლევს აუცილებლად განსახილველ დასაკენებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების გაფართოებისა და ახლების მშენებლობასთან, შეაქვს საჭირო შემთხვევებში წინადადებანი რაიონის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ;

19) განიხილავს რაიონული დაგეგმვის სქემას და დასამტკიცებლად უდგენს სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს; დადგენილი წესით ამტკიცებს ან თანხმებს დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებს; ახორციელებს კონტროლს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობისადმი; კონკლავს ან აჩერებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით;

20) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციებს; აწყოებს საბინაო, კომუნალურ, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილი სახსრებით; წყვეტს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების თანხმობით საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი მათი სახსრების ერთად გამოყენების საკითხებს, აგ-

რეთვე საჭირო შემთხვევებში სახსრების გაერთიანების საკითხებს, გამოდის შემკვეთად ან განსაზღვრავს შემკვეთს მშენებლობის ამ სახეობებში;

21) დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საქესპლოატაციოდ მიღების აქტებს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სხვა დამთავრებული ობიექტების საქესპლოატაციოდ მიღებაში;

22) ხელმძღვანელობს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტს რაიონის ტერიტორიაზე, ხელს უწყობს საერთო სახელმწიფო, რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო საზღვრის მშენებლობასა და სწორ ექსპლოატაციას; მონაწილეობას აღებინებს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში; ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა, კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას რაიონის მოსახლეობის მომსახურების დარგში;

23) ხელმძღვანელობს საბინაო და კომუნალურ მეურნეობას, აგრეთვე დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას; კონტროლს უწევს საბინაო ფონდის, კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა მდგომარეობასა და სწორ ექსპლოატაციას, რომლებიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ეკუთვნიან; დადგენილი წესით ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მონაწილეობას აღებინებს მუშაობაში დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის. კონტროლს უწევს რაიონში განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ტერიტორიების კეთილმოწყობას;

24) ანაწილებს საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის სწორ განაწილებას სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახლებში; გამოაკვს გადაწყვეტილებანი საბინაო-სამშენებლო კომპარტიკების ორგანიზაციის შესახებ და კონტროლს უწევს მათს საქმიანობას; დადგენილ შემთხვევებში მოქალაქეებს აძლევს ერთიან ორდერებს საბინაო ფართობის დასაკავებლად; რაიონის ტე-

რიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი თანხმობით აბამს ისეთ ღონისძიებათა შესრულებაში, როგორც არის სათბობისა და სხვა სახეობის კომუნალური მომსახურებით სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა უზრუნველყოფა, მათი შენობების შეკეთება და საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის;

25) ხელმძღვანელობს სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას, აგრეთვე საზოგადოებრივ კვებას რაიონის ტერიტორიაზე, რაიონული დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას; ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის საგეგმო დავალებებს; კონტროლს უწევს სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების, სამომხმარებლო კოოპერაციათა საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას; ახორციელებს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების ღონისძიებებს; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთჯერადი მოსაქრებულის ოდენობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს;

26) ხელმძღვანელობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, დადგენილი წესით მიღებული მოგების განაწილებას; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

27) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, კონტროლს უწევს იმ საბავშვო სახლების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც რაიონულ ბიუჯეტზე არ არიან; წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით ისეთ საკითხებს, როგორც არის მოქალაქეთათვის შედგომების მიცემა სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის, აგრეთვე გახანგრძლივებულ სკოლებში (ჭრუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისათვის; ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლე-

ბის ფონდს; წყვეტს შვილად აყვანის საკითხებს; ხელმძღვანელობს არასრულწლოვანებისადმი მეზურვეობისა და მზრუნველობის საქმეს;

28) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რაიონული დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად; კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების კულტფონდების სახსრების გამოყენებას და საჭირო შემთხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებული გამოყენებისათვის; ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომოსახურებას;

29) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს რაიონში, რაიონული დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს; ახორციელებს კონტროლს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობისადმი; უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა დაცვას; ახორციელებს დასახლებული პუნქტების საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შენახვის სანიტარული წესებისა და ჯეროვანი სანიტარული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

30) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფეროს ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წესების შესრულებისადმი;

31) ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ამტკიცებს რაიონის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად; ახორციელებს მასობრივი დასვენების ზონების განვითარების, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას.

32) აწარმოებს აღრიცხვას და აწყვრივებს შრომითი რესურსების განაწილებას რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ამტკიცებს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმებს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებს და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შესაბამისად ყველა საწარმოში, დაწესებულებებში და ორგანიზაციაში; ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი;

შრომის დაცვისა და უსამშრომბის ტექნიკის წესების დაცვისადმი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ადგენს რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს;

33) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პენიებისა და დახმარებების დროულ და სწორ დანიშვნასა და გადახდას; ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობათა სახსრების ანარიცხების დროულად შეტანისადმი კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდსა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, ქმნის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას; ხელმძღვანელობს სრულწლოვანი პირებისადმი მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შესარულონ თავიანთი მოვალეობანი; ახორციელებს კონტროლს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობისადმი;

34) ქმნის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; უზრუნველყოფს სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; აწყობს მოსახლეობაში კანონმდებლობის განმტკიცებას;

35) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აუქმებს კოლმეურნეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), სამომხმარებლო საზოგადოებების მეპაიეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საკოლმეურნეობათა შორისა და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა, რაიკოოპკავშირისა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობების, საკოლმეურნეობათა შორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო სა-



წარმოებისა და ორგანიზაციების საბჭოების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან; აჩერებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეხება მიწათსარგებლობის, დასახლებული პუნქტების განაშენიანების, კეთილმოწყობის, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან, და ამას აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

36) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და სწორ განხილვას და გადაწყვეტას; ამოწმებს, თუ როგორ განიხილავენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, ამ საკითხზე ისმენს ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

37) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში;

38) უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

39) საჭირო შემთხვევებში მონაწილეობას აღებინებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს; აგრეთვე მოსახლეობას სტიქიური უბედურების წინააღმდეგ და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში;

40) უზრუნველყოფს, რომ სსრ კავშირის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ შეასრულოს ყველა თანამდებობის პირმა და მოქალაქემ, აგრეთვე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა; ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას რაიონის ტერიტორიაზე;

41) განიხილავს და აღძრავს შუამდგომლობას სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

მუხლი 9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე შეიძლება განხილულ იქნას და გადაწყდეს ყველა საკითხი, რომლებიც რაიონული საბჭოს ვამგებლობას განეკუთვნება;

ამასთან მხოლოდ სესიებზე შეიძლება განხილულ იქნას და გადაწყდეს შემდეგი საკითხები: დეპუტატთა რწმუნებულების ცნობა; დეპუტატთა რწმუნებულებებზე ხელის აღება დეპუტატთა პირადი განცხადებების შესაბამისად; აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა; ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა; მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცება და განთავისუფლება; სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება; აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა; რაიონული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება; კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-კამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო შესყიდვის საგემო დავალებათა დამტკიცება;

ამომრჩეველთა განაწესის შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

გადაწყვეტილებათა მიღება დეპუტატთა შეკითხვების გამო;

რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე გასაჯალზე შემოსავლის გადამტების იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც იქნება წლის დამლევს შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასაჯალის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად;

რაიონული დაგეგმვის სქემის განხილვა და მისი წარდგენა დასამტკიცებლად სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება ვათვალისწინებულ იქნას სხვა საკითხებიც, რომელთაც განიხილავენ და წყვეტენ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სესიებზე.

მუხლი 10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც

საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნას და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სესიებზე;

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი: იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათ მომზადებას; სესიებს შუა პერიოდში ახორციელებს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის კოორდინაციას;

საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს, რათა მათ შეასრულონ დეპუტატის მოვალეობანი; წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, რაიონის ბიუჯეტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამოჩრჩეველთა განაწესის შესრულების ღონისძიებათა გეგმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესი.

ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლებს და გადააყენებს თანამდებობიდან ამ მოვალეობის შემსრულებლებს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიაზე.

თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ ნუსხის შესაბამისად, რომელსაც რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსაზღვრავდეს მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

მუხლი 11. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის ზემდგომი დაქვემდებარების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, რომლებიც განლაგებულია რაიონის ტერიტორიაზე და დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მოსახლეობის

მომსახურებისათვის, ხდება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები იქმნება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად და ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზეა.

რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი სესიის, აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ მუდმივ კომისიის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშია არჩეული, თავისუფლდება თავისი საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან, ამასთან ერთად სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტით.

რაიონული საბჭოს დეპუტატს, როცა ასრულებს დეპუტატის მოვალეობას, უფლება აქვს რაიონის ფარგლებში უფასოდ იმგზავროს საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება აღმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმიდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გაირიცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებში ან დააპატიმრონ ისე, თუ ამაზე არ იქნა რაიონული საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

მუხლი 14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას თავისი საქმიანობის, მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შესახებ მშრომელთა წინაშე საბჭოს დეპუტატების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შესახებ რეგულარული გამოხვედრების გზით, აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

რაიონში სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები რაიონულ საბჭოს გააქვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-



ურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მშრომელთა კრებების, აგრეთვე მოქალაქეთა, საცხოვრებელ ადგილზე გამართული კრებების განსახილველად.

რაიონული საბჭო წარმართავს რაიონის ნებაყოფლობითი საზოგადოებების საქმიანობას და ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობას.

მუხლი 15. მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გარდა, ახორციელებს სხვა უფლებებსა და მოვალეობებს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

ნომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს ამ ბრძანებულების შესაბამისი გახადონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების შესახებ.

მუხლი 17. დადგინდეს, რომ სანამ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობა ამ ბრძანებულების შესაბამისი არ იქნება, ძალაშია მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ ბრძანებულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. კოლდორინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წ. 19 მარტი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მშრომელთა დებუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მშრომელთა დებუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების როლი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში, გააღვივდეს მათი ინიციატივა და პასუხისმგებლობა საეკონომიკო და საფინანსო საკითხთა გადაწყვეტისათვის, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, აგრეთვე ამ საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მუხლი 1. მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ქალაქში,

ქალაქის რაიონში, კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, ამასთან ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და ქალაქის მშრომელთა ინტერესებით.

მუხლი 2. მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას ქალაქის ტერიტორიაზე, საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქალაქო დაქვემდებარებაშია საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად ემსახურებიან ქალაქის მოსახლეობას. ზემოაღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქალაქო დაქვემდებარებაში გადაცემის წესს ადგენს სსრ

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საქალაქო დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავისი განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით ან უშუალოდ. საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს, თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ათანხმებს და კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას საბინაო, კომუნალური მშენებლობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სოციალურ-ოფიციების ობიექტების მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დარგში, კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ქალაქის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დარგში საბჭოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას.

ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე საქალაქო საბჭო ისმენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 4. იმ მიზნით, რომ საწარმოები და ორგანიზაციები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო მეურნეობის განვითარებაში, რომ გაძლიერდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დაინტერესება საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებით, ქალაქების ბიუჯეტებს გადაეცემა შესაბამისი ქალაქების ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ნაწილი.

ამ მუხლში აღნიშნული ანარაჩების სახეობებსა და ოდენობას, ქალაქების ბიუჯეტებში

მათი შესვლის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების გამგებლობაში თავმოყრილია სახელმწიფო საბინაო ფონდისა და კომუნალური მეურნეობის იმ ობიექტების მართვა, რომლებიც ქალაქების მოსახლეობას ემსახურებიან, ამავე დროს უნდა განმტკიცდეს საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მატერიალური და სარემონტო-სამშენებლო ზაზა.

ქალაქებში საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი საბინაო ფონდის, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის იმ ობიექტების გადაცემის პირობებსა და წესს, რომლებიც ემსახურებიან ამ ქალაქების მოსახლეობას, ადგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 6. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა იმის შესაბამისად, თუ რესპუბლიკური (მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის), სამხარეო, საოლქო ან რაიონული დაქვემდებარების ქალაქების რომელ კატეგორიას განეკუთვნება ქალაქი. დაქვემდებარების კატეგორიებისათვის ქალაქის მიკუთვნება ხდება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 7. რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო:

1) ამტკიცებს საქალაქო მეურნეობისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აწყობს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; ამტკიცებს საქალაქო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დავალებებს, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

2) განიხილავს ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;



3) განიხილავს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანბრუნელობის დაცვას, კულტურას და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საგეგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი საქალაქო მეურნეობისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების გეგმაში;

4) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის გამოყენების ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასაჯლის ბალანსისა და სხვა იმ ბალანსების შედგენას, რომლებიც საჭიროა ქალაქის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის; კონტროლს უწევს მინერალურ-ნედლეული, ტყის, წყლისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

5) ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას; საჭირო შემთხვევებში ხელახლა ანაწილებს ბიუჯეტის შესრულების პროცესში საქალაქო ბიუჯეტის სახსრებს ნაწილიდან ნაწილში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნებებს ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში; ამტკიცებს ანგარიშს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

6) საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით ან გასაჯლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად, ახმარს ქალაქის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, ადმინისტრაციული შენობების მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებების შექმნას საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობათა კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შექმნას (დაუშვებელია საქა-

ლაქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება, იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);


7) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების გაანგარიშებისა და გადახდენებისათვის; კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესით ცალკეულ გადამხდელეებისათვის ადგენს, დამატებით შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

8) განიხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა კვარტალურ საქასო გეგმებს და იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; იღებს გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენაანკის დაწესებულებათა მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი სახლების რემონტისათვის ფულადი სახსრების მიცემა შესახებ გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში; კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ მოქალაქებს აძლევს შეღავათებს სახელმწიფო სავალდებულო დახლევით;

9) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, ამტკიცებს მათი ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, დადგენილი წესით ანაწილებს მიღებულ მოგებას; ანაწილებს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას, რომელიც მიღებულია ადგილობრივი ნედლეულისაგან, საწარმოთა საკუთარი ნამზადის ნარჩენებისა და ნედლეულისაგან;

10) ახორციელებს ღონისძიებებს სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივ საშემოსავალთა წარმოების განვითარებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა წარმოების იმ ნარჩენების გამოყენებით, რომლებიც არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაამუშავებისათვის; წყვეტს ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოყენებული რესურსების გამოყენების საკითხებს;

11) დახმარებას უწევს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს წარმოების ეფექტიანო-



ბის გადიდებაში. მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში, შრომის ნაცოდებების გადიდებაში, მუშათა და მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში; აქლეს აუცილებლად განსახილველ დასკვნებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების გაფართოებისა და ახლების მშენებლობასთან. შეაქვს საჭირო შემთხვევებში წინადადებანი ქალაქის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ;

12) უზრუნველყოფს ქალაქის გენერალური გეგმის პროექტისა და გარეუბნის ზონის დაგეგმვის პროექტის შემუშავებას. ამ პროექტებს განიხილავს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს; ამტკიცებს ქალაქის რაიონების, მიკრორაიონებისა და სხვა ქალაქთმშენებლობის კომპლექსების დეტალური დაგეგმვის პროექტებსა და განაშენიანების პროექტებს, საინჟინრო ნაგებობათა და კეთილმოწყობის პროექტებს; კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას; კრძალავს ან აჩქარებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, რომელიც კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით წარმოებს;

13) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციებს; აწყობს საბინაო, კომუნალურ საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას ადგილობრივი საბჭოებისათვის გამიყოფილი სახსრებით; წყვეტს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანხმობით საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი მათი სახსრების ერთად გამოყენების საკითხებს, აგრეთვე საჭირო შემთხვევაში სახსრების გაერთიანების საკითხებს, ეამოლის შემკვეთად ან განსაზღვრავს შემკვეთს მშენებლობის ამ სახეობაში; დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საქსპლოატაციოდ მიღების აქტებს, აგრეთვე მონაწილეობს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე

სხვა დამთავრებული ობიექტების საქსპლოატაციოდ მიღებაში;

14) განაგებს ქალაქის ფარგლებში მთელ მიწებს; აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებისადმი; აძლევს საერთოდ გავრცელებულ სასარგებლო წილისეულთა დამუშავების ნებართვას; კონტროლს უწევს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებას;

15) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით განაგებს წყლის ობიექტებს ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს;

16) ხელმძღვანელობს საბინაო და კომუნალურ მეურნეობას, აგრეთვე ქალაქის კეთილმოწყობას; კონტროლს უწევს საბინაო ფონდის, კომუნალური საწარმოებისა და ნაგებობების მდგომარეობასა და სწორ ექსპლოატაციას, რომლებიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ეკუთვნიან; დადგენილი წესით ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მონაწილეობას აღენიანებს მუშაობაში ქალაქის კეთილმოწყობისა და გზების მშენებლობისათვის; კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ევგლო საწარმოსა და ორგანიზაციის ტერიტორიების კეთილმოწყობას;

17) ანაწილებს საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის სწორ განაწილებას, აგრეთვე ამტკიცებს ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირების საფარბიგო, საქარბხო, ადგილობრივი კომიტეტების ერთობლივ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო, კოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ, ვარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ვამოაქვს გადაწყვეტილებანი საბინაო-სამშენებლო და სხვა კოპერაციების ორგანიზაციის შესახებ, კონტროლს უწევს მათს საქმიანობას; მოქალაქეებს აძლევს ერთიან ორდერებს საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად;

18) ხელმძღვანელობს საქალაქო ტრანსპორტს; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა, კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას ქალაქის მოსახლეობის მომსახურებისათვის.

19) ხელმძღვანელობს სახელმწიფო და კოპერაციულ ვაჭრობას, აგრეთვე საზოგადოებრივ კვებას ქალაქის ტერიტორიაზე, საქალაქო დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი

კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას; ამტკიცებს საქალაქო დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელურტუნვის საეგვმო დავალებებს; ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე საკომერტუნო ბაზრებს; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთჯერადი მოსაკრებლის ოდენობასა და საკომერტუნო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს;

20) ხელმძღვანელობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საქალაქო დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, დადგენილი წესით მიღებული მოგების განაწილებას; კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

21) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო სწავლებას; კონტროლს უწევს იმ საბავშვო სახლების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც ქალაქის ბიუჯეტზე არ არიან; წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით ისეთ საკითხებს, როგორც არის მოქალაქეთათვის შედავათების მიცემა სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის, აგრეთვე განხორციელებული დღის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისათვის; ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლების ფონდს; წყვეტს შვილად აყვანის, აგრეთვე არასრულწლოვანებისადმი მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებს;

22) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას; საქალაქო დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად; კონტროლს უწევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კულტურულ-ფონდების სახსრების გამოყენებას და საჭირო შემთხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებული გამოყენებისათვის; ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომომსახურებას;

23) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ქალაქში, საქალაქო დაქვემდებარების

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს; ახორციელებს კონტროლს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობისადმი; უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა დაცვას; ახორციელებს ქალაქის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შენახვის სანიტარული წესებისა და ჯიჯიჯი სანიტარული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

24) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფეროს ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წესების შესრულებისადმი;

25) ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ამტკიცებს ქალაქის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად; ახორციელებს მასობრივი დასვენების ქალაქგარე ზონების განვითარების, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას;

26) აწარმოებს აღრიცხვასა და აწესრიგებს შრომითი რესურსების განაწილებას ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ამტკიცებს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმებს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებს, და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შესრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ; ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვისადმი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით განსაზღვრავს მათი მუშაობის დაწყების დროს; აწესებს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის დღეებსა და საათებს;

27) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს, უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი ბენეფიციისა და დახმარების დროულ და სწორ დანიშნვასა და გადახდას; წყვეტს სრულწლოვანი პირებისადმი მეურვეობისა და ზრუნვის საკითხებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შესრულონ თავიანთი მოვალეობანი; ახორციელებს კონტროლს საექიმო-შრომითი ექსპერტის ორგანიზების მუშაობისადმი;

28) ქმნის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; უზრუნველყოფს სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; აწყობს მოსახლეობაში კანონმდებლობის განმარტებას;

29) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აჩერებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეხება საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, ვანაშენიანების, ბუნებისა და კულტურის იგვლათა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს და რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან, და ამას აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

30) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და სწორ განხილვასა და გადაწყვეტას; ამოწმებს, თუ როგორ განიხილავენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ისმენს ამ საკითხებზე მათ ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

31) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებით ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში.

32) უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

33) საჭირო შემთხვევებში მონაწილეობას აღებინებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას სტიქიური უბედურების წინააღმდეგ და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში;

34) უზრუნველყოფს, რომ სსრ კავშირის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ შეასრულოს ყველა თანამდებობის პირ-

მა და მოქალაქემ, აგრეთვე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა; ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას ქალაქის ტერიტორიაზე;

35) განიხილავს და აღძრავს უმამდგომლობას სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

მუხლი 8. რაიონული დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო ამტკიცებს საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აწყობს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას, ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს, აგრეთვე შეუძლია განახორციელოს ამ ბრძანებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებანი და მოვალეობანი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოების საქმიანობას კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო.

მუხლი 9. მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას რაიონის ტერიტორიაზე, საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების საქმიანობას.

ქალაქის რაიონული საბჭო ამტკიცებს რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აწყობს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას, ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს, ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას. რაიონის საბინაო კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს.

მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონული საბჭო ათანხმებს და კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას, საბინაო, კომუნალური მშენებლო-

ბის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დარგში, კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დარგში; საბჭოსათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას.

ქალაქის რაიონული საბჭო ამ მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ საკითხებზე ისმენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონულ საბჭოს შეუძლია განახორციელოს ამ ბრძანებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებანი და მოვალეობანი, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებსაც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო საერთო-საქალაქო მნიშვნელობის საკითხების განაწვევებისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში ერთიანობის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 10. მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონული საბჭოს საქმიანობას კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს თავისი განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით ან უშუალოდ. ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს, თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

მუხლი 11. მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიაზე შეი-

ძლება განხილულ იქნას და გადაწყდეს ყოველი საკითხი, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, ამასთან მხოლოდ სესიებზე შეიძლება განხილულ იქნას და გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

დებუტატთა რწმუნებულებების ცნობა დებუტატთა რწმუნებულებებზე ხელის აღება, დებუტატთა პირადი განცხადებების შესაბამისად; აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომისიების შექმნა და მათი შემადგენლობის შეცვლა; ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცება და განთავისუფლება; სახალხო კონტროლის საქალაქო, რაიონული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება; აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა; საქალაქო სასამართლოს არჩევა; რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარების და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება;

ამომრჩეველთა განაწესის შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

გადაწყვეტილებათა მიღება დებუტატთა შეკითხვების გამო;

ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება, რომლებიც ეხება ქალაქის, ქალაქის რაიონული ბიუჯეტის შესრულებისადამატებით მიღებულ შემოსავლის, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტვის იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც ექნება წლის დამლევი შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მოჭირნეობის შედეგად;

ქალაქის გენერალური გეგმის პროექტისა და გარეუბნის ზონის დაგეგმვის პროექტის განხილვა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სხვა საკითხებიც, რომელთაც განიხილავენ და წყვეტენ მხოლოდ მშრომელთა დებუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების სესიებზე.

მუხლი 12. მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნას და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სესიებზე.

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; სესიებს შუა პერიოდში ახორციელებს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის კოორდინაციას; საჭირო დახმარებას უწევს დებუტატებს, რათა მათ შეასრულონ დებუტატის მოვალეობანი;

წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარების და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს; ქალაქის, რაიონის ბიუჯეტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამორჩეველთა განაწილების შესრულების დონისძიებათა გეგმებს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას, აცნობებს დებუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწილება;

ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლებს და თანამდებობიდან გადააყენებს ამ მოვალეობის შემსრულებლებს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიებზე;

თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ ნუსხის შესაბამისად, რომელსაც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის შემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსახილველად მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

მუხლი 13. შემდგომი დაქვემდებარების ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული და ამ ქალაქის, რაიონის მოსახლეობის მოსა-

ხურებისათვის დიდმნიშვნელოვანი ევკრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა, საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანოთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება ხდება მხოლოდ მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 14. მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და სამმართველოები იქმნება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად და ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზეა.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 15. ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, აგრეთვე თანამდებობის პირნი და მოქალაქენი ვალდებული არიან შეასრულონ მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მიიღეს მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს ეს გადაწყვეტილებანი, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს შესაბამის შემდგომ ორგანოებში შეაქვთ წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დაადონ დისციპლინური სასჯელი, თანამდებობიდან განთავისუფლებამდე კი. წარდგინებათა განხილვის შედეგები საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ეცნობოს არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

მუხლი 16. მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატი ხესის, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშია არჩეული, თავისუფლდება თავისი საწარმოთა თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან, ამასთან ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატს, როცა ასრულებს დებუტატის მოვალეობას, უფლება აქვს უფასოდ იმგზავროს ქალაქის ტრანსპორ-



ტი (მეტრო, ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეი-ბუსი).

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება აღმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გარიცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დააპატიმრონ ისე, თუ ამაზე არ იქნა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

მუხლი 17. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საჯაროობა, დეპუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებების და სამმართველოებისა — საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მშრომელთა ფართოდ ზაბმა საბჭოს მუშაობაში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქალაქო, ქალაქის რაიონულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით.

მუხლი 18. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას თავისი საქმიანობის, მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შესახებ მშრომელთა წინაშე საბჭოს დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკთა რეგულარული გამოსვლების გზით, აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ქალაქში, რაიონში სახელმწიფო, სამეურნეო

და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს გააქვს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მშრომელების კრებების, აგრეთვე მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილზე გამართული კრებების განსახილველად.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო წარმართავს ქალაქის ნებაყოფლობით საზოგადოებათა საქმიანობას და ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოების მუშაობას.

მუხლი 19. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ უფლებათა და მოვალეობათა გარდა ახორციელებს სხვა უფლებებსა და მოვალეობებს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების იმ სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობას, რომელთა ტერიტორია შედის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოში გაერთიანებული ტერიტორიის შემადგენლობაში.

მუხლი 21. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს ამ ბრძანებულების შესაბამისი გახადონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ.

მუხლი 22. დადგინდეს, რომ, სანამ სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობა ამ ბრძანებულების შესაბამისი არ იქნება, ძალაშია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ ბრძანებულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლდორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 19 მარტი.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ნ ა თ ე ლ ი გ ზ ა



ჩემს შესახებ გიამბოთ? — კითხულობს შეცბუნებული თამარი. უხერხული სიჩუმე ისევ მან დაარღვია. სახე კეთილმა ღიმილმა გაუნათა. ხელჩანთიდან სურათი ამოიღო და გამომიწოდა. სურათიდან შემომცქეროდა გამხდარი, ახალგაზრდა გოგონა ოღნაე გაოცებული, დიდი თვალებით. მას მფრინავის ფორმა ეცვა. — მე ვარ... გიკვირთ?

1936 წელი... თამარი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. პარტიის მოწოდებით ათასობით კომკავშირელმა ახალგაზრდამ დაიწყო მფრინავის, პარაშუტისტის თუ ავიომოდელისტის პროფესიის ათვისება. რუსთავის უკაცრიელი მიწა დაიფარა ანგარებით, თვითმფრინავებით. პიონერი მფრინავი ქალების ფოტოსურათებითა და საგმირო საქ-

მეების აღწერით გაივსო ჟურნალები, გაზეთები...

ქვეყნისათვის სასარგებლო ქალად განდომის კეთილშობილურმა სურვილმა თამარ თარაშვილი აეროკლუბში მიიყვანა. იგი გულმოდგინედ სწავლობდა, და აი ხორცი შეესხა ოცნებას...

დადგა ნანატრი, ცის ლაჟვარდში დამოუკიდებლად განავარდების დღეც. თვითმფრინავის საჭეს ქალიშვილის თითები გაბედულად შემოეჭდო და თვითმფრინავი მსუბუქად მოსწყდა დედამიწას. კომკავშირელმა გოგონამ მართვაში მაღალი შეფასება მიიღო და ინსტრუქტორების მოსამზადებელ კურსებზე დატოვეს.

— იმდროინდელია ეს სურათი. განსაკუთრებით მიყვარს, — ამბობს თამარ თარაშვილი.

შემდეგ კურსები დაასრულა და დანტერესებულ ახალგაზრდა მფრინავებს უმაღლესი პილოტაჟის დაუფლებაში ეხმარებოდა. მესამე კურსის სტუდენტი საპარაშუტო სპორტსაც დაეუფლა, თან მზრუნველ მებაღესავით თავს დასტრიალებდა ახალბედებს.

1940 წელს თამარმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და სამუშაოდ გაიგზავნა მშობლიურ მცხეთის რაიონში.

მაღე ნათელ ცაზე შავი ღრუბლები ჩანოწვა. დაიწყო დიდი სამამულო ომი. პროკურორის თანაშემწემ ოცდაერთი წლის თამარ თარაშვილმა სისხლხორცეულად შეიგრძნო თავისი როლი. იგი ყველგან იყო საჭირო. რამდენი საქმეები... შრომაში დათენებული ღამეები...

რაიონში ბოროტმოქმედნი დათარეშობდნენ. მათ აღსაკვეთად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც თამარ თარაშვილიც შედიოდა. ბევრი ბანდიტი ცოცხლად იქნა შეპყრობილი და გასამართლებული, ბევრი თვითონ მიხვდა დანაშაულს და ნებაყოფლობით გამოცხადდა. მალე ბანდა ლიკვიდირებულ იქნა.

ადგილობრივი მცხოვრებნი ბინას უთმობდნენ რუსეთიდან ევაკუირებულ მოსახლეობას. თამარ თარაშვილმაც თავისი სახლის ორი ოთახი მთელი ომის პერიოდში გადასცა სამამულო ომის მონაწილე ოფიცერთა ორ ევაკუირებულ ოჯახს.

1945 წლის 9 მაისის დღე სხვებთან ერთად თამარ თარაშვილმაც იზეიმა.

ომის დამთავრების შემდეგ თამარ თარაშვილი რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის განყოფილების პროკურორად მუშაობს, შემდეგ საჩივართა განყოფილების, სამოქალაქო საქმეთა ზედამხედველობის განყოფილების პროკურორია. ამჟამად არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორად მუშაობს.

„შრომა ადამიანის ცხოვრებისათვის ყოველთვის იყო საფუძველი ადამიანური ცხოვრებისა... ჩვენს ქვეყანაში შრომა გახდა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმე... აღმზრდელი მუშაობაშიც შრომა უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი“, — ამბობდა დიდი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო.

ასე სწავს თამარ თარაშვილსაც.

„გილოცავთ პირველი მაისის დღესასწაულს. გიგზავნით სურნელოვან ყვავილთა თაიგულებს. გისურვებთ ცხოვრებაში ჯანმრთელად ყოფნას და დიდხანს სიცოცხლეს. კარგად ბრძანდებოდეთ. თქვენი კარგის მსურველი აკაკი ხ-ელი“.

ეს წერილი თამარ თარაშვილის სახელზე მოვიდა 1969 წელს.

აკაკი ხ-ელი 15 წლის ასაკში ყაჩაღურად თავს ესხმოდა მგზავრებს, ძარცავდა. დააპატიმრეს. გაქცევა მოახერხა. კვლავ შეიპყრეს, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გაქცევის შიშით შრომა-გასწორებით კოლონიიდან სამუშაოდ არ გაჰყავდათ, შინაგანაწესს არ ემორჩილებოდა, ცუდად იქცეოდა.

თამარ თარაშვილმა ინახულა იგი და საუბარში შეიტყო, რომ მას მიდრეკილება ქონდა ძერწვისადმი. თამარ თარაშვილის რჩევით, პატიმრის მშობლებს ნება დართეს კოლონიაში მოეტანათ მისთვის თიხა, დაემუშავებინა კოლონიის შესასვლელი მიწის ფართობი და ყვავილნარით გაეფორმებინა. მართლაც ხ-ელმა გააშენა ნარგავები, ყვავილნარი, გამოძერწა სხვადასხვა ნივთი. შრომამ გაიტაცა. უსაქმოდ ყოფნის დრო აღარ ჰქონდა, გახდა თავაზიანი. კოლონიის ადმინისტრაციამ ადრე რეჟიმის დარღვევისათვის დადებული დისციპლინარული სასჯელი მოუხსნა და მადლობა გამოუცხადა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას სასჯელის ზომა შეუმცირა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

— ადამიანისათვის ყველაზე სასიხარულო შრომის ამაგის დაფასება ყოფილა. ეს მე რამდენჯერმე განვიცადე, — ამბობს თამარ თარაშვილი.

1967 წელი იყო, აეროკლუბელთა შეკრებაზე ჩემთან მოვიდა დარბაისელი კეთილი სახის კაცი, შუბლზე ნაჭრილობევი ეტყობოდა. გამიღიმა და მკითხა: „შენ ის პატარა გოგონა არა ხარ, უმაღლესი პილოტაჟის დაუფლებაში რომ მავარჯიშებდი?“ — საუბრის დროს მესხიერებაში აღ-

ვიდვინე მისი ახალგაზრდული სახე. შემდეგ მომიყვა, თუ როგორ ებრძოდა იგი გერმანელ დამპყრობლებს...

ეს მფრინავი პავლე ციხელაშვილია, წოდებით მაიორი. ცხოვრობს და მუშაობს დმანისის რაიონში..

თამარ თარაშვილი მოუსვენარი ქალია. არასოდეს არ დასჯერებია მხოლოდ სამსახურებრივ საქმეს.

კეთილსინდისიერად ეწევა საზოგადოებ-

რივი და საოჯახო შრომის უღელს. კარგი დედა და მეუღლე.

სწორედ ასეთი საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის, პროკურატურის ორგანოებში 30 წლის დაუღალავი მუშაობისათვის, დაბადების 50 წლისთავზე დამსახურა მადლობა და ფასიანი საჩუქარი.

აი დიდი და საამაყო გზა უაღრესად გულიხშიერი, თავმდაბალი და შრომისოყვარე ქართველი ქალისა.

დ. ნაწობაშვილი

მ ი ს ი ლ ი რ ს ე ბ ა



ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის გულიკო ხაბეიშვილის ბიოგრაფია არც ისე უხვია ფაქტებით. 20 წლის გოგონამ მორცხვად შეაღო თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კარი. კოლექტივმა შვილივით მიიღო იგი, ცოდნა შესძინა, საზოგადოებრივ სარბიელზე გამოიყვანა. მალე კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ეს იყო ძიების, გამოცდილების შეძენის წლები. შემდეგ გულიკო სწავლობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ სკოლაში. სკოლის დამთავრებისთანავე იგზავნება პარტიის ოქტო-

მბრის რაიკომის ინსტრუქტორად. ცოტა ხანიც და პირველი სამკერვალო ფაბრიკის კომუნისტებმა იგი პარტიურად მდივნად აირჩიეს. მდივნის ოთახი მუდამ ხალხით იყო სავსე. აქ მოდიოდნენ რჩევა-დარიგების მისაღებად, თავიანთი აზრების, წინადადებებისა და შენიშვნების გამოსატქმელად. ზოგს საბინაო საკითხის მოგვარება სურდა, ზოგი საამქროსა და ბრიგადის მუშაობაში შემჩნეული ნაკლის გამოსწორებას მოითხოვდა. გულიკო უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ შენიშვნას, არც ერთ წინადადებას, მზად არის დაეხმაროს თვითეულ მუშას. ადამიანისათვის ზრუნვა ხომ მთავარია პარტიულ მუშაობაში. ადამიანებთან მუშაობამ კი ბევრი რამ შესძინა გულიკოს.

ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როდესაც ადამიანს საშუალება ეძლევა უკეთ შეიცნოს საკუთარი თავი, დგება მომენტი, როდესაც ირდევდა დროის უჩვეულო დინება, და ეს მომენტი მთელი ცხოვრების განმსაზღვრელია.

ის შემთხვევით არ გამხდარა იურისტი, არც უეცარი გადაწყვეტილებით და არც ვინმეს შთაგონებით. 1962 წელს გულიკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს. 1968 წლიდან კი სახალხო მოსამართლეა. მასთან

საუბარში ნათლად მეხატება მისი ყოველ-
დღიური საქმიანობა, დაუღალავი შრომა,
ხშირად სიხარული, ის განსაკუთრებული
და ამაღლებელი განცდა, რომელსაც
შრომით მოპოვებული გამარჯვება ანიჭებს
ადამიანს.

დამინტერესა, და მის რამდენიმე პრო-
ცეს დავსწარი. სამართალში მიცემულ ა.
მანვინს თავი გამომწვევად უჭირავს. ის პი-
რველად როდი ზის საბრალდებო სკამ-
ზე. რამდენიმე დღის გათავისუფლებული
იყო პატიმრობიდან და კვლავ ახალი დანა-
შაული ჩაიდინა, დათვრა, ქუჩაში გამოვი-
და, სრულიად უცნობ მოქალაქეს აგინა,
სცემა უმიზეზოდ და უმოწყალოდ, იარაღიც
მოიშველია. მოქალაქე საავადმყოფოში წა-
იყვანეს.

მოსამართლეს პროცესი მიჰყავს დინჯად.
იგი არ ტვირთავს პროცესს ზედმეტი დე-
ტალებით, ლაპარაკობს მხოლოდ აუცილე-
ბელზე, ამით უკეთ აღწევს სიმართლეს. სა-
მართალში მიცემული თავს არ გრძნობს და-
მნაშავედ.

მოსამართლე უყურებს თითქმის გადაგვა-
რებულ ადამიანს, რომელიც სიბრალულის
ღირსიც არ არის. მასში ატროფირებულია
ყოველგვარი ადამიანური: გულიკომ გონე-
ბის თვალთ გაუკეთა ანალიზი მომხდარს.
ა. მანვინს ნ წლით თავისუფლების აღ-
კვეთა მიესაჯა.

მოსამართლეს რთული მოვალეობა აკის-
რია. ოღნავი შეცდომა, და შეიძლება სა-
ბოლოოდ დაამახინჯო ადამიანის ბედი.

გ. ხაბეიშვილი განქორწინების საქმეს
იხილავს. ცოლ-ქმარი მტრულად უყუ-
რებს ერთმანეთს. ვერ მორიგებულან, ვის
დარჩეს ბავშვი. გულიკო აღლევებას ვერ
ფარავს. ხშირად ოჯახი სულ პატარა მიზე-
ზის გამო ინტრევა. თავმოყვარეობა მახინ-
ჯად ესმით. და აი ამ დროს მაგარი ხელი,
თბილი გული და ჭკვიანი სიტყვა უნდა შე-
აგებო გაჭირვებულს, შემცდარს.

— მისმინეთ! — დინჯად ამბობს მოსა-
მართლე, — ორმა ქალმა ბრძენს ბავშვი
მიუყვანა; თვითეული ამტკიცებდა ბავშვის
დედა მე ვარო. არც ერთს არ უნდოდა ბავ-

შვის დათმობა. „გაგლიჯეთ შუაში“ — უთ-
ხრა მათ ბრძენმა. კარგი, — მე თანახმა ვარ
— მშვიდად უპასუხა პირველმა ქალმა;
არაფრის გულისათვის, შესძახა მეორემ.
ბრძენმა ამ უკანასკნელს მიაკუთვნა ბავშვი,
რადგანაც იგი იყო ნამდვილი დედა.

— როდესაც ადამიანს შვილი ჰყავს, მას
უფლება არა აქვს ისე მოიქცეს, როგორც
მას მოესურვება, თვითნებურად დაამსხვრი-
ოს თავისი შვილების მომავალი.

— რომელი გინდა? — ეკითხება მოსა-
მართლე ბავშვს.

— ორივე, — ტირილით უპასუხებს ბი-
ჭი.

დარცხვენელმა მშობლებმა ერთმანეთს
შეხედეს, მერე ბავშვს აქეთ-იქიდან ხელი
ჩაჰკიდეს და შინისაკენ გასწიეს.

— ყველაზე დიდ მორალურ კმაყოფი-
ლებას მაშინ განიცდი ადამიანი, როცა
სუსტს ექომაგები, სიბოროტეს ებრძვი, —
მესაუბრება იგი.

გ. ხაბეიშვილი ყოველ პროცესს განსა-
კუთრებულად განიცდის. მოსამართლემ
კარგად იცის, რომ ადამიანისათვის ამ
ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასია თავისუფ-
ლება, მან კი თავისუფლება უნდა აღუკ-
ვეთოს. მაგრამ სანამ დამნაშავე ამ ხვედრს
დაიმსახურებდეს, მას მძიმე დანაშაული
აქვს ჩადენილი. შემდეგ შეიძლება ბევრი
ინანოს, მაგრამ დანაშაული ჩადენილია, და
ვაი რომ განვლილ ცხოვრებას ვერ დაიბრუ-
ნებ. ამბობენ, დრო ყველაფრის კარგი მკუ-
რნალიაო, და როცა დანაშაულს გამოისყი-
დი, კვლავ შეგიძლია წელგამართულმა ია-
რო, არასოდეს არ დაივიწყო, რომ ადამი-
ანი ხარ...

გზა ვიწრო ხეობაში გადიოდა. მერე გა-
ივაკა. გზატკეცილს ხეხილის ნარგავები
გასდევს. გზაზე ავტობუსი მიჰქრის. შიგ
მგზავრები მხიარულობენ. ქორწილში მი-
დიან. მძღოლი საუკეთესო ხასიათზეა.
ოღონდ დრო აქვს ცოტა და მანქანას ძა-
ლიან ჩქარა მიაგელებს. მაყრები ცოტა შე-
შფოთებულები ჩანან. ერთი-ორმა მოკრძა-
ლებით გააფრთხილა, მაგრამ ის თავისას
არ იშლის. გზა გრძელდება. მადლიან მარჯ-

ვენას დაურგავს და უხარებია ატამი, ბალი, კაკალი, ... მოუწყვია დასასვენებელი ადგილები, გაუყვანია წყაროები, მგზავრები მოვლენ და დამლოცავენო. უცებ მძლოლმავერ მოზომა, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები, მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მანქანას დაეჯახა.

მოსამართლე გ. ხაბეიშვილი ავარიის საქმეს არჩევს. სამართალში მიცემული ოფლში იწურება. თავი დაუხრია. ეცოდება გულიკოს გ. ბაზაძე, მაგრამ... მას შეეძლო დანაშაული თავიდან თვითონ აეცილებინა, მაგრამ ახლა პასუხი უნდა აგოს. მოსამართლემ მ წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა დამნაშავეს.

ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მართო კოლეგები კი არა, ახლა უკვე მეგობ-

რები ვართ. ბევრი ვისაუბრეთ. იგი ძალიან მოუცლელია ყოველთვის. რაიონში ხშირად აწყობენ სამართლებრივ თემებზე საუბრებს, ეწყობა სემინარები მსაჯულებთან, ამხანაგური სასამართლოების წევრებთან. პირადი ცხოვრებითაც დავინტერესდი. როცა ამ საკითხს შევეხე, გულიკოს სახეზე განსაკუთრებული სითბო ამოვიკითხე. ჰყავს მეუღლე მეცნიერი მუშაკი, ერთი შვილი.

მომავალი წინ არის. მას მეტად პასუხსაგები მოვალეობა აკისრია. გ. ხაბეიშვილს მოეთხოვება კვლავაც იყოს მკაცრი და საქმიანი, რომ მხარი უსწოროს დროს, მშრომელი, სათუთი, კეთილი და გონიერი. ამაშია მისი ღირსება.

ლ. ჯანბურია

საქართველოს მთავრობის განცხადება



1. სატრიკოტაჟო ნაწარმის კონტინენტით გადაზიდვის დროს საჭირო არ არის მისი დამატებითი შეფუთვა ხის ან მუყაოს კოლოფებში

ტანსაცმელვაჭრობის კრასნოდარის ბაზამ აღძრა სარჩელი ფაბრიკა „საქტრიკოტაჟისთვის“ ჯარიმის გადახდევინებაზე არასათანადოდ შეფუთული საქონლის მიწოდების გამო. სარჩელი ემყარებოდა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 69 მუხლს და იმ ფაქტს, რომ მოპასუხე აწოდებს მას სატრიკოტაჟო ნაწარმს, შეფუთულს ქსოვილის ტომარებში, ნაცვლად სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული ხის ან მუყაოს ტარისა. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ სარჩელი არა ცნო და განაცხადა, რომ სატრიკოტაჟო ნაწარმი გავზავნილი იყო კონტინენტით, ხოლო ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სტანდარტით დამუშავებულია სატრიკოტაჟო ნაწარმის მეორად სამომხმარებლო ტარაში მიწოდება, რაც მისი მხრიდან

დაცული იყო, რამდენადაც ცალკეულ შეკვრებში შეფუთული საქონელი დამატებით ჩადებულ იყო ქსოვილის ტომარებში. საკითხის გარკვევისათვის სახელმწიფო არბიტრაჟმა მიმართა სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს. 1971 წ. 19—02 № 19/229 წერილით სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტმა განმარტა, რომ კონტინენტებით ტრანსპორტირების დროს სატრიკოტაჟო ნაწარმის დამატებითი შეფუთვა ხის ან მუყაოს კოლოფებში საჭირო არ არის. უნივერსალური სარკინიგზო კონტინენტებით სატრიკოტაჟო ნაწარმის გადაზიდვა უნდა ხდებოდეს ისე შეფუთულისა, როგორც ეს სტანდარტით ან ტექნიკური პირობებით არის გათვალისწინებული.

2. თუ რკინიგზისადმი პრეტენზიის აღძვრის დროს არ იყო დართული რაიმე სავალდებულო საბუთი, რკინიგზა ვალდებულია არა უგვიანეს ათი დღისა პრეტენზიის მიღების მომენტიდან აცნობოს ამის შესახებ პრეტენზიის ავტორს

ერთ-ერთმა წარმომებამ აღძრა სარჩელი აკ რკინიგზისადმი მისი მისამართით გავზავნილი ტვირთის დანაკლისის ღირებულების ანაზღაურებაზე. რკინიგზამ სარჩელი უარყო და მოითხოვა საქმის წარმოებით მოსპობა საპრეტენზიო წესის დაუცველობის გამო. თავისი განცხადების საფუძველად რკინიგზამ მიუთითა, რომ წაყენებულ პრეტენზიას არ ერთვოდა მიმწოდებლის ანგარიში, რითაც დარღვეული იყო რკინიგზის წესების 173 მუხლი. საქმის განხილვის პროცესში რკინიგზას მოეთხოვა იმის მტკიცება, რომ მან, გადაზიდვის წესების XI კარის § 14-ის შე-

საბამისად, არა უგვიანეს ათი დღის ვადისა დაუბრუნდა ასეთი განმცხადებელს იმის მითითებით, თუ სახელდობრ რომელი საბუთი აკლია მას. ასეთი მტკიცება რკინიგზამ ვერ წარმოადგინა. მიმწოდებლის ანგარიში და სხვა სავალდებულო მტკიცებები, როგორც არის კომერციული აქტი, ზედნადები და გაანგარიშება, ერთვოდა ძიებით განცხადებას, რკინიგზის პასუხისმგებლობა მომხდარი დანაკლისისათვის წარმოდგენილი საბუთებით დადგენილი იყო და ამიტომ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

3. მთავორიან და შორეულ რაიონებში მდებარე სავაჭრო ორგანიზაციებზე არ ვრცელდება ღვინის ტარას დაბრუნების საერთო ვადები

სამტრესტის თბილისის საწარმოო კომბინატმა აღძრა სარჩელი „აფხაზკავშირის“ მიმართ ღვინის ტარას დროზე დაუბრუნებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე, რაც გათვალისწინე-

ბულია ღვინის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებით და მასზე დართული ინსტრუქციით. სარჩელი უარყოფილ იქნა, ვინაიდან მხარეებს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულება

არ ითვალისწინებდა ტარას დაბრუნების ვადებსა და წესს, ხოლო ღვინის ტარას დაბრუნების წესისა და ვადების შესახებ მოქმედი ინსტრუქციის მე-4 მუხლის ძალით, მთავარიან და შორეულ რაიონებში განლაგებული სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ტარას დაბრუნების ვადები დადგენილ უნდა იქნას ან ვაჭრობის სამინისტროს მიერ ან მხარეების შეთანხმებით. ვინაიდან ამ საკითხზე არ არსებობს არც ვაჭრობის სამინისტროს ბრძანება და არც მხარე-

ბის შეთანხმება, ხოლო მთელი აფხაზეთი გარდა ქალაქების სუხუმისა და ტყვარჩელისა, შეტანილია მთავარიანი და შორეული რაიონების სიაში, ამიტომ არბიტრმა ცნო, რომ სამტრედიის საწარმოო კომბინატს არა აქვს უფლება დააჯარიმოს აფხაზეთში ორგანიზაცია ისეთი ვადის დარღვევისათვის, რომელიც მასზე არ ვრცელდება. ამის გამო მიძიებულს მის სარჩელში უარი ეთქვა.

4. კონტრაქტაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე არ ვრცელდება დებულება საქონლის მიწოდების შესახებ. მიწოდების განსაკუთრებული პირობები და არც ინსტრუქციები საქონლის ხარისხობრივად და რაოდენობრივად მიღების შესახებ

ქ. მოსოვის ძერჟინსკის სახელობის ხილბოსტნეულის კანტორამ აღძრა სარჩელი ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მიმართ მიწოდებული ციტრუსების ფასთა სხვაობისა და დანაკლისის ანაზღაურებაზე. დანაკლისი მოსარჩელეს განაგარიშებით წარმოიშვა ტრა-ყუთების წონის არასწორად განსაზღვრის შედეგად. სარჩელის დასამტკიცებლად მოსარჩელემ წარმოადგინა ცარიელის ტარას გადაწონის აქტი, რომლის თანახმად 820 მიღებული ყუთიდან გადაწონილი იყო 60 ყუთი, ე. ი. 7%. დანაკლისის ნაწილში მიძიებულს უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ კონტრაქტაციის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ტარას ნაწილობრივად გადაწონას. მისი ფაქტობრივი წონის დადგენისათვის მიძიებულს უნდა გადაეწონა ტარას 100%. გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გასაჩივრების დროს მიძიებულმა განაც-

ხადა, რომ სადავო ციტრუსები მიწოდებული იყო ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტთან დადებული მიწოდების ხელშეკრულებით, ხოლო ხილბოსტნეულის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით გათვალისწინებულია ტარას 5%-ის გადაწონა. შედეგების მთელ პარტიაზე გავრცელებით. სარჩელი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. მომჩივანს განემარტა, რომ მოცემულ დავაში მხარედ გამოდის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც აბარებს ციტრუსებს კონტრაქტაციის წესით. ამიტომ და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1966 წ. 20.VI № ი—1—22 ინსტრუქციული წერილის ძალით მოცემულ ურთიერთობაზე არ ვრცელდება არც მიწოდების განსაკუთრებული პირობები და არც ინსტრუქცია საქონლის რაოდენობრივად მიღების შესახებ.

5. საქონლის მყიდველი ვალდებულია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ასორტიმენტის ცალკეული დასახელების მიხედვით

საქვაჭრობის თელავის განყოფილებამ აღძრა სარჩელი ქუთაისის ავეჯის ფაბრიკისაგან პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე 1969 წ. III და IV კვარტალებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავეჯის უკმარისობისათვის. სარჩელი დაკმაყოფილდა. ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივარში მიმწოდებელი აცხადებდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მას შესრულებული აქვს გადაჯარბებით, ვინაიდან ნაცვლად სადავო პერიოდში გათვალისწინებული 18 100 ათასი მანეთის ავეჯის მან მიაწოდა მიძიებულს 27,35 ათასი მანეთის ავეჯი. ხოლო მთელი წლის განმავლობაში ნაცვლად 37,0 ათასი მანეთისა მიაწოდა 39,22 ათასი მანეთის ავეჯი.

საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა, რომ სარჩელი აღძრულია მიწოდებელი ასორტიმენტის თვითნებური დასახელების მიხედვით, რაც სახალხო მომხარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 60 მუხლის ძალით შეადგენდა მყიდველის ვალდებულებას, რამდენადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მისაწოდებელი ავეჯის ასორტიმენტი. ამგვარად, ის ფაქტი, რომ საერთო ანგარიშით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული იყო მისი თანხობრივი გამოსახულებით, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ასორტიმენტის დარღვევისათვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი. პირველ საკითხად პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის **ნ. ერქომაიშვილის** მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 14 მარტის დადგენილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 20 ნოემბრისა და 1969 წლის 1 მარტის დადგენილებები, რომლებიც შეეხებიან სასამართლო პრაქტიკას სპეკულაციის საქმეებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოებმა გასულ წელს მნიშვნელოვნად გააძლიერეს ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ. გაუმჯობესდა საქმეთა განხილვის ხარისხი, ხორციელდება სწორი დასჯითი პრაქტიკა.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ შეცდომებს დანაშაულის კვალიფიკაციასა და ზოგ შემთხვევებში სასჯელების განსაზღვრის საკითხშიც. არ არის აღმოფხვრილი სპეკულაციის კვალიფიკაციით იმ პირთა სამართალში მიცემა და მსჯავრდება, რომელთა მოქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას. შეცდომებია აღმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საქმეში.

ორდღევა საქმეთა განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადები. სათანადო ყურადღება არ ეთმობა პროფილაქტიკურ მუშაობას. სპეკულანტების საქმეები იშვიათად იხილება გამსვლელ სესიებზე და საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

სასამართლოები არ მოითხოვენ საგამოძიებო ორგანოებისაგან იმ პირთა გამოვლინებას, რომლებიც ამარაგებენ სპეკულანტებს სამარცხველო საქონლით. თავის მხრივაც სასამართლოები არ ადგენენ სპეკულაციის წყაროს, რის გარეშეც ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ნაკლებეფექტიანია. სასამართლოები არ აყენებენ საკითხს იმ მოქალაქეთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების შესახებ, რომლებიც სპეკულანტებისაგან იძენენ ძვირადღირებულ ფუფუნების საგნებს.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის **გ. დევ-**

დარიანის მოხსენება — „კოლმეურნეობათა სარჩელებით აღძრულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

პლენუმზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობათა სარჩელით აღძრულ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში სასამართლოები ჯერ კიდევ უშეცდომებენ სერიოზულ შეცდომებს. სასამართლოები ზოგჯერ სავსებით უგულვებელყოფენ საქმის წინასწარი მომზადებისა და გარჩევისათვის დანიშვნის საკითხს. საქმეებს იხილავენ დიდი დავიანებით, რაც აფერხებს დებიტორულ დავალიანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში ამ საქმეთა განხილვისას მოპასუხეებს არ იწვევენ პროცესზე და არ ათმევენ მათ ახსნა-განმარტებას. ყურადღება არ ექცევა დებიტორულ დავალიანებათა აღსაკვეთად პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას. სასამართლოები იშვიათად ავლენენ დებიტორულ დავალიანებათა წარმოქმნის, და აგრეთვე კოლმეურნეობის წესდების სხვა დარღვევათა მიზეზებს, სათანადო რეაგირებას არ ახდენენ კოლმეურნეობის გამგეობის, თუ თანამდებობის პირთა მხრივ საკოლმეურნეო ქონებისადმი უყიარათო დამოკიდებულების შემთხვევებზე.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოწესრიგებული არ არის დებიტორული დავალიანების აღრიცხვა. წლების მანძილზე გამგეობები უმოქმედობას იჩენენ დებიტორული დავალიანების ამოღების საქმეში. სარჩელები სასამართლოებში დიდი დავიანებით შემოდის. ბევრ სარჩელს არ აძლევს პირველადი ჩანაწერები დავალიანებათა შესახებ, რის გამოც ხშირად სასამართლოები ვერ არკვევენ ფაქტიურ ვითარებას და დავას სწორად ვერ წყვეტენ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ანგარიში 1970 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. იოსავა**.

მომხსენებელმა ილაპარაკა სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. საანგარიშო პერიოდში შემცირდა სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გაუქმება

ზედამხედველობის წესით, გაუმჯობესდა სახალხო სასამართლოებისადმი დახმარება. კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

ამასთანავე ერთად აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ სტაბილური არ არის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და განჩინებები. სასამართლოები არ ახდენენ რეაგირებას სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს გამოვლინებულ კანონის დარღვევებზე, რაც ხშირად იწვევს ერთხელ დაშვებული შეცდომის განმეორებას. ხშირად საქმეთა განხილვა ჭიანჭურვად. სუსტად წარმოებს სამოქალაქო კანონმდებლობის პროპაგანდა. არასაკმარისია საზოგადოებრიობის ჩაბმა სამოქალაქო დავების გადაწყვეტის საქმეში.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1970 წლის ანგარიში. მოხსენებით გამოვიდა კოლეგიის თავმჯდომარე **გ. გაბუნია**.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საქმიანობაში აღვილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს, საქმეთა არაჯეროვნად განხილვისა და გადაწყვეტის ფაქტებს. აღმოფხვრილი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ლმობიერი სასჯელები ინიშნება დანაშაულისა და დამნაშავე პიროვნების გაუთვალისწინებლად, ან მსჯავრი ედებათ იმ პირთ, რომელთა მოქმედებაში არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი პირობების გამოვლინების, მათი თავიდან აცილების მიზნით. სასამართლოები ყოველთვის არ ახდენენ რეაგირებას კანონისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. ქაჯაიამ** თავის მოხსენებაში ილაპარაკა რესპუბლიკაში სასამართლობის მდგომარეობის შესახებ. სასამართლო ორგანოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

გაუმჯობესდა სასამართლო განჩინების სტა-

ბილობა, ხორციელდება სწორი დასჯითი პრაქტიკა. გაიზარდა გამსვლელ სესიებზე განხილულ საქმეთა და გამოტანილ კერძო განჩინებათა რიცხვი, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულთა ცალკეული სახეობის სასამართლობის შემცირებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში კლებულობს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული. ამასთან ერთად შეინიშნება ზოგიერთი სახის დანაშაულის ზრდის ტენდენცია. ეს განსაკუთრებით ეხება მექრთამეობას, გაფლანგვა-მტაცებლობას, სპეკულაციას, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებას. განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წონა უჭირავს სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს.

მომხსენებელმა გააკრიტიკა სასამართლო ორგანოები იმის გამო, რომ ისინი არადაამკაცოფილებლად მუშაობენ, გაფლანგული თანხის ამოსაღებად.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ტაკიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **თ. შავგულიძე**, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. დვინჯილია**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები: **ი. გოგავშილი**, **ე. გაჩივი**, **ა. ფალავანიშვილი**, **მ. გიორგობაიანი**, **ა. ცინცაძე**, **ნ. ბაღაძე**, **რ. წეროძე** და სხვ.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. ქაჯაიამ**.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები და პროტესტები სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **მ. გვასალია**, საქართველოს სსრ პროკურორი — **ა. ტაკიძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე — **ზ. რატაიანი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე **პ. ბერძენიშვილი**.

გ. ფარულაშვილი

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს
 პლენუმის მდივნის მ/შ

აქტივის კრეპეზე

* * *

ქ. საჩხერის კინოთეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენებით „1970 წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ გამოვიდა საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ივანიშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროკურორმა ბ. ბაშინაშვილმა, შინაგან საქმეთა განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორმა ს. ბარბაქაძემ, კორბოლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ბობაქიშვილმა, სპეტის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. საღლაშვილმა, რაიკოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე

ტ. ჩაჩანიძემ, ჯალაურთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ა. ასანიძემ, სარევის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბის თავმჯდომარემ ი. ხვამელიძემ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ტრაპანიძემ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის საჩხერის რაიკომის თავმჯდომარემ მ. ტალახაძემ, შრომახეთის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ლ. კაპაბაძემ.

აქტივის კრებაზე შემაჯამებელი სიტყვარმოთქვა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჭილაძემ. განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

ა. ანასაშვილი

* * *

სამტრედიის კულტურის სახლში გაიმართა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა რაიონული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა 1970 წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები და ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანები 1971 წლისათვის.

მომხსენებელმა სამტრედიის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოსტინიძემ ვრცლად ილაპარაკა დამნაშავეობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებზე. მან მოიტანა იმის კონკრეტული ფაქტები, რომ უხარისხოდ წარმოებს საქმეთა გამოძიება, ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები, მართებულად არ წყდება ცალკეული სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეები. მომხსენებელმა გააკრიტიკა რაიკავშირის, რკინიგზის მუშათა მომარაგების და საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანე-

ლები კანონიერების დარღვევებისათვის, ხოლო პროკურატურის მუშაკები ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების გამო.

ამხ. ნ. კოსტინიძე დაწვრილებით შეეხო პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს დანაშაულობასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულებას „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“ განხორციელებას.

დასასრულ მომხსენებელმა ილაპარაკა დანაშაულთან ბრძოლის ისეთ ეფექტურ საშუალებაზე, როგორცაა სასოფლო ყრილობების ჩატარება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში

სიტყვებით გამოვიდნენ ჯ. პიპაბიძე (რაიონის პროკურორი), ზ. პანდელაძე (რკინიგზის № 14 საშ. სკოლის დირექტორი), მ. ნიპოლაიშვილი (რკინიგზის სამტრედიის სადგურის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე), მ. უღრელიძე (ხის დამმუშავებელი კომბინატის პარტიურთს მდივანი), მ. ჩხაიძე (საქართველოს ალკა-ს სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანი), შ.

ქურდიანი (შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი) ი. მიხეილაშვილი (კულაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), მ. ნიპოლაიშვილი (გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი), პ. ბაბუა (მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე).

ბ. ბაბუა,

იურისტი, პერსონალური პენსიონერი.

სასწავლო-მეთოდური სემინარი

საქართველოს სსრ პროკურატურაში მოეწყო სასწავლო-მეთოდური სემინარი პროკურატურის იმ მუშაკებისა, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე მ. ელიშვილი სემინარის მონაწილეებს ესაუბრა იმ დიდ ამოცანებზე, რაც დგას პროკურორების წინაშე თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განხორციელების დარგში. საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების უფროსმა ნ. მიქაძემ ილაპარაკა გასული წლის შედეგებსა და იმ ამოცანებზე, რაც დგას მიმდინარე წელს. ამავე განყოფილების პროკურორი მ. სინარულიძე თავის მოხსენებაში შეჩერდა ზონის პროკურორის მუშაობის ორგანიზაციაზე. პროკურორი მ. ჯაფარიძე შეეხო საპროკურორო ზედამხედველობის თავისებურებას საგამოძიებო იზოლაციურებში.

მინარის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება პატიმრობიდან გათავისუფლებულ პირთა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმის, შრომა-გასწორების დაწესებულებებში აღმასრულებელი ფურცლების დროულად მიღებისა და მსჯავრდადებულთაგან სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხებზე.

საინტერესოდ გამოვიდნენ სემინარზე აგრეთვე გალის რაიონის პროკურორის თანაშემწე პ. შამათაძე, გარდაბნის რაიონის პროკურორის თანაშემწე ა. ბობლიძე, წულუკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწე ჯ. ლილუაშვილი, საგარეჯოს რაიონის პროკურორის თანაშემწე ი. სიფრაშვილი, ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანაშემწე ბ. ცაქიტიშვილი, თეთრი წყაროს პროკურორის თანაშემწე ა. შეროზია, კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწე ი. ხელიაია.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტიკის მ. სიმონიშვილის ლექცია „საგამოძიებო-კრიმინალისტიკური ტექნიკა და მისი პრაქტიკაში გამოყენების საკითხები“.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა მ. ელიშვილი.

ფ. მგელაძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილე გ. მეგრელიძე და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ს. თორნიკა ვრცლად შეჩერდნენ ამ დარგში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების საკვანძო საკითხებზე.

ქ. ქუთაისის პროკურორის თანაშემწემ ბ. ჩიჩელაშვილმა და ქ. რუსთავის პროკურორის თანაშემწემ ჯ. იორდანიანიშვილმა სე-

ნ ე შ კ რ ძ ე მ ბ ი

ა. დ. კორძაია



საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის რიგებს გამოაჯლდა დეაწლმოსილი იურისტი ანა დავითის ასული კორძაია.

ა. დ. კორძაია დაიბადა 1900 წელს ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ზვარეში. 1923 წელს მუშაობა დაიწყო მასწავლებლად სკოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1930 წ. მიღებულ იქნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრად, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

ა. დ. კორძაია მაღალკვალიფიციური იურისტი იყო. ის მუდამ კეთილსინდისიერად და პატიოსნად ეკიდებოდა თავის საქმეს. იმსახურებდა კოლექტივის, მეგობრების სიყვარულს და პატივისცემას. ცოდნას და გამოცდილებას სისტემატურად უზიარებდა ახალგაზრდა კოლეგებს, ეხმარებოდა მათ პრაქტიკულ მუშაობაში.

ასრულდება მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს.

კეთილშობილი ადამიანის ა. კორძაიას ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი


ი. ი. სამთელაძე

გადაიცივალა სკკპ წევრი 1928 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, პერსონალური პენსიონერი ივანე ილარიონის ძე სამთელაძე.

ი. ი. სამთელაძე დაიბადა 1905 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ბეკაში, მუშის ოჯახში. 1923 წლიდან ეწეოდა შრომითს საქმიანობას ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის განყოფილებაში. 1936 წლიდან არჩეულ იქნა ბორჯომის რაიონის სახალხო მოსამართლედ, ხოლო 1937 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია.

1941 წლის ივლისში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და 1944 წლამდე იყო ამიერკავკასიის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიისა და უკრაინის მეოთხე ფრონტების სამხედრო ტრიბუნალის წევრი.

1944 წლიდან 1957 წლამდე ი. სამთელაძე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სასამართლოს თავმჯდომარედ. 1958-1968 წლებში იგი ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეა. ამავე პერიოდში არჩეული იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად.



ი. ი. სამთელაძე დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, მედლებით.

თავმდაბალი, გულისხმიერი იურისტის ი. სამთელაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ბასწორება

რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის მე-7 პუნქტში („საბჭოთა სამართალი“, 1970 წელი, № 4, გვ. 76) და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ მე-13 პუნქტში („საბჭოთა სამართალი“, 1971 წელი, № 1, გვ. 49) დაშვებულია შეცდომა.

„საფუძვლების“ მე-15 მუხლის მე-7 პუნქტი უნდა იკითხებოდეს ასე:

„7. სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც მუშა ან მოსამსახურე მსჯავრდებულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისჯილი აქვს პირობითი მსჯავრი) თავი-

სუფლების აღკვეთით, გამასწორებელი მუშაობით არასამუშაო ადგილას ან სასჯელით, რომელიც გამორიცხავს ამ სამუშაოზე მუშაობის განგრძობას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოთ მითითებული ბრძანებულების მე-13 პუნქტი უნდა იკითხებოდეს ამგვარად:

„13. წესები იძულებითი გაცდენის ან უკანონოდ გადაყვანისას დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროისათვის ანაზღაურების შესახებ, რაც დადგენილია საფუძვლების 92-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, ავ-

რეთვე საფუძვლების 94-ე მუხლის მეორე ნაწილით, გამოიყენება უკანონოდ დათხოვნის ან გადაყვანის შემთხვევებში, რაც მოხდა საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ“.

3360 50 333.

ИНДЕКС 78135
საქართველოს
საბჭოთავო
სამართლებრივი

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Министерства Юстиции ГССР, Прокуратуры ГССР
и Верховного Суда ГССР